

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

განათლება

86
8

8 (05)
8 20

(წელიწადი: მეოთხე)

IX

ნოემბერი

1911 წ.



† ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხველაძე.

- შინაარსი:** 1. ხსიოსთის სასოგადო აღზრდა (დ-რ ლუჩკინი) ლ. ბოცვაძისა. 2. აღმზრდელობითი მნიშვნელობა სკოლის ბავშვის კახაბერისა. 3. მოზარდ თაობის სკოლის და ნერვების არა ნორმალური მდგომარეობა ი. ფერაძისა. 4. ქართული თუ ქართლური (გრ. ეიფშიძის წერბლეს გამო) სკოლ. ხუნდაძისა. 5. უცხო ენის სწავლება სასოგადო სასწავლებელში ა. ქუმისთაველისა. 6. ციხეში (დექსი) ირ. ევლოშვილისა. 7. პირველი დღე (თარგმანი) სემინარიკების ცხოვრებლან ვლ. ე—ლისა. 8. სკოლი წმინდა (დექსი) ი. მჭედლიშვილისა. 9. დასკვნა ვარდი დ. თურდოსპირელისა. 10. დელა-ენას გაკვეთილი (ამბავი) კოწოლაურისა. 11. უკრაინელ ზოეზიდან, იასამანისა. 12. მეგობარს ს. აბულაძისა. 13. * * * დექსი ნ—ურისა. 14. შინაური მიმოხილვა ფარისა. 15. ზასუსად ბ-ს სილა ტუნდაძეს გრ. ეიფშიძისა. 16. მცირე შენიშვნა გაზეთ „კაფხიდის“ ზედაგოგის გამო მასწავლებლისა. 17. სამშობლო ქვეყნის მფლავნი † მღვდელი მიქელ თამარაშვილი და † ნიკოლოზ ზებედეც ძე ცხეველაძე. 18. ბიბლიოგრაფია. 19. განცხადება.

მიიღება სკოლის მოწერა სემეცნიერო-პედაგოგიურს და სალიტერატურო ჟურნალს

„განათლება“ - 86

ჟურნალი გამოდის ყოველ ხუთს პირველ რიცხვებში, გარდა საფესკოლის ორის თვისა; ჟურნალი მოდიდა ფორმატისაბ ორ სვეტად დაბეჭდილი და თითო ნომერი შეიცავს 64 ორ გვერდსე არა ნაკლებს. ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მეცნიერები, მწერლები, პედაგოგები და ზოეტები. ჟურნალი სხვა გამოცემისთან შედარებით მეტის-მეტად იაფია — წლიურად ღირს სამი მანეთი ვაკსავნით, სოფლის მასწავლებლებს ჟურნალი ეთმობათ **100 მანეთად**. ვინც უკანასკნელთაგანი ერთბაშად გამოკვანის სამ მანეთს, იმას წარსული წლის ნომრებიც გაცვსავნებს. ჟურნალი გამოდის დასურათებული. **ცვილისუი** სკოლის მოწერა მიიღება ქ. შ. წერაკითხვის გამავრ. სასოგადოების წიგნის მღვანიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. სხვაგან კერძო აგენტებთან.

შინაგართი Тифлисъ Дворянская Грузинская
Гимназія Л. Г. Бопвадзе.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. გ. ბოცვაძე.

განათლება

(წელიწადი მეოთხე)

IX

ნოემბერი

1911 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
ჟურნალი დაეთმობათ წლიურად
ორ მანეთად.

ცალკე ნომ-
რის ფასი
30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მალაზიაში და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: Тифлисъ Дворянская Гриваинская
Гимназия Л. Г. Боцвадзе

დ—რ ლუნგენი

ხასიათის საზოგადო აღზრდა

ამ სტატიაში ჩვენ გვექნება საუბარი ადამიანის ხასიათზე, ადამიანის თავისებრივ თვისებაზე ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. როცა ჩვენ ვამბობთ ამა და ამ კაცს ხასიათი აქვსო, ამით ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ ერთგვარ შემთხვევებში იგი ყოველთვის ხელმძღვანელობს ერთი და იმავე პრინციპებით, ერთი და იმავე თვალსაზრისით; უხასიათოს ჩვენ ისეთს ადამიანს ვუწოდებთ, რომელიც თავისის საქციელით გარეშე პირობათა და გარემოებათა გავლენის ქვეშ იმყოფება. ამიტომ იმ პირთ, ვისაც ფული და დიდება სწყუროდათ, ცხიერება და დამნაშავეთა „ხასიათი“ ჰქონდათ; ისეთი ბუნების ადამიანები, როგორც იყვნენ ჰარბაგონი,

ტარტილფი, ჩიჩარდ მე III და კარლოს მოორი, „ხასიათის“ პატრონები იყვნენ. რასაკვირველია არც ერთი გონიერი ადამიანი არ აღზრდის თავისს შვილს ისე, რომ მას გამოჰყვეს ისეთი ხასიათი, როგორც შემოს აღნიშნულ ტიპებს ჰქონდათ. ფრიად ძუნწ ადამიანში, მეტად გაბოროტებულს დამნაშავეში ზოგჯერ გაიღვიძებს ხოლმე სინილისი, რომელიც ამხილებს მას თუ რა ტანჯვა მიუყენებია სხვისთვის; მეტად პირობონე და ფარისეველ ადამიანსაც კი ხანდახან ეტყობა სინილისის მხილება, რომ ცუდათ იქცევა. ამ სახით ამისთანა ბუნების ადამიანებს აკლიათ არსებობის თვისებანი; იმათ აქვთ ერთგვარი ხელმძღვანელი პრინციპები,

მაგრამ ეს პრინციპები არ ეთანხმებიან ეთიკის დაურღვეველ პრინციპებს, ამიტომაც ამგვარი ადამიანები თავიანთ სი-ცოცხლეში ვერ ელირსებიან შინაგან დამ-შეიდებას, შინაგან კმაყოფილებას და ხშირად ტანჯულის სულის კვეთებით ესაღმებინან წუთისოფელს; ამისთანა ადამიანები ერთს ნაბიჯსაც ვერ გადაადგე-ვინებენ კაცობრიობას პროგრესის გზაზე.

აქ ჩვენ მკითხველის ყურადღებას მი-ვაქცევთ ისეთის ხასიათის შემუშავებაზე, რომელსაც მუდამ კეთილი მიზანი აქვს დასახული და ცდილობს სიკეთისათვის მაშინაც კი, როცა ეს შეეღა ხშირად თავგანწირვასაც კი თხოულობს. ასეთი **ზნეობრივი** ხასიათი აქვს მხოლოდ უფრო მოზრდილებს, რადგანაც ამ გვარი ხასია-თის შემუშავება ხშირად ძლიერ ნელა ხდება, იმის შემდეგ, როცა გამოცდილე-ბას, ცხოვრების განსაცდელთან ქიდილს ბევრი რამ შეცდომებიც მოჰყოლია; მაგ-რამ ის პირნი, ვინც ძლიერადაა მოსულან ამ ბრძოლიდან, ბედნიერად უნდა სთვლიდნენ თავიანთ თავს სულიერ-ის შინაარსით: ესენი არიან დიდებული მაგალითები, კაცობრიობის გზის მაჩვენებ-ღნი ბრწყინვალე ვარსკვლავნი; უმე-მათოდ შეუძლებელი იქნებოდა კაცობ-რიობის გაკეთილშობილების პროგრესი, ღმობიერებით შეფუჭებით იმათ, თუმცა მათი სხეული ასი თუ ათასი წელია, რაც მტვრად ქცეულა.

მაგრამ თუ კი ზნეობრივს ხასიათს ასე-თი უაღრესი მნიშვნელობა აქვს, როგორც კერძო ადამიანისათვის, ისე მთელი საზო-გადოებისთვისაც, რასაკვირველია, ყრმა-თა აღზრდის უმაღლესი მიზანი უნდა იყვეს დაცვა ბავშვის ზნეობრივი ხა-სიათის მიღრეკილებისა. მაგრამ აქ ჩნდე-ბა საკითხი: საზოგადოთ შესაძლებელია

ასეთი განვითარება და აღზრდა ხასიათისა და ბუნებრივი თვისებები განიცდიან თუ არა რაიმე ზემოქმედებას? მეცნიერე-ბი ჯერ კიდევ გადაჭრილს პასუხს ვერ მოძლევიან ამ საკითხზე; ჩვენც ვიცო-ყველამ, რომ აღმზრდელები ხშირად სა-სოწარკვეთილებას მიეცემიან, როცა, მა-გალითად, გამგონე და კარგი ზნის მოწა-ფე მოულოდნელად რამდენსამე უზნეო-საქციელს ჩადენს, ამ შემთხვევებში მო-წაფეში იღვიძებს „ღმომონიური“ ელემენ-ტი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში აღმზრდელი უძლურია, მართალია ამ გვა-რი შემთხვევები გვიჩვენებენ, რომ აღმზრ-დელის გავლენის ფარგალი შეზღუდუ-ლია, მაგრამ გავლენა ყოველ შემთხვევა-ში საზოგადოთ შესაძლებელია. აქ ჩვენ წინ ხდება ისეთი პროცესი, რასაც ჩვენ შეგნიშნაეთ მცენარეებში: თუ ნასახი სა-ლი არ არის და განვითარება არ შეუძ-ლია, მაშინ იგივე მცენარეც არ იქნებ-მტკიცე და ჯანიანი, ვერასოდეს ვერ მიგვიზიდავს ყვავილთა სიუხვით და ნა-ყოფთა სიტკბოებით, ზრდის დროს კი შეიძლება უხვირო განვითარებაც მიიღოს საზოგადოთ სხვა და სხვა საშიშროებაც მოივლის. ზოგს შემთხვევებში მას შეუძ-ლიან საკუთარის ძალ-ღონით სძლიოს მრავალ დაბრკოლებათა, მაგრამ უფრო უეჭველია, რომ მცოდნე პირს დაუხმა-რებლად და მოუფლელად, ის ძლიერ და-ზიანდება და გაჭკრება კადეც. აქედან შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი დასკე-ნა: თუმცა ყველა ზნეობრივი ხასიათი არ შეადგენს აღმზრდელის მუშაობის შე-დეგს, მაგრამ ცხადია, რომ გარეგან ქვე-ყანას, ბავშვის გარშემო არსებულ პირო-ბებს შეუძლიან გამოიჩინონ დებულებით თუ უარყოფითი გავლენა ხასიათის გან-ვითარებაზე.

ამიტომ თუ კი შესაძლებელია, რომ აღმზრდელმა ზომები მიიღოს, გააფრთხილოს ერთის მხრით რომ არ დაუსუსტდეს და არ გაუქროს მოწაფეს კარგი ნების ამამოძრავებელი წიკპურტები, იმპულსები და მყორეს მხრით არ განუეითარდეს მ.ს. ცუდი იმპულსები, მაშინ ზასიათის აღზრდა უნდა იწყებოდეს ბავშვის ცხოვრების იმ ხანაში, როცა ადამიანი ადვილად ემორჩილება გარეშეთა გავლენას, ე. ი. პატარაობისას, უფრო პირველ წლიდანვე. მაგრამ რა გზა უნდა აირჩიოს ამ მხრით აღმზრდელმა, ამ ს. აქ არ შეეცხებით. ჩვენ აქ უნდა შევიჩრდეთ ბავშვის ცხოვრების იმ ხანაზედ, რომელსაც სასკოლო ჰასაკს უწოდებენ.

შემდეგ აღიძვრის კითხვა, როცა ბავშვის ზასიათის აღმზრდელებზე ვლაპარაკობთ, ვინ უნდა გვყავდეს სახეში. ბავშვებისა და ქაბუკთა ნების აღძვრაში მოქმედებს აუარებელი სხვა და სხვა გავლენანი, ზოგი მათგანი ხანმოკლეა და წარმავალი, ზოგი კი უფრო ხანგრძლივი. ერთს რომელსამე სიტყვას, ან საქციელს რომელისამე კაცისას, როცა ის შემთხვევით არის ოჯახში, სკოლაში, ან შემთხვევითვე გარეულა ბავშვების თანაშობაში ქუჩაში, შეუძლია ერთს მოკლე დროში ან ხშირად დიდხანსაც მისკეს ბავშვის ნებას განსაზღვრული მიმართულება; ამ ხანაგებს სკოლაში და თამაშობის დროს, ძმებს, დებს, მოსამსახურებს—ყველას, გარემოების მიხედვით, შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშვის გონიერულად აღზრდას, ან ხელი შეუშალოს მას, მაგრამ ჩვენ აქ არ შეეცხებით ამ პირთა გავლენას, რადგანაც მათ ხშირად მიზნად არ აქვთ დასახული ბავშვების აღზრდა. ამ მიზანს მხოლოდ მშობლები, მათი მოადგილეები და აღმზრ-

დელები კისრულობენ, ამიტომ ჩვენც მათ შესახებ გვექნება მსჯელობა.

ცხადია, რომ ამ მიზნის მისაღწევად მშობლები და მასწავლებლები ერთად უნდა ზრუნავდენ. მაგრამ თუ ეს მოთხოვნილება საჭიროა ბავშვის საზოგადო განვითარებაში კარგის შედეგების მისაღწევად, რასაკვირველია, იმას ჰალა აქვს უფრო საჭირო საქმეში, ზასიათის აღზრდაში. მაგრამ რამდენადაც მოთხოვნილება სერიოზულია, იმდენად ასრულკბაც უფრო ძნელია. ეს სიძნელე იმაში გამოიხატება, რომ ერთის მხრით დაისახონ სწორი მიზანი, მეორეს მხრით კი დაუახლოვდენ ერთმანეთს მიზნის მისაღწევა შესალებათა გამოძებნაში.

ამ ცოტა ხანში ამ სკოთხის შესახებ პედ.გოგების აზრი ძლიერ შეიცვალა. დღემდის აღზრდას საფუძვლად ჰქონდა განსაზღვრული იდეალი ადამიანისა, რომელსაც არავითარი ნაკლებეანება არ აქვს და აღსავსეა ყოველგვარ სათნოებით, და ჩვენი აღმზრდელებიც პატიოსნად მისწრაფოდნენ იმ გზით, რომ ყოველგვარ ღონისძიებით მოეშორებიათ ბავშვებისათვის ყველა ნაკლი, რასაც ისინი იჩენდნენ და რაც ხელს უშლიდა იდეალის განხორციელებას, მაგრამ ასეთს მისწრაფებას ხშირად შეცდომებიც თან მოჰყოლია და წაუქეზებია აღმზრდელი ისეთის მეთოდების არჩევაში, რასაც სამწუხარო შედეგები მოუტანია.

რად უნდა მოჰყოლოდა ასეთს შეხედულობას ცუდი შედეგები? რასაკვირველია იმიტომ, რომ თვით დასახული მიზანი სწორი არ არის. საქმე ის არის, რომ ზნეობრივი ზასიათები არ ჰგვანან და არც შეიძლება ჰგვანდნენ ერთმანეთს, როგორც ორა წვეთი წყლისა, თითქმის კაცობრიობის პროგრესისათვის საჭიროა

ხასიათების სხვა და სხვაობა, არა თუ რაოდენადმე მანც, არამედ ძლიერი განსხვავებაც ხასიათთა შორის ფრიად საქიროა. „ჩვენ გვინდა მტკიცე ადამიანები“, სთქვა გურლიტმა თავის თხზულებაში პიროვნების განვითარების შესახებ, იმ თხზულებაში, რომელმაც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მაგრამ ღრმა მოსაზრებით არის გამსჭვალული და თამამად დაამარცხა ჩვენი ცხოვრების ბევრი საბედისწერო ცრუმორწმუნოებანი. „ნაციონალურ უბედურების უამს ვედრებით ვუწვდით ხელს იმათ, რომელთაც შეუძლიათ თავისი ძლიერის ნებით გვიხსნას. ჩვენ გვინდა ცნობის მოყვარე ბავშვები, რომ ისინი ცოდნის მოყვარენი შეიქმნენ, დაეწაფონ სწავლა-მეცნიერებას, ჩვენ გვინდა მშვიდი გულხაზვეული ბავშვები, რადგან ისინი ბოლოს გაამდიდრებენ ჩვენი ცოდნის საუნჯეს, ჩვენ გვინდა გამბედავი და კანდიერი ბავშვები, რომელთაც შეუძლიათ თან გაიყოლონ მშინშარები, ჩვენ გვინდა ამაყი და მრისანე ბავშვები, რადგანაც ბოლოს ისინი სხვებს ჩამოაცლიან ფარისევლობის ნიღაბს და ხმა მალა გამოუცხადებენ ზიზღს მშინშარა მუქთახორებს, ჩვენ გვინდა მეტად თამამი და გასუსჯელი ბავშვები, რადგანაც ისინი შემდეგში დაუფიქრებლად შესწირავენ მსხვერპლად თავს სამშობლოს საკურთხეველზედ“. ეს გურლიტის აზრი, უქველია ცოტა ცვლილებით გამოსაყენებელია ქალთა ალზრდაშიაც, მაგრამ ეს თვისებები, რასაც ჩვენ მოზრდილებში ვაფასებთ, მოზარდ თაობაში მავნებლად არის დასახული და ცეცხლითა და მახვილით ცდილობენ მის ამოფხრას. ამ შემთხვევაში გვაიწყდება ჰორაციის ბრძნული სიტყვები, — რომ ძალად შეკავებული ბუნებრივი მიღრეკილება ბოლოს მანც

თავს იჩენს, — მივმართავთ უფრო და უფრო ძლიერ საშუალებებს, განკიცხვას და დასჯას, ხან და ხან კი პატარა ბავშვების გასასწორებლად მივმართავთ ფრიად უღირსს საშუალებას — სხეულის დასჯას. აქუნდა განვმარტო ჩემი აზრი სხეულის დასჯის შესახებ.

საბედნიეროდ ეხლა ბავშვების დასჯას ალზრდაში ისეთი დიდი როლი არ უქირავს, როგორც ორმოც-და-ათის წლის წინად. იყო, მაგრამ ეხლაც კი დასჯას დიდი როლი აქვს, რადგანაც ის წარმოადგენს ადამიანისთვის შეუფერებელს, უღირსს და უმიზნო საშუალებას. სხეულის დასჯა უღირსია ადამიანისთვის: უღირსია როგორც მასწავლებლისთვის, ისე მოწაფისთვისაც. მასწავლებელი, რომელიც წყევლებს მიჰმართავს, ამით გვიჩვენებს, რომ მას სხვა საშუალება არ აქვს იმოქმედოს მოწაფეზედ, რომ მას ხელში აქვს ერთი საშუალება — ფიზიკური ძალის უაღრესობა. თუ მასწავლებელი გაჯავრებულია და სცემს მოწაფეს, შეუძლია დაასახიჩროს ბავშვი, თუ მაშინ სცემს, როცა დამშვიდებულია და გულმოსულობა მიწყნარებული აქვს, იგი ახდენს საზიზღარ ჯალათის შთაბეჭდილებას; თუ მან კარგად ვერ გაიგო ბავშვის საქციელი, რამაც მასწავლებლის გულის წყრომა გამოიწვია, რაც ხშირად ხდება, მაშინ მასწავლებელი ჰკარგავს თავის ავტორიტეტს მოწაფის თვალში. სხეულის დასჯა უღირსია ბავშვისთვისაც იმიტომ, რომ ის შეურაცხყოფს და ამცირებს ბავშვის პატიოსნების და თავმოყვარეობის გრძნობას, თუ ეს გრძნობა ნორმალურია, განსაკუთრებით თუ დასჯილ ბავშვს ცხადათ ეტყობა ბუნებრივი სიამაყის თვისება. თუ ამ მოსაზრებით არ სცემენ თვრამეტი წლის ქაბუკს, ან ქალს, რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ,

რომ ეს სხეულის დასჯა ისე ცუდათ არ იმოქმედებს ათი თუ თოთხმეტი წლის ბავშვის ფსიხიკაზე, რად გვეგონია, რომ ეს დასჯა ისე დამღუპავად არ იმოქმედებს დიდის ხნობით, შეიძლება მთელს სიცოცხლეშიაც არ დასტოვებს შესამჩნევს კვალს ბავშვის ნორჩს სულში? ბავშვის მიდრეკილებანი ამით ხომ არ შეიცვლება. ან განა ოდესმე აღმზრდელს შესძლება სხეულის დასჯით მშობარა ბავშვი გამბედავი გაეხადოს, ურჩი და მტკიცე გამგონე და მორჩილი? მხოლოდ განრისხების შიშს, ფიზიკურ ტკივილების შიშს შეუკავებია ბავშვი ცოტა ხნობით. ბოლოს როცა ვხედავთ, რომ ბავშვები სასტიკად ეპყრობიან მაგალითად ცხოველებს, ან ტრაბახობენ და სტყუიან, ჩვენ ვაღივლებულნი ვართ გავარჩიოთ ეს საქციელი; და თუ მიუდგომელად განვსჯით, დავინანსავთ, რომ ბევრს შემთხვევაში, დამნაშავენი არიან არა ბავშვები, არამედ თვითონ ჩვენ, ან სხვები. ჩვენ მაინც ვსცემთ ბავშვებს, იმის ნაცვლად რომ ჩვენს თავზედ დავიხედოთ და მოვახდინოთ პატიოსანი ცდა ბავშვის მოსარჩენად სულით ავადმყოფობისაგან, სად არის აქ ლოდიკა? ამიტომ—შორს როზგებზე შორს ყოველგვარი დასჯა სხეულისა, დროა ბოლო მოელოს ამ უღირს საშუალებას აღზრდის სისტემაში და განიდევნოს იგი მასწავლებლის ავტორიტეტის დასაცავისა და ბავშვის სულის სინჯის შენარჩუნებისათვის. მუდმივი მუქარა და გაფრთხილება ისეთი შეუფერებელია, როგორც სხეულის დასჯა, მაგრამ იმას მაინც ხშირად ხმარობენ სკოლაში და განსაკუთრებით ოჯახებში. როცა ბავშვს ხშირად ესმის აღმზრდელისაგან: „ეს უნდა გააკეთო და ეს არაა“, ასეთი ზეგავლენა ბავშვში რომ სერიოზულად ღრმად ჩაუვირო-

დეს თავის თავს ვერ მოახდენს და ვერც გამოიწვევს ხანგრძლივს ცვლილებას მის ფსიხიკაში, მხოლოდ დაუჩლუნგებს გრძობას. და თუ ხშირად სამაგალითოდ ამა თუ იმ ბავშვზე მიუთითებენ, ესეც შეუსაბამოა, რადგანაც ამით ბავშვს აღძვრის უსიამოვნო გრძობა სამაგალითო ბავშვზე, რომელსაც შეიძლება სხვა ბუნებრივი თვისება ჰქონდეს და საძნელოც არ იყოს მისთვის მეორე ბავშვისათვის მითითებული სათნოება; ბავშვს უსიამოვნო გრძობები დიდებულად აღძვრის, როცა მუდამ ჩასჩინებენ და თავს აბეზრებენ გაფრთხილებით და დარიგებით, მაშინაც კი მიზანი—რომ ერთმა ბავშვმა მიჰბაძოს მეორეს, უფრო სათნოთიან ბავშვს,—მიუწოდებელი ხდება.

მაშ, შემცდარი ყოფილა ის გზები, რომელთაც მივყავდით ზე მიგვიყვანეს ხასიათის აღზრდის აღნიშნულს შეხედულობამდის. მაშ რომელია სწორი გზა?

„მე მრწამს, რომ აღზრდის მიზანი იმედენია, რამდენიც ადამიანია. ბავშვები, რომლებიც სკოლაში მიჰყავთ, ჰგვანან სხვა და სხვა მცენარის ერთ მუჭა თესლეულობას; თითოეულს თესლში და თითოეულს ბავშვში ცხადათ გამოსახულია მომავალი ხის, მომავალი ადამიანის სახე: მებაღე არ ეტყვის მუხას. „წიფლად იქეცია“, ან წაბლს: „ცაცხვად გახდია“! სწორედ ასე ჩვენაც ბავშვის ბუნება უნდა მიგვაჩინდეს ერთად ერთ გზის მაჩვენებელ ძაფად აღზრდის საქმეში და ჩვენც არავითარი ძალდატანება არ უნდა ვიხმობოთ, არ უნდა დავსდვათ არავითარი საზღვარი განვითარების ნიქში და მხოლოდ გონიერი მებაღის მსგავსად უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ იმით, რომ მოწაფეს მივაწოდოთ კარგი, ე. ი. მისი ბუნების შესაფერისი საზრდო და მოვლა

შორით ყველაფერი, რაც ხელს უშლის ბავშვის ბუნებრივ განვითარებას“, რასაც გურლიტი თხოულობს მასწავლებლებისაგან მშობლებსაც იგივე მოეთხოვებათ: ბავშვის აღზრდაში სკოლისა და ოჯახის მოწყობილობა უნდა ეთანხმებოდეს ბავშვის ბუნებას, და ის აღზრდის მეთოდებიც, რაც ხმარებაშია, არ უნდა იქნას დამყარებული ცხოვრებაში გამოუყენებელ თეორემებზე, რადგანაც უკანასკნელი ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნების არსებითს მხარეს.

რადგანაც ჩვენ ვიზიარებთ გურლიტის აზრს, უნდა დავეთანხმოთ იმაშიაც, რომ ჩვენი დანიშნულება ბავშვის აღზრდაში შემდეგში უნდა გამოიხატოს: შეძლების დაგვარად მოვსპოთ სიავის, ბოროტების ნასახი და ხელი შევეწყოთ სიკეთის განვითარებას. მაგრამ თუ გვინდა ამ ამოცანის გადაწყვეტა, თავდაპირველად უნდა შევიგნოთ ის ნასახები, რაც ჩათესლილია პაწია ადამიანის სულში, სხვანაირად რომ ვსთქვათ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ ბავშვის ფსიხოლოგია; თუ ჩვენ ცუდი ფსიხოლოგები ვართ, უნებლიეთ დავემსგავსებით იმ უმეცარ მებაღეს, რომელიც სთხრის სასარგებლოს, ან რომელსამე დეკორატიულ მცენარეს, ბალახს კი სტოვებს და უვლის მას. რაც შეეხება ბავშვის ფსიხოლოგიაში გარკვევის ცოდნას, ამაში აღმზრდელები ხშირად ძლიერ სუსტობენ; მასწავლებლები კი, თუმცა ხშირად ისინიც სცდებიან, მაგრამ მაინც უფრო მომზადებულები არიან, ვიდრე მშობელთა უმრავლესობა. ამ გარემოებასაც ის საჭირ-ბოროტო მნიშვნელობა აქვს, რომ ბავშვები, განსაკუთრებით პირველ ხანებში, რაც უფრო საჭიროა აღზრდისათვის და შემდეგშიაც სკოლაში მიზარების შემდეგ, უპირატესად თავიანთ მშობლების მიედ-

ველობაში და თვალ-ყურის გდებაშია. მშობელთაგან კი დედას — (ეს თვით ბუნებამ შეჰქმნა) — დიდი ხანია მეტად ძლიერი და ხანგრძლივი გავლენა აქვს თავის შვილებზე. და მიუხედავად ამისა ჩვენში ყოველთვის მცირე ყურადღებას აქცევდნენ დედების აღზრდას. დროა ამ საქმეს მიექცეს სასურველი ყურადღება და ჩვენც მოგვევლინოს ნამდვილი დედები ე. ი. არა იმდენად ნასწავლი, რამდენადც ისეთები, რომელთაც თბილ დედობრივ გრძნობასთან ნამდვილი დაკვირვების ნიჭი, ნათელი აზროვნება და მტკიცე ენერგიული ნება ჰქონდეს.

თუ უმეტესობა ჩვენის დედებისა და აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას და არა მარტო თითო ოროლა, როგორც ეხლაა, და თუ მამები და მასწავლებლები თავიანთი დანიშნულების სრულის შეგნებით ხელის ხელ ჩაკიდებული იმოქმედებენ ამ საქმეში, მაშინ ბავშვის ხასიათის აღზრდაც იმდენად საქნელი არ იქნება და შედეგიც გაცილებით ჯუკეთესი იქნება, ვიდრე ეხლაა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არ უნდა ვიქმნეთ გატაცებული კრუ ოცნებებით, არ უნდა ველოდეთ სკოლიდან და ოჯახიდან შეუძლებელს რასმე, არ შეგვიძლია მოვსთხოვოთ, რომ მათ ცხოვრების სარბიელზე ხასიათით სრულიად მომწიფებული ახალგაზრდები გამოუშვან. სკოლა და ოჯახი თავიანთ მოვალეობას შეასრულებენ, თუ შესაფერისად და მტკიცეთ გაიყვანენ ვზას ხასიათის განვითარებისაკენ; შემდეგ თითოეულმა ცალკალკე უნდა განივითაროს და განიმტკიცოს თავისი ხასიათი, რომ შესძლოს და წინაღუდგეს ცხოვრების განსაცდელს, რომელიც იჩენს მთელს თავისს ტიტანიურ ძალას მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი თავისუფალია უფროსების წიზრუნ-

ველობისაგან და თვითონ ხდება პასუხისმგებელი თავისს ყოველგვარს საქციელში.

რას უნდა მიაქციოს ყურადღება ოჯახმა და სკოლამ, თუ მას უნდა, ერთის მხრით, მოგვაშოროს ყველა ის გავლენანი, რომელნიც შეაჩერებენ, ან ხელს უშლიან ჩვენი ხასიათის წესიერ განვითარებას და, მეორეს მხრით, ხელი რომ შეუწყონ სულის კეთილშობილურ მისწრაფებას? აქ ოჯახისა და სკოლის დანიშნულება შეიძლება შევადაროთ ექიმის დანიშნულებას, რომელიც ებრძვის ნამცეცა ცოცხალ არსებათ, რომელნიც მილიარდობით გარს გვახვევია და ყოველს წუთს გვემუქრება ჩვენი სხეულის მოშხამვას. ექიმი იმას კი არ ცდილობს, რომ მოხბოს ეს ცოცხალი არსებანი, — ეს შეუძლებელი იქნებოდა, — არამედ იმას, რომ გამოაწრთოს ადამიანის სხეული, მიიყვანოს ადამიანი იმ მდგომარეობამდის, რომ შეგიგრძობდეს თავის საქციელით თავის თავს სრულიად კმაყოფილად, მიაჩვიოს ბინუფთავებს, სუფთა ჰაერზე მოძრაობას, ჯიზაკურ ვარჯიშობას, ამასთან აწვდის საკმარისად ნოყიერს საქმელს, რომ ყველა ამით წინააღმდეგობა გაუწიოს მტრებს. ამიტომ ადამიანის ხასიათის შესამუშავებლად უარყოფითი სემუშაო ე. ი. დაცვა ბავშვისა ცუდათა გვლენათაგან, არ უნდა ასრულებდეს გადამწყვეტს როლს. რასაკვირველია, როცა ბავშვი ცუდს რასმე ხედავს, თუ გინდ ცუდი სიტყვა იყოს ან სხვისი ცუდი საქციელი, ცუდი წიგნი, ან უზნეო სურათი, — ჩვენ უსათუოდ უნდა წინააღმდეგობა გაუწიოთ ამას; ჩვენ უნდა მოვსპოთ ბავშვის გარშემო ატმოსფერიდან ყოველგვარი ჭორიკანობა, ცილის წამება, ტყუილი, სიცრუე, ცბიერება, სიმბდალე, სიავე და სხ., რასაკვირ-

ველია, თუ კი ამას შევიძლებთ. მაგრამ ვინ იქნება თავმდები, რომ ყველა ჩვენი კეთილშობილური და დაუღალავი მისწრაფება, რომ სუფთად შევინახოთ ის ატმოსფერა, რაც ბავშვს გარშემო არტყია და რაც ხელს უწყობს მისს ზნეობრივს განვითარებას, რომელსამე წუთში უნაყოფო არ იქნება და ფრიად სასტიკად არ დაირღვევა? განა შეიძლება მუდამ თვალწინ გეყენოს ბავშვი, ან და კვალ და კვალ სდიო მას? მე მგონია, რომ ჩვენ პედაგოგები სასტიკად ვცდებით, როცა გვინდა დიდხანს გვყავდეს ბავშვები, ქალები და ვაჟები უმეცრებაში და ვცდილობთ დავიფაროთ ისინი მოსალოდნელ მრისხანე საშიშროებისაგან; ვისაც უნდა სიარული და სირბილი ისწავლოს, თავდაპირველად უნდა წაიფორხილოს და დაეცეს კიდევ (ტურვასაც ვერ ისწავლი, რომ წყალი არ ჩაყლაპო); ვისაც უნდა ძლიერი ზნეობრივი ხასიათი შეიმუშაოს, ის უნდა ებრძოდეს განსაცდელს და მაცდურობას.

როგორც ვსთქვით; პატარა ბავშვი, შეძლების დაგვარად, უნდა დავიფაროთ ყოველგვარ ბიწიერებისაგან; განსაკუთრებით თუ ის მოვლენილია მაცდურის სახით. თუ დასჯა საჭიროა, არასოდეს მან ძალმომრეობის სახე არ უნდა მიიღოს, თუ რატომ, ეს უკვე ზემოთ დავამტკიცეთ; დასჯა მქიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ბავშვის დანაშაულობასთან ან იმას უნდა მიმართონ მხოლოდ დაწვრილებით აწონ დაწონვის და მოფიქრების შემდეგ და მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულობა (ამასთან სერიოზული დანაშაულობა) სრულიად აშკარაა. იმის შესახებ, რომ თუ ბავშვმა ცუდი საქციელი გაიმეორა, უნდა თან და თან და ძლიერ ფრთხილად გააძლიერონ დასჯა,

მართალი რომ ესთქვათ, ლაპარაკიც არ ღირს, რომ ჩვენი პედაგოგები სიბეცისა თუ სიანჩხლის გამო ასე ხშირად არ სტოვებდნენ ყველა ამათ უყურადღებოდ; შედეგად კი—შეცდომა, რომლის მიზეზსაც აღმზრდელი ბავშვი ეძებს, ან სხვებში და არა თავის თავში, რაც ერთად ერთი სინამდვილე იქნებოდა.

სულ სხვაა დასაჩუქრების საქმე. ამაში პედაგოგებს უფრო ხშირი და უფრო ძლიერი შეცოდებანი მიუძღვისთ, ვიდრე დასჯაში. დიდი შეცდომაა ჩვენის მხრით აღუძრათ ბავშვს ისეთი გრძნობა, რომ რომელსამე შემთხვევაში მან იმაზე მეტი გააკეთა, რასაც მოვალეობა აკისრებდა, რადგანაც ეს გრძნობა უფითარებს ბავშვს სიამაყეს და ამპარტაუნობას; კიდევ უარესი შეცდომაა გაუფითაროთ ბავშვს საჩუქრის დაპირებით სიხარბე, საჩუქრისადმი მისწრაფება, რაც ამტკიცებს ადამიანის უზნეობას და მაშასადამე სრულიად წინააღმდეგია იმისი, რასაც ელტვის შეგნებული აღმზრდელი. საჩუქრებისაგან არსებითად სრულია განსხვავდება, როცა ბავშვებს აგრძნობინებენ გართობით კმაყოფილებას, ან როცა აქვთ აღმზრდელი რომელსამე ნიჭიერს ყაწვილს. ბავშვის ქება შეიძლება აღერსიანი შეხედვით, ხელის ჩამორთმევით, თბილი სიტყვებით, რომ მისგან სხვაგვარ საქციელს არც მოელოდნენ და ასეთს ქებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს, რადგანაც იგი უფითარებს ბავშვს რწმენას თავის თავისადმი, ამიტომაც ამ საშუალებას ხშირად უნდა მიჰმართონ როგორც უნიკო, მაგრამ ბევრითი ბავშვების სწავლების დროს, აგრეთვე ისეთი ყმაწვილების ზნეობრივად აღზრდაში, რომელთაც ეტყობათ კეთილშობილური მისწრაფება შეიკავონ თავიანთი ბუნებრივი გრძნობის

უზომო. გატაცებანი. მაგრამ ყველაზე უფრო სასიამოვნო ის არის, როცა კაცი თავის საქციელით არა თუ სხვას ასიამოვნებს, არამედ თვითონვე გრძნობს საიამოვნებას. ასეთი კმაყოფილების შექმნა ადამიანში აღზრდის უკანასკნელ მიზანს შეადგენს. მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას, ან უკეთ რომ ესთქვათ, რა გზა მიგვიყვანს ამ მიზნამდის?

მშობლებმა თავდაპირველად იმას უნდა მიჰქციონ ყურადღება, რომ ბავშვს სხეული ნორმალურად განვითარდეს, შესაფერისად მოუარონ ბავშვის სხეულს, რის გამოც ის შეიქმნება უფრო ძლიერი, სალი და ამტანი. ამ დროს ბავშვის ნერვებს უფრო მეტი და მეტი მოთხოვნილება უჩნდება და ამის მიხედვით საჭიროა საქმის ცოდნით ბევრითად თვალყურის დევნა, რომ ნერვები არ დასუსტდნენ სხეულის მოუვლელობისა გამო, ან შიმშილით. და ამან ხელი არ შეუშალოს ხასიათის სიმტკიცის განვითარებას; ბევრი საქმელი, მაგარი სასმელები, ლხინი, განსაკუთრებით თუ შუღ ღამეს გადაცილდება, — ყველა ეს აღძრავს და აღიზიანებს ფანტაზიას და ამიტომ მოზრდილთათვის (მომეტებულად ქალბებისათვის) ეს ისეთი საშიშია ზნეობრივად მხრით, რომ მას საბედისწერო მნიშვნელობა ექნება მთელს მათს სიცოცხლეში.

კიდევ კარგი მშობლებისათვის, თუ მათ ბევრი შვილი ჰყავთ. მაშინ ხშირად თვითონ ბავშვები ასრულებენ იმ დანიშნულებას, რასაც აღზრდა თხოულობს მშობლებისაგან; როცა მრავალ რიცხოვან ოჯახში რომელსამე ბავშვთაგანს აღმოაჩნდება რაიმე სისუსტე, ან ცოდვა, უფროსი დები ან ძმები ცდილობენ იმის ამოფხვრას, თუმცა ხშირად სასტიკ საშუალებასაც კი მიმართავენ ხოლმე და პედა-

გოგიურის მოსახრებით არ ხელმძღვანელობენ; ამისთანა მარჯვე შემთხვევაში სიმხალე და შიში, მეტი ყბედობა და კვებნა, ანგარება და თვითრჯულობა, სიღინჯე წლოვანების მიუხედავად, ფარი-სელობა და სხ. ისე ადვილად ვერ განვითარდებიან ბავშვში, როგორც იქ, სადაც იზრდება ერთად ერთი ბავშვი. მშობლებმა სიამოვნებით უნდა შეუწყონ ხელი ამ დახმარებას, რასაც ბუნება აწვდის მათ, და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში უნდა გაერიონ ბავშვების ჩხუბში, შეაკავონ ან დაეხმარონ მათ. თუ ოჯახში მარტო ერთი ბავშვია, მშობლებმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ, რომ არ გაანებივრონ თავიანთი საყვარელი შვილი, ამყოფონ იგი ფიზიკურად და სულიერად საღ ბავშვებში, თუნდაც ეს ბავშვები სრულიად სხვა წრეს ეკუთვნოდნენ, ვიდრე ისინი, რომელთაც ეკუთვნის მათი ბავშვი.

შემდეგ მშობლების მოვალეობას შეადგენს ჩანერგვა ბავშვის სულში საღის ნასახისა ყველა კარგის და კეთილშობილის. გასაგებად, თან და თან უნდა განუმტკიცონ ბავშვს ნების იმპულსები და აღმოფხვრან ცუდი მიდრეკილებანი, თუ ეს უკანასკნელი თვალსაჩინოა. მაგალითად ბავშვი რომ თავიდანვე ბუნებრივად აღიზარდოს და მიაჩვონ იმ აზრს, რომ მცენარის მოსპობა და გაფუჭება, ცხოველების წვალება და დახოცვა უსამართლობაა და ცუდი საქმეც და, პირიქით, საჭიროა სიამოვნებას ჰპრულობდნენ ბუნების მოვლაში და მის განვითარებაში; თუ თან და თან აღწობებენ ბავშვს კეთილშობილს პირებს, აწვდიან საუკეთესო წიგნებს, რომელშიაც აწერია სხვა და სხვა წრის საზოგადოების ხალხის კეთილშობილური ხასიათები; თუ

ბავშვი პატარაობიდანვე მიეჩვევა დაათმოს სიმაჰაყე, კეთილშობილური სიმაჰაყე, პატიოსნება, მართლის მოყვარება, სიკეთე, მიუდგომლობა, თავგანწირულობა და სხ. გრძობანი, რასაც ბავშვი ცხოვრებაში ხშირად შეეხებება, — ყველა ამას უძლიერესი გავლენა ექნება მის ფსიხიურს ცხოვრებაზე; თუ კი ბოლოს ის არ ჩაითრია: მოპირდაპირე გავლენის ძალამ; ბევრი მშობელი დააღწევდა თავს ძლიერ უსიამოვნო წუთებს, რომ ენერგიულად წარემართათ ბავშვის აღზრდა იმ გზით, რასაც ჩვენ ვურჩევთ, იმის მაგიერ, რომ თავი დაანებონ ბავშვების წვალებას ზრდილობის ვარგანი ფორმების გახეობებით, ან მორთულობისაკენ მათი გულის ყურის მიქცევით.

ბავშვის შინაგან განვითარებისათვის და სიკეთის შეგნების აღორძინებისათვის ბევრი რამ შეუძლიათ თვითონ მშობლებს, რომლებიც ამ მხრივ მაგალითს წარმოადგენენ თავიანთი შვილებისათვის. ვისაც უნდა მტკიცე ხასიათის შვილი გამოჟვიდეს, თვითონვე უნდა ჰქონდეს ასეთი ხასიათი. გამოცდილებით ცხადია, თუ ბავშვი ხედავს, რომ მისი მშობლები ბედნიერს ღვსადაც და განსაცდელის დროსაც დაულაღვად მუშაობენ, თუ იგი მთელს თავის ბავშვობაში და სიჭაბუკეში განუწყვეტლივ ხედავდა მშობლების მხნეობას, მოთმინებას და სიკეთეს, სიმართლეს, თავგანწირულობას, შვილებისა და მოყვრის სიყვარულს, მაშინ ეს თვისებანი, რაც ფრიალ საჭიროა ხასიათის გასავითარებლად, მთლად თუ არა მისი მეტი ნაწილი მაინც გადაეცემა ბავშვს და იმის ბუნებაში ისე მტკიცეთ და ღრმად აღიბეჭდება, რომ ვერავითარი ცხოვრების განსაცდელი ვერ აღმოფხვრის მას იქიდან; ასეა სხვა სათნოების საქმეც. მაგრამ ყვე-

ლაფერი ასე თანასწორ დ თუ არ მიდის, ნებას სიკეთისადმი ხანდახან თუ არ შეუძლია ბრძოლა განსაცდელთან, მაშინ მერყეობაში მყოფი ადამიანის გარდაქმნა შეუძლიან სასტიკ გამოშეტყველებას, სერიოზულად რჩევას, გამამხნეველ შთაგონებას. თითქმის უარეს შემთხვევაშიაც ე. ი. თუ კაცი ხშირად ვარდება შეცდომაში, არასოდეს იარალი მაინც არ უნდა დაჰყარონ; უნდა ვნუგეშობდეთ იმით, რომ ადამიანი მხოლოდ თან და თან მაგრდება: ერთი—უფრო ჩქარა, მეორე—უფრო ნელა, და ბევრესაც უნდა აგრძობინონ, წაქეზებით ანუ ქებით, თითქმის მცირე პროგრესიც მისა ხასიათის განვითარებაში.

ოჯახთან ერთად ბავშვის აღზრდის საქმეში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სკოლასაც. სკოლა არსებითად ხელს უწყობს ყველა იმ საყურადღებო მუშაობას, რაც ოჯახმა დაიწყო, და მიმართავს იმავე ღონისძიებას, რასაც მშობლები ხმარობენ. მოვიგონოთ ის მაინც, რა ყურადღებით და გონივრულად უვლიან ბავშვის სხეულს სკოლაში*), როგორ იტარავენ ყველა იმ ცუდ გავლენათაგან, რომელნიც ცუდათ მოქმედებენ ბავშვზე, ამხანაგური და საზოგადოებრივი გრძობათა განვითარებაზე, იმ გრძობათა, რასაც თვითონ სკოლის ცხოვრება გამოიწვევს და რის ძლიერ განვითარებაც შესაძლებელია შესაბამ საშუალებათა მიღებით. ჩვენ ყველას ცხოვრების მდიდარი გამოცდილება გვაქვს, ყველამ ვიცით რა დიდი და ხანგრძლივი გავლენა აქვს მოწათის აზროვნებაზე და ნების მიმართულე-

*) ჩვენში სამწესრიგად სხეულის მოვლა სრულიად უუურადღებოა არის მითვებული.

ბაზე მასწავლებლის სამაგალითო კერძო ცხოვრებას, მის მიერ სინდისიერად მოვალეობის ასრულებას, იდეალისკენ მისწრაფებას. აქვე აღვნიშნავთ კიდევ ხასიათის ერთს მნიშვნელობას, რასაც ჯერჯერობით სკოლაში ჯერ აქცევენ საჭირო ყურადღებას: მე ვამბობ იუმორის შესახებ. იუმორი ღვთიური ნიჭია, ყველა არ არის ამ ნიჭით დაჯილდოვებული; ვისაც ეს ნიჭი ეწყობოდა სიყმაწვილეში, არსებობისათვის მძიმე ბრძოლაში, სამსახურში გართობით, პირადი და ოჯახური უსიამოვნების გამო ხშირად გაპარვია, მაგრამ ვისაც ეს ნიჭი თავიდანვე დაჰყვება, არ უნდა ჩამარხოს მიწაში: იუმორი,— დროს შესაფერისად სიცილი, შეგნება და პატიება ხელს უწყობს აღმზრდელს და მის მოწაფეებს ხუმრობით სძლიონ საშიში პირობები; იგი უხსნის გულს მოწაფეებს, დაახლოვებს მათ მასწავლებელთან, ხელს უწყობს სუსტებში რწმენისა და გამბედაობის განვითარებას და მეორეს მხრით მცირე სარკაზმის გარეგნით მეტი ჩარასა და ყბედს ჰქმნის მშვიდ ადამიანად, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ძალა და ნიჭი.

ყველა პედაგოგები იმ აზრისანი არიან, რომ ბავშვის ზნეობრივი ხასიათის აღსაზრდელად სკოლაში საუკეთესო საშუალებად კარგი გადაცემაა; მაგრამ რა უნდა ვიგულისხმოთ „კარგი გადაცემით“, ამის შესახებ პედაგოგების აზრი სხვა და სხვანაირია. ვუწოდებთ თუ არა კარგს ისეთს სწავლებას, თუ წლის ბოლოში, ან სწავლის დასრულების დროს მოწაფეთავე გამოიჩენს სხვა და სხვა მეცნიერებიდან კარგს და ბევრის ცოდნით, რაც მან მიიღო სკოლაში ყოფნის დროს? რომ დაუკვირდები სწავლებას ჩვენებურს სკოლებში და იმას თუ როგორ აძლევენ

ატესტატებს და სიმწიფის მოწმობებს, ხან და ხან მართლა გგონია, რომ ასეთი სწავლება კარგია. ნამდვილად კი ღრმად ჩაფლულნი ვართ დიდაქტიურ მატერიალიზმში, მიუხედავად სერიოზული გაფრთხილებისა მრავალ შეგნებულ პედაგოგთა მიერ, რომელთაც ამ რამდენისამეთის წლის წინად გვიჩვენეს მრავალი ნაკულევენება ჩვენი სწავლების სისტემაში; ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელი ჩვენი სწავლება, მიუხედავად მრავალის ბეჯითობისა და ძალდატანებისა მასწავლებლისა და მოწაფეთა მხრით, მაინც ცოტა ნამდვილ განათლებულს და კულტურულ ადამიანებს იძლევა. წიგნური სწავლება, ძლიერ ხშირად, თუ კი შეიძლება ასე ვსთქვათ, ადამიანის გონების ზედა პირზეა მოქცეული: ცოდნასანდალოზია, ხის წებო, გაქნილი სპირტში, რომელიც ხშირად იშლება და ჰქრება, თუ ის ხშირად არ განაახლეს ყოველის მხრით. სწავლის შეძენა, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ სამეცნიერო ცოდნას თავის თავად მცირე გავლენა აქვს სულზე, უფრო მცირე ნებაზე და მაშასადამე ადამიანის ხასიათზედაც.

გაცილებით უკეთესია, თუ სწავლება მიმართულია მიზეზთა გამოკვლევისაკენ, ნივთთა მიზნისა მნიშვნელობისაკენ, თუ ის გამომდინარეობს იქიდან, რომ გოძლიეროს და გაუფითაროს მოწაფეს აზროვნების ძალა, რადგანაც რამდენადაც კაცი უფრო განათლებულია, მით უფრო გაარჩევს იგი კანონიერებას უკანონობი-

საგან, ზნეობას უზნეობისაგან; მაშინ იგი უკეთ გაერკვევა იმაში, რასაც აკეთებს, თუ გააკეთებს ამას და ამას; ბედნიერი გახდება და ზნეობრივ კმაყოფილებასაც მიიღებს და თუ განსაცდელმა ჩაითრია, დაიღუპება. ამიტომ ყველა სკოლებმა: დაბალმა და საშუალომ, ვაჭებისამ და ქალებისამ, საზოგადო განათლებისამ და სპეციალმა—ყველა თავისი ძალდონე მოწაფის გონებისა და აზროვნების ვარჯიშობისკენ უნდა მიჰმართონ, განუფითარონ მოწაფეს ცხადი და დასაბუთებული მსჯელობის ნიჭი, რადგანაც ამ სახით შეგვიძლია ჩვენ ახალთაობა წავეყვანოთ ცხოვრების სარწმუნო გზაზე; ასეთი გაფრთხილება ერთის შეხედვით თავისთავად საგულისხმოა და ამიტომ შეიძლება მეტიც იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ამასაც ხშირად უნდა ჩაეჩინებდეთ ჩვენს პედაგოგებს.

ჩვენ ყველამ, ვინც აღზრდის საქმეს ვემსახურებით, პროფესიით თუ პირადის სურვილით, ყოველი ღონისძიება უნდა ვიხმაროთ მოვსპოთ ყოველგვარი ცრუმორწმუნება და გზადაბნეულობა, რაც არსებობს მოზარდ თაობათა ფიზიკურ თუ ზნეობრივ აღზრდის სფეროში; ამით თითოეული ჩვენთაგანი შეიტანს წვლილს სასოგადო საქმეში, უჩვენებენ მოწაფეებს ახალს გზას, რომელზედაც ისინი განვითარდებიან მტკიცე ხასიათიან ძლიერ პიროვნებად.

ლ. ბოცვაძე.



ადმსრდელობითი მნიშვნელობა სკოლის ბავებისა

უკვლამ იცის, რომ ბაღოსნობას ფრიად დიდი და საუკეთესო გავლენა მთაქვს ადამიანის ფიზიკურს, გონებრივს და სულიერს მხარეებსზე. უფალს უფრო ადმსრდელობითი და სადი გავლენა ბაღოსნობას მოსწრდ თაბაზედ აქვს. ამიტომაც განსაკუთრებით უურადღების დინსია ის მისწრაფება, რომ უკულა სკოლას ჭქონდეს თავისი საკუთარი ბადი და ბოსტანი.

სასკოლო ბადში სკოლის მოწაფეები, ან უკვლასი ერთად მუშაობენ, ან საოითათად აქვთ მისენილი საკუთარი კვლები.

რასაკვირველია დიდი ქალაქების შუაგულადგილას ადვილი არ არის ბადის მოშენება, მაგრამ ეს ადვილია ქალაქების განაზირას და უფრო ადვილი სოფლებში.

დღემდის ბადის მოშენებას სკოლებთან გერმანიაში წინ არ წაუწევია, მაშინ როდესაც ბეღციამ, საფრანგეთმა, სვანდინავიამ, ავსტრიაში და შვეიცარიაში ამ მხრით დიდი ნაბიჯი წარსდგეს წინ. ხალისი რომ აღუძრან ბავშვებს ბაღოსნობისადმი, ჭიენანი ურჩევს „შერთებულის შრომით მიღებული მოსავალი ბადიდან თავდაზირველად ბავშვებს გაუნაწილონ, ან სასუქრად, ან ძლიერ იათად“.

ეს ზრინციბი სკოლებში უკვლგან დაცულია, სადაც ბადში საერთო მუშაობა არ არის, არამედ სადაც თითოეულ მოწაფეს საკუთარი კვალი აქვს მისომილი შესამუშავებლად.

პირველი ცდა ამ მხრით რუზერმა, სოუტგამპტონის სკოლების ინსპექტორმა მოახდინა ინგლისში. ამ თითხმეტ-თხეთმეტი წლის წინად მან გადასწევიტა პირველად საცდელად

მოინდომა: „ადეკრ ბავშვებში ბუნებისადმი სიყვარული, წახვალისუბისა ისინი ბაღოსნობაში და მიეტა მათთვის თავისუფალ დროს სასიამოვნო, სადი და გამოსარჩენი სამუშაო“.

რუზერმა ბუნემუტის მასლობლად აირსია ცოტად სოიერი მიწა, დაჭეო თორმეტ დიდ კვლებად და ჩაბარა თორმეტ მოწაფეს, თითო თითოეული კვალი და დაავალა, რომ თავის თავად შეემუშავებინათ.

რად აირსია მან ასეთი სინოიერეს მოკვებული, მცირე მოსავლიანი მიინდორო? იმიტომ, რომ მოწაფეები შეხვევოდნენ ბუნების მიერ წამოყენებულ სიძლეესთან ბრძოლას და სხვად და სხვა საშუალებით მცირე ნიადაგის შემუშავებასაც შეხვეულიყვნენ. ამ ცდამ ისეთი კარგი ნაყოფი მოიტანა, რომ ინგლისურმა კაზეთმა „ტაიმს“ ვუებერთელა წერილები უძღვნა რუზერის სამავალითა ბადს.

ბადის კარებთან ქობია, იქ არის კანტორა და თორმეტი წეება სხვად და სხვად გვარ საბაღოსნო იარაღებისა, ესენია: წერაქვი, ფოცხი, ფიწალი, ბარი და ნიხაფი, ხელის ურმები, სარწეული იარაღები, კალაყები და ცოცხები—საერთო საკუთრებას შეადგენენ. თითოეული კვალი ბადში და ატრეთეე იარაღებიც დანომრილია. უკვლავ ბავშვები მოყვალენი არიან იარაღები სუთთად ჭქონდეთ და ხმარების შემდეგ დაჭვიდონ თავიანთ ადგილზედ აღნიშნულ ნომრის ქვეშ. სამჯერ კვირაში ლექციებს უკითხავენ ბაღოსნობის შესახებ და უკვლავ მათგანი ვადებულა მთისმინის წლიური კერსი. ზრატეიკულად მუშაობის შემდეგ, რასაც სელმდგანულობს დანიშნული მებადე, მოჭეება

თეორიული მუშაობა. შებაღე უხსნიის მოწაფე-
ების თუ რად აკეთებენ ამას თუ იმას, ჰასიეს
ადღევს მოწაფეებს მათს შეკითხვასზე, თვალ-
ყურს ადევნებს, რომ მოწაფეებმა აღნიშნონ,
ხასწერონ ცნობები; შემდეგ გაკვეთილზე მათ
მოკლეთ უნდა უამბონ ხასწავლი.

ითითოეულ 12 კვლავი დაეოფილია თორმეტ
ნაწილად და თითოეულმა მოწაფემ რიგ-რიგად
უნდა მოიყვანოს ბოსტნეული თავიანთ კვლებ-
ზე. ეს აწვევს მუშაობაში მეტ-ქეობას; გა-
ჯიბრებას მოწაფეთა შორის; ეს აქეცებს მათ
მუშაობაშიაც. ამ თორმეტს კვალზე მოჭყავთ
ინგლისში ევკლასზე უსაყვარლესი ბოსტნეუ-
ლია: ჭარხალი, ბრიუსელის კომბოსტო,
თეთრი კომბოსტო, მუხუდო, ლობიო, სტა-
ფილო, კარტოფილი, სხვა და სხვა ჯიშის
საღათა, ტომატი ესპანური ხახვი.

ევკლას მოწაფეს შეუძლია გაეიდოს ბოსტ-
ნიეული თავიანთ კვლებიდან. ადებულს აუღოს
მოწაფე ადღევს მასწავლებელს, რომელიც
აწარმოებს ითითოეულ მოწაფის დაუთარს და
მოწაფეებიც თავისთვინაც ჩაიწერონ თავიანთ
შემოსავალს. წლის ბოლოს იანგარიშებენ შე-
მოსავალს, რომლის ხასწავარი მიაქვს მოწაფეს,
მეორე ხასწავარი კი მიდის ხარჯის დასაფარა-
ვად თესლეულობის საეიდლად და სს.

ერთს უკანასკნელს წელს ერთმა მოწაფემ
12 მანეთის მწვანელი გაჭყიდა, მეორემ მარ-
ტო კარტოფილში აიღო 2 მ. 50 გ. აქედან
სსანს, რომ შებადეობა და შებოსტნიეობა, თუ
რთვიანად მოაწყო გაცმა, მომგებიანა და ეკო-
ნომიურის მხრითაც სასურველია, რომ ასწავ-
ლონ მოწაფეებს, განსაკუთრებით დარბებს
და ამ გზით შეიძინონ თუდი, რაც მათიუბს
სწავლის დროს საჭიროა. ამას გარდა მოწა-
ფები სწავლობენ დათვას „დღე-მიწა“, დრო,
სარკებელია მოინმარონ, თავიანთი ხსეობრი-
ვი, გონებრივი და თეზიკური ძალები განი-
ვითარონ; ბუნებისადმი სიუვარული, რაც ამ
პირობებში ვითარდება, სიდევეს ტლანქ ინს-

ტიკტებს, რაც ჩვეულებრივად სჭარბობს ბა-
ღებში.

გარდა 12 დანიმრილი კვლებისა, არის
კიდევ საზოგადო საცდელი კვლები. აქ მოჭ-
ყავთ ჩაზი მწვანეულობა: სტატური, კიტრი,
გოგრა და სს., გაზაფხულზე იქ სთესენ იმას,
რაც შემდეგ ემწვილებმა უნდა ცადარგონ თა-
ვიანთ კვლებში.

ადიოსვლეთ ნაწილში ბაღში არის ევავი-
ლების კვლები, ხიდეულის ჩირგვები და ხე-
ხიდეები; იქვე ხასავთ მარწვეს, კინკრიყას,
მოცხარს, ყოლს, ვაშლსა და მსხლს; აგ-
რეთვე ვარდებს; რეზედას და სს. იქვე უმწ-
ვილები სწავლობენ ხეხილის და ვარდების
დამენას და მათს გაუმჯობესობას. დიდი ხანი
არ არის, რაც სოკოების მოსაშენებელი კვლე-
ბიც შემოიდეს.

რუპერის ცდამ ჩინებული ჩაფოფი გამოი-
ღო; მოწაფეები თავიანთ ცოდხას, უშობლე-
ბის სსსიამოვნოდ, თჯისშივე, თავიანთ საკუ-
თარს ბაღშივე იქენებენ. სრულიად არ გამარ-
თლებულა ის აზრი, ვითომ მოწაფეები უგუ-
ლოდ მოეზერობიან სკოლაში მეტადინეობასათ;
პირიქით, ისინი უფრო ბეჯითად სწავლობენ,
ვიდრე წინად, მიშით, რომ ბაღში მუშაობა
არ აუკრძლონ იმის გამო, რომ გაკვეთილი
კარგად არ ჰქონდესთ შესწავლილი. ცხადია,
ბავშვები უფველთვის ბავშვებადვე რჩებიან;
მათ ხსნ და ხსნ სიზარმაცეც შემოეზარებათ
ხოლმე. თვითონ თესვის, დარგვის და მოგ-
როფების პრაცესი მეტად სასიამოვნოა ემწ-
ვილებისათვის, მაგრამ ზოგიერთები სიამო-
ვნებით მოიშორებდნენ თავიდან ბარვას, მარ-
გვლას, მორწყვას, მიწის კაპობიერებას და
სხვა, ცოტად თუ ბევრად საძიელო სამუშაოს.
მაგრამ, შრომის დისციპლინის წყალობით,
ისინი თან და თან ეჩვევიან მუშაობას, რაც
ფრთად საჭიროა ხასიათის განვითარებისათ-
ვის. ერთი უმწვილი ერთხელ სიზარმაცის
გამო სახლში გაგზავნეს, მაგრამ ისევე დაბ-

რუნდა უკანსუ და მალე ბეჭითობაც გამოიხი-
ნა.

ამ ცდას, რასაც კარგი ნაყოფი მოჰყვა ბორ-
ნემეტში, ძლიერ მალე აღმოუჩნდა მიმასვე-
ლები შეერთებულს შტატებში, ინგლისში,
გერმანიაში და შვეიცარიაში.

დიდი ეურადლების დირსია სანტერესო
ცდა ბაღების ბრესლაულის სკოლებთან 1900
წელში 70 მოწაფე სახალხო სკოლისა ქალა-
ქის მიერ მიტოვებულს 1000 კილოგრამ მი-
წის შემუშავებას შეუდგა; თითოეულმა ვაჭ-
ვილმა მიიღო მ. შინ დანომრილი კვალი. მალე
მიწის სხვა ნაჭერიც დაამუშავეს და 1902³/₃
წელს ბაღისობას მისდევდა 35 სახალხო
საქალაქო სკოლიდან 556 მოწაფე. მიწის სა-
ეილადა ერთმა ბრესლაულელმა მდიდარმა კაც-
მა 7500 მან. (15,000 მარკა) შესწირა. 1903⁹/₁₀
წელში ბაღების რიცხვი სკოლებთან
შვიდათ გაბეგრდა 36.819 კილომეტრით, სა-
დაც შემობდნენ 67 სკოლიდან 2306 ვაჟი.
ქალაქის ხარჯს შეადგენდა 3880 მან. (6773
მარკა). ბაღების აღმზრდელობითი მნიშვნე-
ლობა სკოლებთან ნათლად იქმნა დამტკიცე-
ბული. რასაც კი ბავშვები მიიღებდნენ ბაღი-
დან, — ევაფილებს, მიწვანილებს, ხილეუ-
ლობას, — ევედა მათი საკუთრება იყო. შემ-
დეგი განვითარება ბაღების სკოლებთან ბრეს-
ლაულში უზრუნველ ეოფილი იქმნა.

1907 წ. ცემზელბურგის (აღმოსავლეთის
პრუსია) ქალაქის მმართველობამ მისცა მოწა-
ფეებს შესამუშავებლად 35 კილომეტრი მიწა.
ბავშვებს თავისუფლად შეუძლიათ ამ მიწის
სარგებლობა და შეკრება მოსავლისა; მაგრამ
შრომაც მათ უნდა გასწიონ; მოზრდილები
შრომად რჩევით ეხმარებიან.

1910 წელს ქალაქის მმართველობამ სკო-
ლისთან ბაღის მნიშვნელობის შესახებ შემდე-
გი აზრი გამოატყვა: „ცდამი მიშენიერი ნაყო-
ფი მოიტანა. სკოლის ბავშვები თავისუფალ
დროს ბეჭითად შემობდნენ თავთავიანთ კვლუბ-

ზე და მათს შრომას ნაყოფიც მოატყეს. ჩვენ
მიგუმატეთ საბაღე მიწას სკოლებთან, რადგა-
ნაც ბავშვები ბაღისობას ხალისიანად მისდევენ
და ეს შრომა კი ხელს უშლის ბავშვებს, რომ
თავისუფალ დროს არ მოკლან ისინი ღობე-
უორეს“.

ამ მკვლელის მიზნადეს გერმანიის სხვა ქა-
ლაქებმაც.

ბ-ნმა პატერსონმა, ცნობილი თვებრივის
კამკეობის დირექტორმა დაიტონში, პირვე-
ლად შემოიღო ქარხნის მუშების შვილებისათ-
ვის ბაღისობა, რასაც კარგი გავლენა აქვს
ზრამართ ბავშვებზე, მათს მშობლებზედაც
და ხელს უწყობს სახლის დაშენებას. პატ-
ტერსონმა შეუკვეთა სურათები ჯადო ფხრის-
სათვის ბაღისობის დარგიდან და თავის აზრს
აგრცლებდა იმით, რომ ზამთრის ბოლოში
ამ სურათებს უჩვენებდა ქარხნის სკვირო
სკოლის მოწაფეებს. გაზაფხულზე დირექტორ-
მა დაურიგა მოწაფეებს 12,000 კოლოფი
თესლეულობა და მუშაობაში წასაქმებლად
ჯილდოც დაუნიშნა საუკეთესო დეკორატიული
მცენარისა და ხელთახურად ვენახის გაშენებისა
და სხვა მცენარეთა დარგვისათვის შენობის
ახლო მთის ფერდობებზე, მან მოიწვია 16
წელზე ნაკლები ვაჟი და ქალი მონაწილეობა
მიეღოთ კანკურსში ბაღის გაშენებაში; სადაც
მან თავისი სურვილის მიხედვით შექმლათ
დარგვა ბოსტნეულისა, ხეხილისა და ევაფი-
ლებისა. ხუთი სასუქარი თითო 10 მანეთი
(5 დოლარი) დანიშნული იყო უფრო ღამაზი
ევაფილებისათვის უთისათვის ფანჯარაზე დასა-
გმელად, თხის სასუქარი თითო 20 მან.
(10 დოლ) ბაღის კარგად მოვლაში. მეთვალ-
ურეთ ბაღში დანიშნული იყო კარგი მებაღე,
რომლისთვისაც ევაფას, კონკურსში მონაწი-
ლეს, თავისუფლად შექმლთ მეთვართის რჩევი-
სათვის. ბავშვები დიდს ხალისით სთესავდენ
სასუქარს თესლეულობას, მათთვისდაც ელო-
დნენ ღამაზ ევაფილების გამლად და ბოსტ-

ნიკელის შექმნისას. ხეუელ მცენარეებში თან და თან ჰქრებოდა ტიტველი ხის დობეები, თითქმის თვითონ დიდებიც კი, რომელნიც კატებით უცქერდენ ვენახის ზრდას, გაიტაცა ამ მუშაობამ და ხშირად მიაკრავდენ ხელს ვენახს კარებსა და ფანჯრებს, ასე რომ სხლეები გარეგნულად თან და თან მშენიერდებოდნენ, — და ქარხნაც დაიტონში უგელასთვის საურადდებო განდა. საკანკურსო ჯილდოს მიღების დროს ქარხნის ლამაზს კვთში ათასზე მეტი კაცი იურიდა თავს. ესეა ეს დღე ხალხისათვის სუვარული სადღესასწაული დღეა, როცა ათასობით თავს იურიან.

მატერსის მატალითზე ბევრმა დანახა თუ რა სადი აღმზრდელობითი გავლენა აქვს

არა მარტო ქარხნის ბაღებს, არამედ მუშების სადგომის მახლობლად ცალკე ბაღებსაც, მაგრამ მაინც დაიტონზე შესადარებელი და უდიდესი ბაღი სხვაგან არ არის, 1904 წელს უკვე მრავალი ბავშვები მეორე წელიწადს მუშაობდნენ. 1903 წლის განმავლობაში 50—60 ბავშვი იქმნა დათხოვნილი სიტყვების გამო, 1904 წელში კი დათხოვნილთა რიცხვი 15-ზე სამოვიდა, — ცხადი დამამტკიცებელი საბუთის ბაღების აღმზრდელობითი გავლენისა.

სასურველია, რომ ბავშვებისა და კატობრიობის შეკობრებმა საჭირო უურადდება მიაქციონ ამას და მიიზიდონ ბავშვები ბაღებში სმუშად.

კახაბერი.

მოხარულ თაობის სულისა და ნერვების არა ნორმალური.
მდგომარეობა

ჩვეულებრივად მოხარულ თაობის სულის და ნერვების დასრულებასში სკოლას სდექენ ბრალს... მაგრამ სიმართლე მოითხოვს ვთქვათ, რომ მისი სულიერი სისუსტის მიზეზი მარტო სკოლა არ არის; ამ მოვლენის ბრალი უმეტეს ნაწილად მემკვიდრეობას და სხვა მოქმედ მიზეზებს ედება... სკოლას არ შეუძლია სავსებით განკურნოს ბავშვი სულიერ ნაკლებუნებათაგან, უკეთუ ამ უკანასკნელთა მიზეზი დამოკიდებულია მემკვიდრეობით გადმომცემულს აგებულებასზე... მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ სკოლამ გაუძლიეროს ბავშვს სულიერი სისუსტე, — უკეთუ უურადდებას აქცევს მხოლოდ მის გონების მშრალს განვითარებას, ცალმხრივად აწარმოებს მის სწავლის და აღზრდის საქმეს... საჭიროა გიცოდეთ, თუ რა წილი უძევს სკოლას ბავშვის სულიერს არა ნორმალურს მდგომარეობაში.

ა. თავის ტკივილი. თუ მოწაფე გარდამეტებულად მუშაობს გონებით, მას უჩნდება ძლიერი თავისტკივილი: ის კრძნობს შუბლის ქვეშ და თვალებში სიმძიმეს; ამას ზედ ერთვის უძილობა და გარდამეტებული გულმოსულობა, ხან და ხან გულის რევაც. ამ მოვლენის სხვა და სხვა მიზეზთა შორის უნდა დავასახელოთ: სწავლა-მეტადინობის ადრე დაწყება და მისი ხანგრძლივობა, თვალების დაღლა ცუდის განათების საშუალებით, კლასის ფაასების გარდამეტებული გააბობა, დუშელთაგან გამომდინარე სითბო, გაკვეთილთ შორის უმოდრობა, კლასის ოთახების ჭკერის გაუწმენდავობა, ცუდად გაკეთებული სავდამუბი და სხვა... ბოლო დროს იმასაც ამტკიცებენ, რომ თავის ტკივილის მიზეზი თვალთა ავადმყოფობაა, უფრო კი ბრუციანობა... შესაძლოა თავის ტკივილი გამოიწვიოს თავის ტვინში სისხლის

სიჭარბემ, რომლის მიხედვით უნდა ვიძიოთ დიდხანს ერთს ადგილს ჯდომას, ვიწრო სუფილებს და თანხის მამულებულს გათბობაში... ზოგნი კი თავის ტვივილის მიხედვით ცხვირით სუნთქვის ცუდად წარმოების სასვენ; ცხვირით სუნთქვა უწირო მათ, ვისაც ცხვირის ძეგლების „მჭამელი“ აქვს, — ან რაიმე მუწევი ცხვირის შიგნით და ამასთანავე „ლორწოანი გარსი“ (слиз. оболочка) გასიფუბული აქვს, და თანაც სურდა სჭირო... აქედამ ცხადად სხანს, რომ მარტო სკოლა არაა — ბავშვის თავისტიკილის მიხედვით... ამ მოფლენაში სხვა მიხედვებიც მოქმედებენ, რომელთაც დასწყისი სკოლას გარეშე აქვს. თავის ტვივილი მასსახვად ძლიერ კარგია ბავშვი სხეულს ავარჯიშებდეს და იცვამდეს დრის შესაფერს ტანისამოსს. ის უნდა ურიდებოდეს ცაღმხივის კონების მუშაობას და დაქანეულობას. ძლიერ კარგია მისი ცხვირის და თვალების გასინჯა კეიმის მიერ... ეთვლეს შემთხვევაში მასწავლებელი უნდა ეცადოს, რომ იმ მოწაფეს, რომელიც უნივის თვის ტვივილის, მატყუარ და ზარმანი არ უწოდოს, სხანამ მის მატყუარობა-სიზარმაცეს კეიმა არ დაამტკიცებს.

ბ. ნერვების მოშლა... ბავშვებს ხშირად ნერვები უშლებათ... ამის მიხედვითა — შეუფერებელი შინაური აღზრდა ერთის მხრით, სოფა მეორე მხრით — სკოლის მიერ ჭივიურ მოთხოვნილებათა უცულებელს უფა. ნერვების მოშლის ნიშნებია: თავის ტვივილი, თავის ტვივიში სმძიმის გძმობა, უსაღზობა, გულის ფრიალი, უმადობა, ცუდს გუჩებაზე უთენა, შეშინება ძილის დრის და უძილობა, გულ-მოსულობა, სუსტი შეხიერება, შემოთავაშელება, უდრთუად გასინილი სისესტე სხეულისა და გონებისა და ტავერთი სასინების ტვივილი... სწავლების აღრე დაწყება (7-ს წლამდის) ნერვების მოშლის ერთ გამოწვევა მიხედვითაა, შემკვიდრე-

ბის გარდა ნერვების მოშლის მიხედვითა მორის შეკვიდრია დაგასკელათ: სხეულის განუვითარებლობა, სისხლ-ნაკლებობა, დასესტება სხვა და სხვა ავადმყოფობათაგან, უძილობა, დაუსვენებლობა, გაგეოთილი მიხედვისა და ხატვის დასვენებას მავიურად, თატრი ცუკვა და საზოგადოებრივი გართობანი. უაგელიგეს აღძრავს ტვივის და გავიწვევის სერკების მოშლა... მავრამ არიან ისეთი ბავშვებიც, რომელთაც ნერვები უშლებათ იმის გამო, რომ დაბადნენ ნერვებ მოშლილ მშობელთაგან და შრიდეს მათგან შემკვიდრეობის საშუალებით ნერვების სხეულთათამდი წინასწარ მიზიდულობა (предрасположение).

ნერვებ მოშლილ ბავშვებისთვის საჭიროა საღის, წმინდა ჭერზე უთენა, სოფლად ცხოვრება. თუ მომდელი თვით ძარღვებ მოშლილი არიან და ქაჯაქში ცხოვრობენ, ძლიერ კარგი იქნება თავის ბავშვებს ჭანის სისაღის მთავრობად სოფელში გავსავნიდენ უცხო, საღის თჯანში. ამას გარდა დიდად სასარგებლოა ისეთი ბავშვებისთვის ცივი წყლით ტანის ბახვა, თამამობანი, სხეულის ვარჯიშობანი, ზომიერი ცხოვრება, მასზრდათბელი უბრადო სჭმელი, რომელიც ძარღვებს არ აღრზავს... ძლიერ კარგი იქნება, უკეთუ ამისთანა ბავშვებს სორცეულს ზაჭმელს არ მისცემენ და, თუ სორცის ჭამს აუცილებელია მათთვის, რაც შეიძლება ცოტა უნდა აჭამან: ხორცი და ალკოგოლი — საწამლავთა მათთვის ვინც ნერვებ აშლილია: ისეთი ბავშვები უნდა ურიდებოდნენ აშლეულებელ შთაბეჭდილებებს, რომანების კთახვას, ცუკვას, თატრის, ქაჯაქის ცხოვრების გართობათა და სიტკბაშობათა და სშირტ-ნარევის სასმელებს... ძილის მოსცერულად კარგია ხელ-თბილი აბანაკები (ვანები)... ნერვებ აშლილს ბავშვებს არ უნდა აძლიათ სუდმეტი საშუაყო, კერძო გავეთილებით არ უნდა დაქანდეთ, არ უნდა აღძრათ მათი ფანტაზია... უნდა მიიქნეს უშ-

რადღება, რომ მათ არ განუგებდნენ უდრო-
ვად არა სორმალური სქესებრივი მოთხოვნ-
ლებანი. სკოლაში ასეთი ბავშვებისთვის მე-
ტად მარტებელია ხელით სამუშაო, სე-
საქმე, რომელიც უნდა სწავლობდეს ისე, რომ
ისინი არ დაიქანცონ. რა თქმა უნდა, სკოლა-
შივე უნდა მიექცეს ურადღება მათის სხეუ-
ლის ფარჯიშობას და თამაშობას.

გ. სულის ავადმყოფობანი. ბავშვებ-
საც ემართებათ სულის ავადმყოფობანი: მე-
ლონხოლია — ცუდას გუნებაზე უფნა, გა-
ტურებული ცქერა; მანია — შიშის გრძობა,
ახრთა სქარი ცვლა; გნება უგელაფრის დაქ-
ცივისა; — შეშლის დროს — აღუღებელი
მდგომარება, აღშფოთებულება, ჩაფიქრება,
ცუდას გუნებაზე უფნა. უფრო სშირად ვი
ბავშვთა შორის შეგხვდებათ ზნეობრივი
შეშლილობა, რომელიც გამოიხატება უზ-
ნეობაში, იწრო თავმოყვარეობაში, სიტყვქე-
ში, ჯიუტობასა, სიცრუესა, სიბრაზესა და
სიმტაცრეში, ეოფელსაჟი ამის მოსდგეს ჭკუა
შეშლილობა ან საბუღამო და ან ხან გამო-
შეგბითი. მაგრამ სულის ეს მძიმე სნეულებ-
ანი იშვიათად გვხვდება სკოლებში. უფრო ხში-
რია ჭკუის სისუსტე, სირეგნე და სხვა სუ-
ლიერი ნაკლულეგანებისა, რომელთაც დაუკვი-
რებელი მასწავლებლები ეძახიან გაუგონრობას,
სიზარმაცეს და უურადღებობას... ბევრს ბავშვს
შეცლამით სთვლიან სკოლაში უნიჭობად...
სშირად ბავშვების გითამადა უნიჭობა ისეაა,
უკეთე მათ მთარჩუნენ უურების სნეულებათ-
გან, განკურნებენ მათს ცხვირს და ან დაუ-
ნიშვნენ შესაფერს სთვალეებს. ბავშვების
ჭკუის სისუსტეს გამოუჩინენ შემდეგი ნიშნ-
ები: შეუფერებელი და შექსამებელი სიდიდე
სხეულის ზოგიერთი ნაწილებისა, სხეულის
ავადმყოფობანი, სიმასინჯე, ტანის მარხეშავი
მოდრაობანი და მოუსვენარი ძილი. ჭკუით
სუსტს აქვს შემდეგი სულიერი ნაკლულეგან-
ბანი: გულმოსულობა, გაუგონრობა, სიძულ-

გილი ადამიანისა და ჰირუტევისა, სუსტი მე-
სიერება, გონებითი მოქმედების მოღუნება და
კათაბოლო ლამარაკი... ამხანაგები ხვდებიან
უგელაზე ადრე ჭკუით სუსტს ნაკლულეგან-
ბებს და მას საცინლად ივლებენ... ასეთი მო-
წაფე ტვირთის სკოლისათვის, ის აფერხებს
სწავლას, ის ვრძობს თავს უბედურად, მარ-
ტად მარტო... რაც ადრე მიაქცივს მასწავ-
ლებელი უურადღებას ჭკუით სუსტს ბავშვისს,
ის სჯობია... შესაფერს საუქიშო და ჰიგიე-
ნურს ზომებს შეუძლიათ ჭკუით სუსტი ბავშ-
ვი რამდენადმე მაინც განკურნოს სული-
ერს ნაკლულეგანებთანგან.

დ. სულიერად ჩამორჩენილი ბავშ-
ვები. ჭკუით სუსტი ბავშვების გარდა, —
არაინ ისეთი ბავშვები. რომელნიც თუმცა არ
არაინ სუსტნი ჭკუის მხრით, მაგრამ გონე-
ბით ჩამორჩენილნი არაინ, სხვებთან ერთად
გერ მიდიან სწავლაში... მათს სულიერს ცხოვ-
რებას არ შეუძლია იაროს წესიერად, ნორმა-
ლურად... ასეთს ბავშვებს სშირად აქვთ მე-
ტად დიდი ფეხები, ხელები, ჰირი, ყურები,
დიდი თავი და ზატარა ჰირის სახე... უშნო
კბილები, ელამი თვალეები, უსწორ-მასწორო
ოულის ცემა, თავის ცანცარი, თავბრუს-ხვე-
ვა, გულის ვრა და სხვა... მათ აქვთ მცირე
ნიჭი ვრხებითის მუშაობისათვის. ისინი უკ-
რჩებიან უფრო ნიჭიერს ამხანაგებს... მშობ-
ლები მათ ძალას ატანენ იმავადინთან, მაგრამ
ამითი ისინი ვერას შევლიან საქმეს. თუ მათ
მასწავლებელმა მეტი უურადღება მიაქცია, მა-
შინ სარმალური ბავშვები ცლდნის მხრით
იზარალებენ... ჩამორჩენილნი კლასილამ კლას-
ში ვერ გადადიან და ბოლოს სასწავლებლილამ
ვამოდან ან თავის ნებით და ან მთავრობის
ძალ-დატანებით: კარგა ხანია ჩამორჩენილი
ბავშვების ბედს უურადღება მიაქციეს განათ-
ლებულს ქვეყნებში. ამისთანა ბავშვებისთვის
დაარსეს განსაკუთრებული სასწავლებ-
ლები, რომლებშიც ისინი რიგინად სწავლ-

ბენ. ამასკარდა მათ ასწავლიან მუშაობას: ღურგლობას, კალატოზობას, წიკნების კაზმვას და სხვა...

ძლიერ კარგი იქნება, რომ ჩამორჩენილ ბავშვს სკოლებში აძლევენ ცოტა კვიან ნორმალურს ბავშვებზე... მაგრამ უფრო კარგი იქნება, რომ ჩამორჩენილთათვის არსებობდე განსაკუთრებული სასწავლებლები.

ჩამორჩენილი ბავშვები შეიძლება ორს ჯგუფად გავყოთ: პირველს ჯგუფს შეადგენენ ისეთნი, რომელთაც თუმცა არ შეუძლიათ ისწავლან საზოგადო სკოლებში, მაგრამ სასწავლო კურსი კი მათთვის ძნელი არაა, — უკეთესწავლება კარგის მეთოდით იქნება მოწეობილი. განსაკუთრებული სკოლები ჩამორჩენილთათვის არსებობენ გერმანიაში და ინგლისში, ასეთს სკოლებში ბავშვები იმყოფებიან ექიმის მუდმივს უურადღების ქვეშე; გაკეთილი გრძელდება არა უმეტეს ხანგრძლივსა; გაკეთილთ შორის თავისუფალი დრო მეტია დასასვენებლად; თითოეულს კლასში 25 მოწავაყვებულ მეტი არ ზის. ამისთანა სკოლები დაარსეს დანიაში და სკანდინავიის ნახევარ კუნძულზეც... ჩვენს ქვეყანაში კი ამისი მსგავსი არა არის რა... მშობლები არ დაგიდევენ, ნიჭიერი და ჯანსაღი იმათი ბავშვი თუ არა, — შეუძლია თუ არა ნიჭიერს და ჯანსაღს მოწავაყვებთან ერთად სკანების სწავლა, — არ დაგიდევენ ამას და გონიერული და არა გონიერული ზომებით სცდილობენ მათმა შვილებმა კარგათ ისწავლან, თუნდ ამისთვის ძალდაღონებ არ შესწევდეთ. მშობლებმა არ იციან პედაგოგიკა, არც მიმართვენ ექიმს დარეგებისა და რევიისთვის და აძლევენ ბავშვს საზოგადო სასწავლებელში, სადაც მას მოულის გზა გრძელი და ეკლოვანი, რომლითაც სიარული ყველას არ შეუძლია ერთნაირის ძალ-ღონით... ასეთი ბავშვები ბოლოს და ბოლოს სწავლაში უკან იხევენ და უდროვოდ ეთხოვებიან სასწავლებელსა და ჩვენის ისედაც

დაბეზავებულ საზოგადოების მეტს ბარგად ხლებიან. მაგრამ არის მცირე რიცხვი ისეთის ბავშვებისაც, რომელთა ნიჭი კვიან ვითარდება... არ შეიძლება მათ ჩამორჩენილი ბავშვები ვუწოდოთ, გამოცდილი მასწავლებელი ადვილად გაარჩევს ასეთს ბავშვებს. ქართული ჩამორჩენილი ბავშვი ბევრად უფრო ცუდს ზირდება, ვინემ რუსის, ინგლისელის და სხვა ერის ასეთივე ბავშვი. ქართველმა ჩამორჩენილმა ბავშვმა უნდა მშობლიურს ენას კარდა შესწავლოს რუსული, მისთვის უცხო, — მაგრამ ცხოვრებაში მეტად გამოსადეგი ენა და ამ ენის საშუალებით შეითვისოს სასწავლო კურსის უველა სკანები, რადგან საქართველოში წმინდა ეროვნული სასწავლებლები ჯერ ხანად არ არსებობენ. თუ რუსული ენის სწავლება სწარმოებს დამახინჯებულის, არა ბუნებრივის მეთოდით, ქართული ჩამორჩენილი ბავშვი ათწილ ჩამორჩენილი დარჩება... ამის გამო რუსული ენის არარუსთათვის სწავლების საუკეთესო მეთოდის (თვალსაჩინოებითი და თარგმნითი) დაცვა და ამ მეთოდით სწავლების განსორტიელება — ფორიად დიდ მნიშვნელოვანს საქმედ ჩასათვლედა... დღეს რამდენი ხორცმეტი წევრი ჰყავს ჩვენს საზოგადოებას იმის მეტყობით, რომ სწავლების ცუდის მეთოდის წყალობით ტვინი გამოუვლად და შექმაცტენ ქუჩის მტკეპნელთა, მოქეიფეთა ხანჯლოსანს ქარქაშოსანთა და მთარშიეთა რიცხვსა.

სულიერი განუვითარებლობის მიზეზები შემდეგია: შემკვიდრება, თავის ქალას აცეხლობის უსწორ-მასწორობა, ტვინის სნეულეზანი, ათამანგი, ლოთობა... ძლიერ ხშირად უბრალო სიცუელქეთ სოვლიან, როდესაც ბავშვები ფრხილებს იკვნიტენ, სჭამენ გრიფელს და ცარცს, ან როდესაც ჰატარა ქალები თმა სჭამენ, — მაგრამ ამ დროს ავიწყდებათ, რომ ამ სამწუხარო მოვლენათა დროს მიზეზია სულის და სნეულის ნაკულევენებანი.

ე. თვით მკვლელობა მოწაფეთა შორის... ბოლო ხანებში გახშირდა თვით მკვლელობა მოწაფეთა შორის... თვით მკვლელობის ბრალს ჩვეულებრივად სკოლას აწერენ, ხოლო იმას კი არ სცდილობენ, — რომ თითოეული ასეთი შემთხვევა უფრო დაახლოებით გამოკვლევულ და დაფასებულ იქმნას. მართალია, რომ სკოლა ახლგაზრდა ორგანიზმს ღღის თვისი ძნელი მოთხოვნების შესრულებით, მაგრამ მართლაც მისი ბრალი არაა მოწაფეთა თვითმკვლელობა. ზიეგერტის აზრით: „ბავშვის თვით მკვლელობა არის პათოლოგიური (ავადმყოფური) მოვლენა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი გამომწვევი მიზეზები სკოლის აღზრდის და სწავლების საქმეშია ჩაქსოვილი“. უმთავრესი მიზეზი თვით მკვლელობისა იმალება სულის და სხეულის არა ნორმალურს წინასწარ მიზიდულობაში, რომელიც გამოიხატება კარდამეტებულს აღევებას და სხვა და სხვა არა ნორმალურს საქციელში... ასეთი ატებულების ბავშვი ვერ აიტანს სერიოზულს სასკოლო მუშაობას და დაიქანცება... ძარღვები მოკუდება. ამას გარდა თვითმკვლელობის მოხდენაზე გავლენა აქვსთ შემდეგს ზირობებს: შიმშილს, მშობელთა სიღარიბის ცქერას, ხან და ხან მიმბაძველობასაც. სტატისტიკა ამოწმებს, — რომ თვით მკვლელობა ძლიერ გახშირდა. ვაუები უფრო ხშირად იკვლენ თავს ვინემ ქალები. თვით-მკვლელობა ხდება უფრო 15—16 წლის ჭასაკში. კლასიკური გიმნაზიის მოწაფეები უფრო მეტი იკვლენ თავს რეალურ სასწავლებლის მოწაფეებთან შედარებით. უახლოესი მიზეზია — ნერვების და სულის ავადმყოფობანი, — შემდეგი ადგილი უჭირავს — სკოლის მიერ წარმოშობილს მიზეზებს; მესამე ადგილი — ოჯახურ მიზეზებს... ბოლო დროს მიექცა ყურადღება სკოლებში ფიზიკური განვითარების ჭეროვანს ნიადაგზე და მუარებს,

რომ ამის საშუალებით მოწაფეებს გაუმარდეთ ნერვები და სულიერი ნაკლულე-ვანებსანიც მოესხთ... ამას გარდა აღიძრას საკითხი სკოლის სასწავლო სისტემის ძირითადის შეცვლის შესახებ... ჰროფ. კლასიკური დარწმუნებელია, რომ საბუნების მეტყველო მეცნიერებებს, მათემატიკას, ტეხნიკას და სასოფლო მეურნობას შეუძლიათ არა ერთი და ორი ახლგაზრდა დაიხსნას ცუდ წარმოდგენათაგან.

ვ. სულიერ არა ნორმალურ მდგომარეობათა მიზეზები: სულის ნაკლულე-ვანებათა გამომწვევას ხელს უწყობს ტვინის აღძვრა, რომელსაც გამოიწვევს მეტის-მეტად სახელებლებიანი, შეზავებული საკმედი და სპირტ-ნარეუ სასმელების ხმარება, აგრეთვე ძილის მომგვრელ საშუალებათა ხმარება (ბანგი, არაფი და სხვ...)... ამთ მიზეზთა შორის უნდა დავასახლოთ მუწუკების დაყრა, ჩუგნობა (ხელით ასოს წვალება), თავის დაშავება, ცუდი ბინა, ჭყერის და სინათლის ნაკლებობა, შეუფერებელი საზრდობა და სხვა... არა ნორმალური მდგომარეობა უძლიერდება ბავშვს უფრო მაშინ, როდესაც ჭასაკში მოდის (15—16 წლ.)... თუ შემგვიდრობით მიღებულს სულიერ ნაკლულე-ვანებათ ზედ დაერთო უწყისა აღზრდა, საქმე სულ უკუდმა წავა... თუ ასეთი ნაკლულე-ვანებებით აღსავსე ბავშვი სცხოვრობს ისეთს საზოგადოებაში, რომლის ცხოვრება გამოიწვევს ტვინის ძლიერ აღევებას, მეტად ცუდია... აქ ბავშვის სულიერს დასნეულებას ხელს შეუწყობს საზოგადოების მოუსვენრობა, მეტად შეზავებული საკმედი, დაგვიანებული ძილი, აუტრში სიარული, საბავშვო მეჯლისები, საბავშვო კრებანი და აგრეთვე უდროოდ კითხვა ტვინის აღმძვრელის ლიტერატურისა... ასე ამზარად, სახამ ბავშვი სკოლაში შევიდოდეს და სკოლაში შესვლის შემდეგაც — მის სულს ასნეულებენ გარე-

შემორტყმული ცხოვრების ზემოდ დასახელებული ნაკლულეკანებანი, რომელთაც ხსენებული სსზოგადოება შეუტენებლობის გამო სრულიად არ სთავლის ნაკლულეკანებად... ამ ნაკლულეკანებათა მიერ აღსავსე მოწაფე, რასაკვირველია ვერ გაუძლებს სკოლის ზოგიერთს ძნელს მოთხოვნილებას და სწავლაში უკან ჩამორჩება... აქედამ თავის მოკვლამდის ერთი ნაბიჯია; შენაშნუელია, რომ ჯანის სისალეს სკოლაში იცავს ნაკლებ ბეჯითი და ნიჭიერი მოწაფე, ხოლო ადრე იღლება ბეჯითი, საქმის ერთგული, მაცადინობის მოყვარე მოწაფე, უკეთუ მას ამასთანავე ბუნებრივი ნაჭი თან არ ახლავს.

არ შეგვიძლია გვერდი ავუხვიოთ მშობელთა მიერ **ალკოგოლის** (სპირტიანი სასმელების: ღვინის, ღუდის, არყის, კონიაკის და სხვ.) ხმარებას... ალკოგოლის მოყვარე მშობელთა შვილებს აქვს **წინასწარ მიზიდულობა** სულიერ სნეულებათადმი, მემკვიდრეობით, საბაბი ჩასახვის დროს თესლის მოწამვლის საშუალებით (პროფ. ფორელი)... ღოთობა გამოიწვევს არა თუ ცალკე ორგანოების (ღვიძლის, გულის, თირკმელების, ტვინის) გადაგვარებას, არამედ ნერვების მოშლასაც... განსაკუთრებით ბავშვებისთვის სპირტიანი სასმელების ხმარება ფრიად მავნებელია. მათის მეოხებით ბევრს ემართება სირეგზე და ბევრს სხვა და სხვა სულიერი ნაკლულეკანებანი და სხეულის სნეულებანი (წყლმანკი, ბნედა)... დამტკიცებულია, რომ სპირტიანი სასმელი — **შხამია** ბავშვის ბუნებისთვის. ფიზიოლოგიურმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ სპირტი არაა **მასაზრდოებელი** თვისების სასმელი, როგორც ჩვენი მამები ბოლო დრომდის სთვლიდნენ მას. სპირტიანი სასმელების ხმარება ჭეხჩეებს ბავშვის ზრდას და განვითარებას. შემდგარია ის აზრიც, — თითქმის სპირტიანი სასმელები საჭმლის მონელებაში შეელოდეს კუჭ-ნაწლავებს... სპირტიანი სას-

მელის ხმარება ბავშვს მადან უკარგავს... მადან კვლავ უბრუნდება ბავშვს, თუ ამ სასმელს არ ხმარობს. არც სხვა რამ ღირსება აქვს სპირტიანს სასმელს. ამის გამო უნდა ზირ და ზირ ვთქვათ, რომ ბავშვებმა სრულიად არ უნდა იხმარონ სპირტიანი სასმელები, რომელნიც მათთვის ფრიად მავნებელია არიან, ასე უტყვიან სპირტიან სასმელებს შესანიშნავი ქიმიკატები, ექიმები და ფიზიოლოგები. პრაფესორი **კრეველინი** პირველ ხანად სპირტიან სასმელების ზომიერ ხმარების მომხრე იყო, მაგრამ შექნებულა სრულიად აიღო ხელი მათს ხმარებაზე. ის ამბობს: „საკუთარმა სამეცნიერო გამოკვლევებმა დამარწმუნეს, — რომ სპირტიანი სასმელების ხმარებისათვის არავითარი საკმაო საბუთის გამონახვა არ შეიძლება... ამას გარდა ასეთი სასმელების უარყოფით მე მსურდა სასახმო ჩვეულებათა მოსპობისათვის ხელი შემიწყობო“. ექიმა ბრიეგლები ამბობს: „სპირტიანი სპირტიანი სასმელებს სულ არ ეკარებოდეს და თავის ტვინი მათი შესამთბურეს გადაკრული არ ჰქონდეს“... პროფესორმა ჰიემმა შეადარა თავისი მდგომარეობა იმ დროს, როდესაც სპირტიანს სასმელებს ზომიერად ხმარობდა, იმ მდგომარეობასთან, როდესაც მათ სრულიად აღარ ხმარობდა, და მივიდა იმ დასკვნამდის, რომ მის უკანასკნელს შემთხვევაში მდგომარეობა უმჯობესი იყო წინანდელზე, და ამის გამო მან სავსებით უარყო სპირტიანი სასმელები. ექიმი **საუიანი** ამბობს: „მეცნაურება სპირტიანი სასმელების უარყოფილთა (ფიზიკელთა) მხარეზე. არავის არ შეუძლია მეცნიერულად უარყოფს სპირტიან სასმელების სრულის ადკვეთის მოთხოვნილებას. მეცნიერების ბრძანებათა წინააღმდეგ ვერ წავა ვერავითარი ძალა“... ცოურიხისა სასამართლოს გამოძიებულმა ლანკმა განმარტა, — რომ სამშაბათობით, ოთხშაბათო-

ბით და სუთმბათობით. საშუალო რიცხვით ხდება 10 ან 11 ბორც-მოქმედება და წესის უბრალო დარღვევა, — შაბათობით 13-მდის, — გვირას კი 60, ხოლო ორშაბათს — 22... რისი ბრალია ეს, თუ არა ალკოგოლისა, რომელსაც ხალხი ეტანება გვირა-უქმე დღეებში? შვეიცარიის გიჟთა თავშესაფარში იღებენ 20—⁰/₁₀₀-მდის ღოთებსა. ამას გარდა, რაც უფრო საშიშია, — ღოთობის საშუალებით იწამლებს საშობით თესლი, რომელიდამც უნდა გამოვიდეს მომავალი ადამიანი... ერთმა მეცნიერმა დაქმემ 57 ბავშვი 10 ღოთი ოჯახისა და 61 ბავშვი 10 ფსიზიკო ოჯახიდან ერთმანეთ შეადარა: პირველთაგან მხოლოდ 9 — განვითარდა კონებით და სხეულით ნორმალურად; დანარჩენები გამოვიდენ რეგენები, ბენედიანები, ერუ-მუნჯები, თავ-ქანიები, პატარა ტანისები, და ან დაინტენგნ დაბადების უმაღლე. უკანასკნელ ოჯახებიდან კი 61-დან 50 განვითარდა ნორმალურად და სხვებში კი ზოგი დაინტენგნ და ზოგი სხეული გამოდგა. რეგენ და ბენედიან ბავშვების უმეტესი ნაწილი — ლოთი მშობლების შვილებია; თუ მამა ღოთია, მათს შვილებს უმეტეს ნაწილად ცუდი კბილები აქვსთ, ისინი უფრო ადვილად ხდებიან ავთ ჭლერქით (ზღმურღუღათი), სხვა და სხვა ნერვაული და სულიერი ავადმყოფობებით... უფრო კარგს პირობებში არიან ფსიზიკი და ან ზომიერად ღვირის მსხელოა შვილები (პროფეს. ბუნგე). მეტად საყურადღებოა ჰელმანის ცნობები. პოლიციის საშუალებით მან მოიზოგ ცნობები ერთი ლოთი ქალის შესახებ, რომელიც დაბადებულა 1740 წელს. მას აქამოდღე ჰქუდა სულ 834 ჩამომავლობა, რომელთაგან 709 იქმნა უფრო დაწვრილებით გამოკვლეული. ამთგან 106 დაიბადა ქორწინების გარეშე, 142 — მათხოვრები გამოვიდნენ, 61-ს არჩენდნენ საზოგადოებანი, 181 — გარეგნილი ქალი იყო, ხოლო 76 იყვნენ

ბორც-მოქმედნი (აქედგან 7 კაცის მკვლეული). ამნიარად ეს ერთი ოჯახი დაუჯდა სახელმწიფოს 5 მილიონ მანეთად. ერთმა მეცნიერმა ბეტოლოდამ გამოიკვლია 9000 რეგენის ჩასახვის დღე და უტყუარი ანგარიშით დასკვნა, — რომ მათი დასახვა მოხდა ზოგის ყველიერში და ზოგის შემოდგომაზე, — როდესაც ღოთობა გახშირებული ხალხში.

სიკლას დიდი მნიშვნელობა აქვს ალკოგოლის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1887 წლიდამ ბელგიაში დაიწყო სასკოლო მოძრაობა იმის წინააღმდეგ. ალკოგოლის მავნებლობას განუმარტებენ იქ მასწავლებლები გაკეთილებზე თავიანთს მოწაფეებს: იქ დაარდა 1898 წლ. 3,407 საზოგადოება სიფსიზლისა, რომლებს წევრებადც ჩაეწერენ რამდენიმე ათი ათასი მოწაფე. გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, შვეიცარიაში, შეერთებულს შტატებში გაისმის მედგარი ხმა ალკოგოლის წინააღმდეგ... ცოდნამ მისი მავნებლობის შესახებ გაიდგა ფესვები მოწაფეთა შგნებაში... რამდენიმე მილიონი ბავშვი წევრია სიფსიზლის საზოგადოებათა და სპირტანის სასმელებს სრულიად არ ეკარება.

არა ნაკლებ მავნებელია თუთუნის წვევა... თამბაქოს შხამი ნერწყვთან ერთად ჩადის გუჭში და ბოლთან ერთად კი — სასუნთქავს ორგანოებში. თუთუნის წვეის შეხებით ბავშვებს უჩნდებათ გუჭ-ნაწლეების მოშლა, ძარღვების სისუსტე, თავბრუს ხვევა, გულის ფრიალი, გონებითი სისუსტე სისხლის მოძრაობის შეცვლა (სისხლიან წითელ სორსლების შემცირება)... დაიწყო ძლიერი სასკოლო მოძრაობა თუთუნის წვეის წინააღმდეგაც დაარსდენ მოწაფეთაგან შემდგარი საზოგადოებანი, რომელნიც ებრძვიან თუთუნის წვეას... (განსაკუთრებით ამერიკაში)... ეს ასეც უნდა იყოს. თუთუნის შხამი ნიკოტინი მეტად მავნებელია ჯანის სისხლისათვის. პროფ. ლი-


ვერმა გამოიკვლია ტანის სიმაღლე, წონა და გულის მოყვანილობა 147 სტუდენტისა, რომელთაგან 77 არ წევდა თუთუნს და 70 წევდა. პირველთ ემატებოდათ წონაში ერთსა და იმავე დროს 10% მეტი, სხნამ მეორეებს; — სიმაღლე—24% მეტი, ხოლო გული—27,6% მეტი, სხნამ მეორეებს. განსაკუთრებით განუვითარებული რჩებოდნენ თუთუნის მწვეთა ფილტვები. ვინც კი თუთუნის წყვას თავი დაანება, ის ამობის, რომ კარგად გრძობის თავს, აღარ ახველებს, შადა და ძილი კარგი აქვს და სხვა... სტატისტიკა ამტკიცებს, რომ თუთუნის მწვეელი მოწაფეები უფრო სუსტად სწავლობენ,—სხნამ არ მწველები... ვინც პატარაობისას დაიწყო წევა, უფროს კლასებამდის მათში მცირე რიცხვი აღწევს; თუთუნის მავნებლობის შეგნების გავრცელება მოწაფეთა შორის საუკეთესო საშუალებაა მის წინააღმდეგ საბრძოლველად... უკეთესია ეს შეგნება, ვინემ პოლიციური ზომები...

მავნებელია გიპნოზიც (ჩაგონება) ახალგაზრდისათვის. გიპნოზის ძლივს უძლებს დიდი, და პატარას რომ ის სულ მოუშლის ძარღვებს... მისი იმედი არ უნდა ჰქონდეთ მომბლებს, როდესაც სურთ გაასწორონ თავისი ზარმაცეი შეიდი...

სკოლის მოვალეობა. სკოლას შეუძლია იქონიოს გავლენა ბავშვზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთე მისი სულიერი ნაკლულებებისანი ძლიერნი არ არიან... ბნედიანებს, ნერვებ მოშლილებს, გონებით განუვითარებლებს, ჭკუით სუსტებს (უკეთე აღზრდის პირობათა ბრლია ეს სისუსტე) შეუძლიათ იმცადინონ სკოლაში. მასწავლებელი სტდილობს მისცეს სწავლებას სისტემა, ერიდება ბავშვების ტვინის დაღლას, სტდილობს მოაწესრი-

გოს დასვენების და შრომის დრო, წინააღმდეგება კითხვით შედმეტს გატაცებას, შეაქვს მარტივი სასწავლო გეგმები და თითოეულს ბავშვს ექტევა ისე, როგორც ამას მოითხოვს მისი ბუნება და განმასხვავებელი თვისებანი. მასწავლებლებმა უნდა იმოქმედონ შეთანხმებულად და მიაქციონ ყურადღება მას, რას სასწავლიან კლასში და რას აძლევენ შინ დასასწავლად. შინ დასასწავლი გაკვეთილი ბევრი და დიდი არ უნდა იყოს. ოჯახიც უნდა შეელოდეს სკოლას ამ საქმეში... ოჯახში უნდა მიექტეს ყურადღება, რომ ბავშვები შეტს ხანს იფუნენ წმინდა ჰუარზე, მოძრაობდენ, არ სჯამონ შეტად შეზავებული ძარღვების ამდგრელი სატმელი, მოერიდონ სპირტიანს სასმელებს და რაც შეიძლება ნაკლები სჯამონ ხორცი, იძინონ ბლამად,—გონებით არ დაიქანტონ... რაიც შეეხება რეგენებს, ჭკუით სუსტებს და ბნედიანებს,—ძლიერ კარგი იქნება ისინი განსაკუთრებულს სკოლაში მოათავსონ და მთასწავლონ მუშობა ბაღში და სხვა და სხვა ხელობანი და სხვა... ჭკუით სუსტებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სხუელის მოძრაობას და გამინასტიკას; რადგან ესენი გააძლიერებენ ორგანიზმის ძალებს და წინააღმდეგობის ძაობის ნების სისუსტეს და უხადისობას... (პროფეს. კლავსტონი) ბოლო დროს განათლებულს სახელმწიფოებში მრავლად დააარსეს სკოლები სუსტი ნიჭის პატრონ მოწაფეთათვის, რომლებშიც სწავლობს რამდენიმე ათი ათასი ბავშვი... სკოლების გამგეობა მინდობილი აქვს სულის ზვადმყოფობათა მტლენუ ექიმებს... ამის მეხებით ბედის მიერ დაჩაგრული ბავშვები თვის ძალოა შესაფერის სწავლა-ცოდნას იძენენ და ცხოვრების საბიელზე სავსებით გარიუენნი არ რჩებიან.

ი. ჟერადე.



ქართული თუ ქართლური*)

(ბ. გრ. ყიფშიძის წერილის გამო: „განათლება“, № 8, 1911 წ.)

როგორც მოგეხსენებათ, გაზ. „კოლხიდის“ რედაქციამ გამოსცა პატარა წიგნაკი, რომელსაც სახელათ უწოდა „ქართული მართლწერა (გაზ. „კოლხიდის“ თანამშრომელთა საყურადღებოთ)“—ბ. გრ. ყიფშიძე გაკვირვებით კითხულობს: საყურადღებო თუ არის, რატომ ყველასთვის საყურადღებო არ უნდა იყოს, არამედ მარტო „კოლხიდის“ თანამშრომელთათვისაო?!

სწორეთ ახირებული გაკვირვება! ბ. გრ. ყიფშიძეს არ ესმის უბრალო რამე, სახელდობ ისა, რომ აღნიშნული წიგნაკი პრაქტიკული მიზნით არის გამოცემული (რაც გაზეთმა განმარტა კიდევაც ამ „მართლწერის“ დარიგებისათანავე); რედაქციის მიზანი იყო—„კოლხიდის“ თანამშრომელთა დაეცვათ ხოლმე ამ გაზეთისთვის დანიშნულ წერილებში ხსენებული მართლ-წერა, რომ რედაქციას

ეს წერილი გადმოგეჭდია გაზეთ „კოლხიდიდან“; გადმოგეჭდეთ მცირე შემოკლებით, გამოგეტოვეთ მხოლოდ წერილის ის ნაწილი, რომელიც, ჩვენის კზრით, სკამათო საგანს არ ეხება. ქართული ენის მართლწერა და განთხების დაცვა ფრიად საყურადღებო საგანია ჩვენში ამ ჟამად. ყოველთვის სიამოვნებით დაფუთობთ ადგილს ჟურნალში მოთქმებულს, საბუთაინს და დარბაისლურ მსჯელობას ამ საგანზე, რომელიც დირსია ქართული ენის მცოდნე ზირთა და მეცნიერთა ჟურნალებისა. მკითხველისათვის მეტად უხერხულია, როცა კამათი ერთისა და იმავე საგნის შესახებ გამართულია სხვა და სხვა გამოცემებში, ამასთან ყოველ დღიურ გაზეთში დაბეჭდილ მასალას

ნაკლები შრომა დასკვირვებოდა წერილების გასწორებისათვის. რედაქცია თავის თანამშრომლებს ამით ეუბნებოდა: ჩვენ ამგვარი მართლწერა შეჰოვიდეთ და, თუ წერილი გამოგვიგზავნოთ, ამის მიხედვით დასწერეთ, რადგან, მოგწონთ თქვენ იგი თუ არ მოგწონთ, სულ ერთია—თქვენი წერილი ჩვენ მაინც ასე უნდა შევასწოროთ, და ბარემ ჩვენი მართლწერით სწერეთ და სწორებით დროს ნუ გვაკვარგვიებთო. ამიტომაც არც ბ. ყიფშიძე და არც „სახ. გაზეთი“ მხედველობაში არა გვყოლია, რადგან წინდაწინვე ვიცით, ათასიც რომ ვუწიროთ, ისინი ჩვენსას არ შეისმენენ.

ბ. ყიფშიძე კიდევ გვისაყვედურებს: ხსენებული წიგნაკი „ივერიის“ ტრადიციას „ზოგში უარყოფს—**უსაბუთოდ, დოგმატიურად, კატეგორიულად**“.— კიდევ ვიტყვი, რომ ბ. ყიფშიძეს უბრალო რამე ვერ შეუგნია, სახელდობ

მკითხველები ხშირად ივიწეებენ და გაზეთსაც იშვიათად ვინმე თუ ინახავს. საბოლოოდ საკითხის გადაწყვეტა და შეთანხმება შესაძლებელია ამის შემდეგ, როცა მცოდნე ზირები ჟურნალ-გაზეთებში გამოთქვამენ თავიანთ აზრს ადრულ საკითხის შესახებ. საჭიროა მხოლოდ დარბაისლური კილო კამათის დროს. ბნი სიღ. ხუნდაძის პასუხი კი, სამწუხაროდ, მეტის მეტად გადამლაშებულია და დარბაისლობას მოკლებული; ჩვენნი თანამშრომლის ბ-ნ გრ. ყიფშიძის შენიშვნა მართლწერის შესახებ („განათ.“ № VIII) თავაზიანი შენიშვნაა და არავის ზიროვნებას იგი უდიერად არ ეპურება.—
რედ.

ისა, რომ „კოლხილამ“ ცნობილი მართლწერა შემოიღო და მისთვის იგი დასაბუთებულიც არის და გადაწყვეტილიც—და ამიტომ მხოლოდ თავის თანამშრომლებს უთვალისწინებს—ჩვენთვის დანიშნულ წერილებში ეს მართლწერა იხმარეთო. ნუთუ აქ საბუთები იყო საჭირო?!

თუ მაინცადამაინც საბუთები და საფუძვლები სურდა ბ. გრ. ყიფშიძეს, შეეძლო გადაეთვალისწინებინა ის წიგნები, სადაც აღნიშნული მართლწერის საბუთები უკვე დიდი ხანია მოყვანილია... „ყრუ-სათვის ორჯერ არ რეკენო“, ნათქვამია, და ალბათ იმიტომ არ რეკენ, რომ ორჯერ კი არა—რეკით ზარებიც რომ დაამსხვრიოთ, მაინც ვერ გააგონებთ...

ჩვენგან ბ. გრ. ყიფშიძე ხომ ოცგზის თხოულობს საბუთებს და აბა თვით მას დაუგდეთ ყური, რა საბუთებსაც იძლევა ქართული ენის სიწმინდისა და მართლწერის წესების კანონიერობისათვის:

„კეთილზმონება სუბიექტიური კრიტერიუმია და საბუთად არ გამოდგება. მაშ რას დაუგდოთ (თუ დაუგდოთ?) ყური? რასა და ქართლს, იმ პროვინციას, საცა ხალხი, მდაბიო და დიდებული, ლაპარაკობს ლიტერატურულის ენის კილოთი, საცა ეგ კილო და ჩვენი დღევანდელი სალიტერატურო ენა თითქმის არ განსხვავდება და უბრალო გლეხი და გლეხის დედაცაც კი ისე ლაპარაკობს, თითქო ჩვენს საუკეთესო სალიტერატურო ნაწერებზედ აღზრდილა“.

აი რა სიბრძნეს მოკვითხრობს ბ. გრ. ყიფშიძე! ქართლელი გლეხი, მამაკაცია ის თუ დედაცაც, თორემ წმინდა ლიტერატურული ენით ლაპარაკობს—და, მაშასადამე, რასაც იქ იტყვიან, რა ფორმებსაც იქ ხმარობენ, ყველაფერი ხალასი ოქროა—და სალიტერატურო ენათ, ყოველი მიზეზის გარეშე, ყველაფერი იქაური უნდა აღვიაროთო!

ქართლში, როგორც ვიცით, ხალხი ხმარობს, მაგალითად, შემდეგ სიტყვებსა

და ფორმებს: ამთენი, იმთენი, ამოტელა, რამოტელა, მუშაობას დავიწყობ, მოვესწრობი, წავიკითხამ, წყალსა ვსვავთ, გასხნილი, სხნილი, ხუთნი ძმანი, მყოლიყო, მქონიყო, გვანდა, მყვანდა, გამიბეღნია, შემიხეღნია, ესე (ასე-ს მაგიერ), კიდენ ან კიდონ, ღმთის წყალობა, და სხვ. როგორ გვიბძანებთ, ბ. გრიგოლ: ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენაში უნდა შევიტანოთ?!

„კოლხილის“ მართლწერაში ნახმარია ფრაზა: „მწყესებმა თავისი ჯოგი წარეკის“; ჩვენი კრიტიკოსი ბრძანებს: „ამ წარეკაზედ ქართლელი სიცილით მოკვდებოა“! კრიტიკოსს ალბათ იმის თქმა უნდა, რომ ქართლელი იტყვის: ჯოგები წაახხესო! შეიძლება წარეკას გაგონებაზე ქართლელმა გაიცინოს და მოკვდეს კიდევ, როგორც ბ. გრ. ყიფშიძე ამბობს, თუმცა აქ სასაცილო იოტის ოდენაც არაფერია. ნამდვილი სასაცილო კი, თუ მე მკითხავთ, სწორეთ ეს ქართლური წასხმა და მისხმაა—და იმერელს მართლა რომ სასაცილო ანგდოტი შეუთხზავს ამ გამოთქმის გამო (დღღოფლის შესახებ)—და მწარეთაც დასცინის ქართლელებს...

არა, ბ. გრიგოლ: სალიტერატურო ენისათვის მარტო-მარტო არც ქართლის ენა გამოდგება, არც კახეთისა, არც იმერეთისა და არც სხვა კუთხის. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ: სალიტერატურო ენის შექმნაში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთელი ხალხი; მთელი ერი, და არა რომელიმე ერთი კუთხე, რადგან ზოგიერთი ტერმინი ან ფორმა ერთი კუთხისაა აზრიანი და კეთილზმონი, ზოგი კი—მეორე კუთხისა. ხალხის შემოქმედება მარტო ერთ კუთხეში კი არ ამოძრავებს ადამიანის ნიქს, არამედ ყოველ კუნჭულში, და თუ იმერლის ნი:

კიერებამ რაიმე სასიამოვნო ფორმა და აზრიანი ტერმინი შექმნა, ქართლელს ნება არა აქვს-კრინტი დასძრას. რომ ეს იმერულია და ამიტომ არ მინდა მივიღოვო. რა თქმაა: „ქართლელი ვერ იტყვის—მქვია, მშია, მწყურია“—და ამიტომ „ქვიანი“ და „მშიანი“ უნდა ვიხმაროთო?! აბა ერთი ე ქართლელი ჩამივარდეს ხელში. როგორც ქართული ენის მასწავლებელს, და თუ ვერ იტყვის, მაშინ დაგანახებთ!.. ჩვენ ოღონდ შევთანახმდეთ, ნურცერთ კუთხეს ნუ ავითვალწუნებთ, ავარჩიოთ—რაც თითოეულ კუთხეში დახვეწილი და კეთილხმოვანი ფორმა და აზრიანი, შინაარსიანი ტერმინია და სალიტერატურო ენა ამ სახით შევადგინოთ, და თქმით კი: შკოლა, ათქმევიებს, შკოლა შეათვისებებებს: ამას ვერც ქართლელობა დაუშლის და ვერც იმერლობა.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ვერ შევთანხმებულვართ! პერე ვისი დანაშაულია, რომ შეთანხმება არ ხდება?—თქვენო, ბატონო ქართლელნო, თქვენი! განა შეიძლება შეთანხმებაზე ლაპარაკი იქ, საცა თავისი აზრის გასამართლებლათ ამისთანა საბუთს გვეუბნებიან: ქართლელი ასე ამბობს და, მაშასადამე, ასე უნდა ვიხმაროთო?!..

როგორც დაკვირვებულ მკითხველს მოეხსენება, ჩემი მართლწერა არც იმერულია, არც ქართლური, არამედ ქართული, ე. ი. იმისთანა მართლწერა, რომელშიც შემაქვს ფორმები და ტერმინები ქართლურიც, იმერულიც და სხვა კუთხისაც, როცა მე ისინი, ასჯერ გაზომვას შემდეგ, კეთილხმოვანათ და აზრიანათ მიმაჩნია; ბ. გრ. ყიფშიძე კი გვიბძანებს—ქართლელი გლეხის ენით სწერეთ და ილაპარაკეთო! ეს ხომ ქართლური ენა იქნება, და არა ქართული!?

მართალია, ჩვენს ძველ სალიტერატურო ენას საძირკვლათ ქართლის ენა დაედვა; მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ქართლს ვდგანმე ნება ქონდეს მინიჭებული—ყოველ სხვა კუთხეს შემოქმედების ნიქი დაუხშოს და კედლების აშენებასა და საზოგადოთ შენობის გამშენიერებაში მონაწილეობის მიღების საშუალება მოუშპოს. ქართლის ენის საძირკვლობას ჩვენ არ უარვყოფთ, ხოლო კედლებისა და საზოგადოთ ენის შენობის სილამაზის შემოქმედებაში სრული ნება გვაქვს—მონაწილეობა მივიღოთ და სწორ-უფლებიანობა მოვითხოვოთ. ბატონყობა არავითარ სფერაში სანატრელი და სასიხარულო არც ყოფილა და არც იქნება. ძმობა-ერთობა, თანასწორობა, სწორუფლებიანობა—აი ჩვენი დევიზი ცხოვრებაში, და ამიტომ ის ბძანებლობა, რომელსაც ბ. გრ. ყიფშიძე ქართლის სახელით გამოისტკვამს, ყ-დ. შეუწყნარებლათ მიგვაჩნია.

„ამგვარად, თუ ამ გზას დავადგებით და ქართლის კილოს აღვიარებთ სალიტერატურო ენის ქვაკუთხედათ, რაიცა აუცილებელია პროგრესისა და კულტურის ინტერესებისათვის (ნუთუ უამისოთ კულტურა და პროგრესი შეუძლებელია? ნუ თუ ქართლს ასეთი ჯადოსნური ძალა აქვს!?), მაშინ ზემოხსენებულ წიგნაკში ბევრი უნდა მივიჩნიოთ წყლის ნაყვად და უსაქმურის კაცის ჩხირკედლობად“—ო, ბძანებს თავის წრილში ბ. გრ. ყიფშიძე.

საქმეც ეგ თუ გახლავთ, ბ. გრიგოლ! „თუ აღვიარებთ“—ო! და თუ არ აღვიარებთ, მაშინ რა? მაშინ ხომ თქვენ იქნებით უსაქმური მოჩხირკედელავე, წყლის მნაყელი და თვალსაჩინო კემ-მარიტების უარყოფელი, თეთრის შავათა და შავის თეთრათ აღმსარებელი?!..

ბ.ნი გრ. ყიფშიძე, ჩვენი დროის მიხედვით, რიგიანი მოქართულეა, მაგრამ იმას რომ ღრმა დაკვირვება არ აქვს ქართული ენის სხვა და სხვა ფორმისა და სიტყვის კანონიერობისა, ეს ცხადის უცხადესია. „მართლწერის“ წიგნაკი ამბობს, მაგალითად, რომ ზედსართავი არსებითთან შეკვეცით იბრუნვის: მიც. ბრ. კეთილ კაცს, და არა კეთილს კაცს-ო. ბ. გრ. ყიფშიძე გვიკვირებს: თუ ზედსართავს მიცემითში შეკვეცით აბრუნებთ. ნათესაობითში რათ გვიკრძალავთ—ვიხმაროთ შეკვეცკლი დაბოლოება, მაგალ. ქართულ ენის, ბედნიერ დღის-ო? აი ამას ჰქვიან წაჯექ-უკუჯექობა და ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო,—ბძანებს კრიტიკოსი. ბ. ყიფშიძეს გონია, რომ ქართული ენის, ბედნიერი დღის და სხვ.—სრული ფორმებია! ვინ არ იცის, რომ ნათესაობითში სრული ფორმა იქნება ქართულისა ენისა, ან ქართულის ენის, ხოლო ქართული ენის—შეკვეცილი ფორმაა რაც შეეხება ნათესაობითის ფორმას ქართულ ენისა, ეცეც შეკვეცკლია, მაგრამ ეს ფორმა ხალხური არ არის, ცოცხალ ენაში იმას საფუძველი არ აქვს; ხალხი როგორც იმერთში, ისე ქართლ-კახეთშიც და სხვა კუთხეებშიც ქართული ენის-ო, ამბობს, და არა ქართულ ენის. საქართველოში აგრეთვე არსად იტყვიან (მაშასადამე—არც ქართლ-კახეთში) სრულ ფორმებს: ქართულის ენის, ქართულს ენას. (მხოლოდ მთხრობითში იხმარება ზედსართავი სრული ფორმით: ქართულმა ენამ), და ბ. ყიფშიძე კი გვარწმუნებს—როგორც ქართლელი ლაპარაკობს, ისე უნდა ვსწეროთო, ძველებური ფორმების შემოღება ცოცხალი ენისათვის სიკვდილი იქნებაო, და სხვა (იხ. „განათლება“, გვ. 499), და

ფორმები—ქართულის ენის ლ ქართულს ენას განა მკვდარი ფორმები არ არის?! განა ხალხი—თუნდ ქართლელი, ასე ლაპარაკობს?! აი, სწორეთ წაჯექ-უკუჯექობისა და მინასეს ისტორია ეს გახლავთ!..

ძნელია იმისთანა პირთან კამათი, რომელსაც ლოდიკა ლალატობს, ხნ, თუ გნებავთ, რომელიც ლოდიკას ლალატობს. ხშირია ლოდიკის წინააღმდეგობა ბ. გრ. ყიფშიძის მსჯელობაშიც. „დასდვა და არა დასდოვო, მე მგონია, დასდოც ისეთივე კანონიერია, როგორც დასდვა“-ო,—გვასწავლის ჩვენი მოკამათე. მერე მე რას ვამბობ, ბ. გრიგოლ? ჩემი კვლევა-ძიების, ჩემი მართლწერის მიზანი ის არის, რომ მწერლობაში ერთგვარობა დავამყაროთ, ყოველგვარ ფორმას არ ვხმარობდეთ; თქვენ კი იმ პრინციპს ადგახართ, რომ დასდოც მართალია და დასდვაც“-ო, და, მაშასადამე, ვისაც როგორ სურდეს, ისე იხმაროსო! ეს ხომ სწორეთ ის იქნება, რასაც ჩვენ გვიკვირებთ, ე. ი. მანასეს ხან ისე და ხან ასეობა! ჩვენ კი ერთგვარობა გვწადია სალიტერატურო ენაში შევიტანოთ, თან ხალხურს დავუახლოვოთ იგი და შეძლებისამებრ გავამარტივოთ. ეს არის ჩვენი მიზანი—და თუ თქვენ და „ძმანი თქვენნი“ კეთილზმონებების აღდგომა უქონლობას გვიკვირებთ, ჩვენ მრავალი საფუძველ-გვაქვს მოგახსენოთ, რომ თქვენ არც კეთილზმონებების სმენის განვითარება გეტყობათ და არც შეგნება ქართული ენის სხვა და სხვა ფორმის კანონიერობისა.

თქვენს სხვა ნაწერებს ჯერჯერობით თავი დავანებოთ და ავიღოთ, თუ გნებავთ, მხოლოდ ზემორე დასახელებული თქვენი მოკლე წერილი. ამ პაწია წერილშიც საკმაო მასალაა იმისა, რასაც თქვენს გამოცნებასა და აღდგომაზე ვამბობთ:

1) მთელს საუკუნეს, მეტს ხანს მოუნდნენ, დიდს საქმეს, ცუდს საქციელს და სხვ.: ამისთანა ფორმებს ხმარობთ თქვენ ამ წერილში—და ამით ერთი მხრით იმას ამტკიცებთ, რომ მკვდარი ფორმების აღდგენა გწადიათ, რადგან, როგორც ზევით ვსთქვით, ეს ფორმები ახლანდელ ჩვენს ხალხურ ენაში აღარ მოიხმის, და მეორე—განვითარებული სმენაც არა გქონიათ, რადგან აღნიშნული ფორმების გამოსათქმელათ კაცმა ენა უნდა მოიტეხოს, მთელი ძალდონე უნდა შემოიკრიბოს, საგანგებოთ მოემზადოს—და რა ვიცით რა არ უნდა ქნას! „დიდს საქმეს“: აბა კარგათ დაუკვირდით, ეს ერთად თავმოყრილი ორი ს რა კეთილხმოვანია და! აბა ძალას ვინ გვატანს, რომ ეს ტლანქი და ისიც მკვდარი ფორმა სამწერლო ენაში შევიტანოთ? მკითხველო, რომელი ფორმა უფრო მარტივი და კეთილხმოვანია: „დიდს საქმეს“ თუ დიდ საქმეს?!

2) ყველა სასწავლებლებისათვის-ო, სწერს ბ. გრ. ყიფშიძე; ჩვენი შეგნება ქართული ენის სულისა და გულისა კი გვეუბნება, რომ ქართულ ენას საზოგადოათ მხოლოდობითი რიცხვის ფორმების ხმარება უყვარს, მეტადრე მაშინ, როცა რიცხვის აღმნიშვნელი სიტყვები (ბევრი, მრავალი, ცოტა, ყველა, ორი, ასი, ათასი და სხვ.) წინ უძღვის; მაშასადამე—„ყველა სასწავლებლებისათვის“ კი არ უნდა ითქვას, არამედ „ყველა სასწავლებლისათვის“;

3) „გაჰხადოს“, „ჰმეთაურობს“-ო,—ხმარობს „კეთილხმოვანების“ მლაღადებელი კრიტიკოსი; ჩვენ კი გვგონია, რომ ამ ფორმებში ჰ-ს ქაჯის მეტი ვერავინ გამოსთქვამს. ჩვენ გვესმის ზოგიერთების დტრინვა, როცა გვეუბნებიან, რომ

ფორმებში: ქონდა, ქონია, ის მიქრის, გაკივის, დაკა და სხვ. ხმა ჰ მოიხმისო; მაგრამ ჩვენ არ გვესმის, რა სმენა და რა კეთილხმოვანების ალლო მოითხოვს ზემორე აღნიშნულ ფორმებში (გაჰხადოს და ჰმეთაურობს) ხმას ჰ-ს!..

4) ჰბეჭდავენ-ო, ხმარობს კიდევ ბ. გრ. ყიფშიძე. ჯერ ერთი რომ—ჰ აქაც უადგილოა, და მეორე—ფორმაც უკანონოა, რადგან ამისთანა ჰმნები მრავალი რიცხვის მესამე პირში ა-ს კვეცავს: ისინი კერვენ, ბერვენ, ხედვენ, და არა კერავენ, ბერავენ, და სხვ; მაშასადამე—ბეჭდვენ უნდა ვიხმაროთ, და არა ჰბეჭდავენ;

დაბოლოების დენ-ის შესახებ (წავიდენ, მოვიდენ) ბ. გრ. ყიფშიძე ბძანებს: როგორ უნდა გავარჩიოთ გამოთქმები: ისინი მოვიდენ—და მოვიდენ ოფლსაო, ისინი წავიდენ—და ცხვირში სისხლს წავიდენო! როგორ უნდა გავარჩიოთ? ძალიან ადვილათ: თუ რომ ცხვირში სისხლის დენა გენატრებათ და ან სიკვებ მოგცესთ და ოფლი იდინოთ, მაშინ სისხლის დენასა და ოფლის მოდენაზე ილაპარაკეთ, და თუ წასვლა-მოსვლაზე ლაპარაკი, იმედია—მიხედვებით, რადგან ამის გაგებას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ეგ საბუთი არ ახალია, ძველია: იგი დიდი ხანია ბ. იაკ. გოგებაშვილმა მიიყვანა ამ 20 წლის წინათ, როცა ამავე ფორმებზე კამათი იყო ატეხილი „ივერიასა“ და „კვალს“ შორის, და როგორც მაშინ იყო იგი უსაფუძვლო, ისე უსაფუძვლოა ახლაც-და ამისთანა საბუთის გამეორებამხოლოდ სისუსტის ნიშანია. ვინ არ იცის, რომ ხშირათ ერთგვარი ფორმის სიტყვებს სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამით აზრი არავის არეგია. აი მაგალითები: შენობა რაიმე სახლზედაც

იქმის და აგრეთვე აბეზარ ადამიანსაც (ცეტყვიან: მართლა სულ შენობა ხომ არ არისო! **ბანი**—დაბალი ხმა, **ბანი**—მიწურის (ქართლური სახლის) ზედაპირი-სახურავი; **ხელი**—შმაგი, გიჟი, და **ხელი**—სხეულის ნაწილი; ღვინო **მომისვამს**—და მეგობარი გვერდს **მომისვამს**, აგრეთვე თავზე ხელს **მომისვამს**; გლეხმა წერა იცის—და გლეხი ტყვიის წერა შეიქნა; წრევანდელი **წელი** (წელიწადი)—და ქაშის **წელი** (შიგანი); წყალი იქცევა (იღვრება)—და წყალი ორთქლათ იქცევა, და სხვ.: ვინ მოსფლის-რამდენი **ომონიმი** და **ომოფონი** ქართულ ენაშია, მაგრამ, ვიმეორებ, აზრი არ ავკრევია. ბ. გრ. ყიფშიძეს არ მოსწონს, მაგალ., კავშირი **თვარა** (თორემ სჯობიაო), როცა ძველ საუკეთესო თხზულებებში „(ვისრამ.“, „ვეფხ.“ „ქილილა და დამ.“ და სხვ.) სულ **თვარა** იხმარებოდა და ახალ ენაშიც ნახევარზე მეტი ქართველობა **თვარა**-ს ხმარობს.—და წარმოებითაც **თვარა** კანონიერი ფორმაა (თუ არა, სადაც უნათ ქცეულა); **ენკენისთვე** უნდა, რადგან ბერძნულშიც ორი ნაარია! ვერ შეუგნია ბ. გრ. ყიფშიძეს, რომ უცხო ენიდან შემოტანილ სიტყვებს ყოველივე ხალხი თავის სამჭედლოში სჭედს და თავის ქვაბში ხარშავს, და რადგან ქართული ენა ერთ ძირში ორს თანაბარ ხმას ერიდება, ერთ მათგანს ან სულ კარგავს, ან მონათესავე ხმათ აქცევს ხოლმე,—მაგალ. ბერძნული სიტყვებია აგრეთვე **ეკკლესია**, **გრამმატიკა**, ლათინური—**კლასი**, **ასსისტენტი** და სხვ., მაგრამ ამ სიტყვებში ახლა ყველა თითო კ-ანს, მ-ანსა და ს-ანს ხმა-რობს.

ორიოდე სიტყვა საკუთრათ ბ. „იმერელსაც“ უნდა ვუძღვნათ, რომელიც

„განათლების“ იმავე ნუმერში „**იმერულ ენათ**“ ნათლავს იმ ენას, რომელშიც ზევიფ აღნიშნული „მართლწერა“ დაცული, და იმ **გრამმატიკას** (იგულისხმეთ სილოგ. ხუნდაძის გრამატიკა!), რომელიც ამ მართლწერას იცავს; „**იმერულ გრამმატიკას**“! უწოდებს.

სასტიკათ ცთება ბ. იმერელიც და ყველა, ვინაც ასე დაუფუქრებლათ წამოიძახებს, თითქო ვისმე განზრახვა დაბადებოდა, რომ „**ქართული**“ ენა და გრამატიკა მოსპოს და „**იმერული**“ შემოიღოს და—რგორც ბ. იმერელი ბძანებს—„ჩვენი ენისა და კულტურის ისტორია ახლა დაიწყოს“.

ბ. იმერელი ასე აბოლოგებს თავის წერილს: „**ერს ერთა სულა აქვს, ენაც ერთა უნდა ჰქონდეს**“—ო, და ნამდვილათ კი თვით ეს „ერთობის“ მლალადმცელი ვაჟბატონი ეწინააღმდეგება „ქართლის“ მეორე ვექილს, ბატონს გრ. ყიფშიძეს! ბ-ნი გრ. ყიფშიძე, როგორც ზევითაც დავინახეთ, ამგვარ ფორმებს ხმარობს ნათეს. ბრ.—**ქართულის ენასა, ჩვენის სულაერას შემოქმედებისათვის და სხვ.**, —მიც. ბრ.—**მთელს საუკუნეს, ძველს მწერლობას და სხვ.**; ბ. იმერელი კი ამავე ბრუნვებს შეკვეციტ ხმარობს: ნათ. ბრ.—**ქართული ენას, რუსული ენას და სხვ. მიც. ბრ.—ბუნებრივ განვითარებას, ქართველ ერს, ბედნიერ დროს და სხვ.**; ბ. გრ. ყიფშიძე ხმარობს **ახლა**, ბ. იმერელი კი—**ეხლა**, **ეხლანდელი** და სხვ. და სხვ.

ერთი ამათ კითხოს კაცმა: რომელ ერთს დავერწმუნოთ? ან ეგებ იმას გვიჩვენე, რომ ყველა ფორმა დომხალივით ავუროთოთ?! ნუთუ ბ. იმერელი ამას ეძახის „**ერთ ენას**“?!.

ბ. იმერელს ისიც კი ვერ გაუგია, რომ

ჰ-ს ჩვენ მხოლოდ ზმნებში უარყოფთ, და ამტიკებს ჰ-ს აუცილებლობას შემდეგ სიტყვებში. (არსებით სახელებში): ჰამნი ჰანოტიზმი, ჰამლეტი და სხვ. ვერ გაუგია, რომ ზმნებში კეთილმზიანებისათვის ჰ-ს უარყოფთ, მაგრამ, სამაგიეროთ, იმავე კეთილმზიანებისათვის ს ს ვხმარობთ, მაგ. მან მისწერა, მან ნთქვა, მისცა და სხვ. და სხვ.; ბ. იმერელს ვერ გაუგია, რომ ფორმა „იყვეს“, რომელსაც ის თავის წერილში ხმარობს, არც კეთილმზიანია და არც სწორია; ბ. იმერელს ვერ გაუგია, რომ, თუ იმერელი ოდესმე „ქართული კულტურისათვის სტუმრის როლში ყოფილა“, როგორც ის ბრძანებს, მუდამ სტუმრათ ვერ დარღარჩებოდა და—საუკუნეთა განმავლობაში—უნდა „მოშინაურებულიყო“ და ისიც მასპინძლების როლში უნდა ჩამდგარიყო.

და კაი ხანია კიდევაც ჩადგა იმერეთი ამ როლში და მისი შეგნებული ნაწილი **ქართული კულტურას** (და არა მხოლოდ ქართლურს) პროგრესისათვის მედგრათ იბრძვის.

ბ. იმერელს, ბ. გრ. ყიფშიძესთან ერთად, გონია, რომ ქართველი ერის მესვეურობა უთუოდ **ქართლელმა** უნდა იკისროს, და ჩვენი აზრით კი ქართველ

ერს ყოველგვარს კულტურულ წინსვლაში **ნამდვილი ქართველ** უნდა შესვეურობდეს, იმერელი იქნება ის, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრელი; სვანი, ფშავი თუ ხევსური—სულ ერთია, და არა მხოლოდ **ქართლელი**.

აი ამისთანა ლოდიკისა და შეგნების მექონი ვაებატონები გამოდიან და იცვენ იმ პოზიციას, რომელსაც არავეითარი სიმართლე, არავეითარი მკვიდრი საფუძველი არ მოეპოება.

ბ. გრ. ყიფშიძე და „ქმანი მისნი“ ისევე ებლაუჭებიან ძველებურს, ახლანდელი სმენისათვის ტლანქ ფორმებს, როგორც მესამოცე წლების ორბელიანები და კავშირებლაუჭებოდენ უბრჯგუებს, ჰიე-ჰოიეებსა და სხვადასხვა უნიადაგო ასოებსა და ფორმებს, და რა ბედიც მესამოცე წლების რეტროგრადებს ეწიათ, დარწმუნებული ბძანდებოდენ, იგივე ბედი მოელისთ დღევანდელს ქართული ენის რეტროგრადებსაც...

მაშ გამარჯვება ვუსურვოთ მთელის ქართველი ხალხის, ქართველი ერის ენას, გამარტივებულსა და გაშვენიერებულს **ქარაულ ენას**, და არა **მხოლოდ ქართლურს!** **სილოვ. ხუნდაძე.**

ქუთაისი,
6 ოქტომბერი.

უცხო ენების სწავლება საშუალო სასწავლებლებში

საშუალო სასწავლებლების ანორმალური მდგომარეობა ამ ეამათ ყველასათვის მეტათ ცხადია, აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც საზოგადოება დრტვინავს, უკმაყოფილებას აცხადებს, მაგრამ საქმის კეთილად მოწყობას არა ეშველა რა. საშუალო სასწავლებლების ნორმალურად

მოღვაწეობას მრავალი სოციალური და პოლიტიკური პირობები უშლის ხელს და ჯერ კიდევ დიდი დრო არის საჭირო, რომ საქმე სასურველად მოეგვაროს.

ყველა იმ მრავალ დაბრკოლებათა შორის, რომელიც საშუალო სასწავლებლების ნაყოფიერად მოღვაწეობას ასუსტებს,

უცხო ენების შეუფერებლად სწავლება ერთ ერთ ზედმეტ ნაკლოვანებად უნდა ჩაითვალოს ამ სასწავლებლებისათვის. სამწუხაროდ ეს ნაკლოვანება ჩვენს საშუალო სასწავლებლებს მთელი საუკუნის განმავლობაში განუყრელად თანაზღვეს და საერთოდ საქმის კეთილად წარმართვას მეტათ აფერხებს.

ვინც საშუალო სასწავლებლების მდგომარეობას ოდნავ მაინც დაჰკვირებია, იგი უეჭველად შენიშნავდა, რომ უცხო ენების სწავლება ამ სასწავლებლებში მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. მოსწავლე შვიდი რვა წლის განმავლობაში სწავლობს უცხო ენებს და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ამ ენების ფითქმის სრულიად უცოდინარი რჩება.

არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ გამოცდის დროს გიმნაზიის აბიტურიენტს სრული უქცრება და უცოდინრობა გამოუჩენია ამ ენების ცოდნაში. სამწუხაროა, რასაკვირველია, ასეთი გარემოება, მაგრამ სინამდვილე კი ასეთია. ამიტომ უნებლიეთ იბადება საკითვი, რატომ, რა მიზეზია, რომ ამ ენების სწავლებას საშუალო სასწავლებლებში ასე მცირედი ნაყოფი გამოაქვს? ამ საკითხის სწორად გადასაწყვეტად, საჭიროა მოკლეთ მაინც გავითვალისწინოთ, თუ რა აზრით შემოიღო საერო განათლების სამინისტრომ ამ ენების სწავლება საშუალო სასწავლებლებში და როგორის საშუალებით ახორციელებს იგი თავის წინასწარ განზრახულ მიზანს.

მეცხრამეტე საუკუნის გასულს საერო განათლების სამინისტროს აზრად ჰქონდა დასახული, რომ გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ამ უცხო ენებზედ ლაპარაკი შესძლებოდათ. საშუალო სასწავლებლებში იმ ჟამად სწავლობდენ უმ-

თავრესათ თავად აზნაურების შვილები და ამიტომ საზოგადოების და სამინისტროს სურვილი იყო, რომ სახელმწიფოს „წარჩინებულ“ წოდების შვილებს გიმნაზიის დამთავრების შემდეგ „სალონებში მოხერხებულად ელაპარაკნათ“ ფრანგულად და გერმანულად. ტოლსტოისა და დელიანოვის მინისტრობის დროს უცხო ენების სწავლება საშუალო სასწავლებლებში ეგრედ წოდებული „გრამატიკულის მეთოდი“ ს საშუალებით სწარმოებდა. ამ მეთოდით სწავლებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო და მასასადამე სამინისტროს მიერ წინასწარ განზრახული მიზანი განუხორციელებელი დარჩა. მოწაფეებმა შვიდი რვა წლის განმავლობაში უცხო ენების პრაქტიკულად შესწავლვ და ამ ენებზედ „სალონებში მოხერხებულად ლაპარაკი“ ვერ შესძლეს. ამნაირად სამინისტრომ თავის მიზანს ვერ მიაღწია და ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო სხვაგვარი მიზნისა და საშუალების გამოძებნა, რომ ცხოვრების უკვე გართულებულ ჰირობებისათვის საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებულს ანგარიში გაეწია, ცხოვრებას უკან არ ჩამორჩენოდა.

მართლაც, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ხალხთა შორის ურთიერთობამ და ერთმანერთან დამოკიდებულებამ უფრო მკვიდრი ნიდაგი მოიპოვა და მასასადამე უცხო ენების ცოდნის საჭიროებაც უფრო თვალსაჩინო და აუცილებელი შეიქმნა. თუ წინეთ სამინისტრო და თვით საზოგადოებაც უცხო ენებს მხოლოდ იმიტომ ასწავლიდა საშუალო სასწავლებლებში, რომ შემდეგ მოწაფეებს „სალონებში მოხერხებულად ელაპარაკნათ“, ახლა კი ცხოვრების გართუ-

ლებულ და შეცვლილ პირობების მიხედვით სამინისტრომ სამართლიანად სულ სხვა მიზანი დაისახა უცხო ენების საშუალო სასწავლებლებში სწავლების დროს. საერო განათლების სამინისტრომ უცხო ენების სწავლებას სახელდობრ ესეთი მიზანი დაუსახა: რადგან ხალხთა ურთიერთ შორის დამოკიდებულება თან და თან ძლიერდება, ამიტომ ყველა მოქმედების ასპარეზზედ საჭიროა საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებულმა თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი უცხო ენაზედ ჩვეულებრივსა და მარტივ საჭირო საგნების შესახებ.

აი, უმეტნაკლებობოდ ის მიზანი, რომელიც სამინისტროს ამ წამადაც დასახული აქვს უცხო ენების სწავლების შემოღების საჭიროებისათვის.

სამინისტროს მიერ დასახული მიზანი მართლაც ცხოვრების პირობებთან მჭიდროდ დაკავშირებულია, მეტათ სასურველიც არის, რომ საშუალო სასწავლებლის კურს დამთავრებული მარტივსა და საჭირო საგნების შესახებ უცხო ენებზედ თავის აზრს თავისუფლად გამოსთქვამდეს, მაგრამ სამწუხაროდ ათი თუთხმეტი წლის გამოცდილება სულ წინააღმდეგს გვიმტკიცებს. საშუალო სასწავლებლების კურს დამთავრებულნი დღესაც ისე უცოდინარი არიან უცხო ენებისა, როგორც ეს ტოლსტოისა და დელიანოვის მინისტრობის დროს იყვნენ.

მართალია, სამინისტრომ უცხო ენების სწავლების მიზანი უფრო თანამედროულ მიზნათ შეცვალა, ნაცვლად „გრამატიკულ მეთოდისა“ შემოიღო ეგრეთ წოდებული „ბუნებრივი მეთოდი“ სწავლება, მაგრამ ამ ენების სწავლებამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო, უცხო ენების სწავლება დღესაც საჭირობოროტო

საგანს შეადგენს საშუალო სასწავლებლებებისათვის.

ღიახ, უცხო ენების სწავლება დღესაც საჭირობოროტო საკითხათ არის გადაქცეული, რადგან თვით ის მიზანი, რომლის განხორციელება სურს სამინისტროს უცხო ენების სწავლების დროს მიუწოდმელი და შეუძლებელია თანამედროვე პირობებში. ამასთანავე თვით ის „ბუნებრივი მეთოდი“ რომლის საშუალებით ჰსურს სამინისტროს მიაღწიოს თავის მიზანს, მრავალს უხერხულებას და ნაკლოვანებას შეიცავს.

უცხო ენებს სავაჟო გიმნაზიებში 25 გაკველილი აქვს მიჩნეული კვირაში და ეს დრო ისე ცოტაა, რომ ყოვლად შეუძლებელია მოწაფემ რვა წლის განმავლობაში უცხო ენებზედ თავისუფლად ლაპარაკი შესძლოს თუნდაც მარტივ საგნების შესახებ. მართლაც, მთელი რვა წლის განმავლობაში მოწაფე უცხო ენის შეთვისებას ანდომებს, თუ რომ სახლში მაცადინებობასაც მხედველობაში მივიღებთ, არა უმეტეს 1500 საათისა, მაშინ როდესაც ყმაწვილს სახლში ასწავლო უცხო ენა საჭირო არის არა ნაკლებ 3000 საათისა, რომ ყმაწვილმა თავისუფლად ილაპარაკოს უცხო ენაზედ მარტივი საგნების შესახებ. ამნაირად საშუალო სასწავლებელი ორჯერ ნაკლებ დროს ანდომებს უცხო ენების შესწავლას და აზრად კი ისა აქვს, რომ აბიტურიენტმა კურს დამთავრების შემდეგ თავისუფლად ილაპარაკოს ამ ენებზედ. რასაკვირველია, ასეთი მიზანი მიუწოდმელია და კიდევაც ამიტომ მიზანი მიზნათ რჩება და უცხო ენების სწავლება ისევ ძველებურს უნუგეშო მდგომარეობაშია.

საქმით კეთილად წარმართვას დიდად აფერხებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ

უცხო ენებს ამ გამოთ „ბუნებრივის მეთოდით“ ასწავლიან და ამ მეთოდს კი მრავალი უხერხულება თანა ზღვეს, რაცა უცხო ენების სწავლებას უნაყოფოდ ხდის.

ბუნებრივის მეთოდის საშუალებით მოწაფე უნდა იწერებოდეს პირველ კლასიდან დაწყებული ვიდრე იგი კურსს დაამთავრებდეს. ფაქტიურად კი ამ პრინციპის განხორციელებას მასწავლებლები ვერ ახერხებენ და კიდევაც შეუძლებელია მოახერხონ. პირველსა და მეორე კლასში კოტად თუ ბევრად შესაძლებელია მასწავლებელმა არ მიმართოს საშობლო ენას და ყველა სიტყვები ამ უცხო ენის საშუალებით განუმარტოს; ხოლო უფროს კლასებში, როცა საგანი უფრო გართულდება, როცა საჭირო შეიქმნება მასწავლებელმა განუმარტოს მოწაფეებს განყენებული მცნებები, ბუნებრივი მეთოდით სწავლება უბრალოდ დროის დაკარგვად უნდა ჩაითვალოს და ნამდვილადაც ასე ხდება. ისეთი ცნებების განმარტება, როგორც არის „სასწავლება“, „სიყვარული“, „ოცნება“ და სხვ. ბუნებრივის მეთოდის საშუალებით განმარტება შეუძლებელია, თუ სრულიად შეუძლებელი არა. ამიტომ მასწავლებლები უფროს კლასებში ისევ „თარგმნითი მეთოდს“ იმდევნენ უბრაატესობას და ამნაირად ბუნებრივი მეთოდის მთლიანობას მთელი კურსის განმავლობაში ვერ იცავენ და არც შეძლება აქვსთ დაცონა.

ბუნებრივი მეთოდით სწავლება იმითაც უხერხულია, რომ მოწაფე სახლში მოკლებულია საშუალებას შესაფერად მოამზადოს გაკვეთილი შემდეგი დღისათვის, თუ რომ შეტათ გამოცდილი ხელმძღვანელი დახმარებას არ უწყევს. ჩვენს დროში კი გამოცდრლ ხელმძღვანელს თვით

სასწავლებლებიც მოკლებულია და აბა რა საფიქრებელია, რომ თვითეულმა ოჯახში ესეთი ხელმძღვანელი გაიჩინოს.

სასწავლებელში ხშირი მოვლენა არის, რომ მოწაფე ავადმყოფობს და მიშასადაამე გაკვეთილებს სცდება. თუ კი მოწაფე, რომელიც გაკვეთილებს ყოველ დღე ესმენს, მოკლებულია საშუალებას გაკვეთილი მოამზადოს შემდეგი დღისათვის გარეშე ხელმძღვანელის დაუხმარებლად, აბა რა საფიქრებელია, რომ მოწაფემ, რომელიც ავადმყოფობისა ან სხვა რამ მიზეზის გამო მოსცდა გაკვეთილს, შემდეგი დღისათვის შესძლოს კლასში ბუნებრივის მეთოდით განმარტებულად გაკვეთილის მომზადება. აი ეს გარემოებაც ზედმეტ ნაკლოვანებათ დაერთვის ბუნებრივ მეთოდით სწავლებას. ესეთი ნაკლოვანებათა ეს იჩენს მაშინაც, როცა მოწაფე ებარება უფროს კლასში. ექვს გარეშეა, რომ ესეთი მოწაფე ზედმეტ ბარგათ ჩაითვლება იმ უფროს კლასში, სადა სწავლება ბუნებრივის მეთოდით სწარმოებს, ესეთ მოწაფეს დისპარმონია შეიქვს კლასში და საერთოთ სწავლის საქმეს იფერხებს. ბუნებრივ მეთოდს ყველა ამ მოსაზრების გამო თანამედროვე პირობებში, როცა თვითოეულ კლასში მოწაფეთა რაოდენობა ორმოცს აღემატება, თავისი მნიშვნელობა ეკარგება და კიდევაც ამიტომ იგი მიზანს ვერ აღწევს.

ამნაირად თვით ის მიზანი, რომელიც სამინისტროს დასახული აქვს საშუალო სასწავლებლებში უცხო ენების სწავლებისათვის, დიდათ სასურველი და საქაროცაა, მაგრამ თანამედროვე პირობებში და იმ საშუალებით, რომლითაც ამ გამოად სწავლი სწარმოებს, ხმ მიზნის განხორციელება საშუალო სასწავლებლისათვის ყოველად მიუწვდომელია და კიდევაც ამი-

ტომ უცხო ენების სწავლება ჩვენს საშუალო სასწავლებლებში ასე უნუგეშო მდგომარეობაშია.

მომავალშიაც რომ უცხო ენების სწავლება აწინდელ მდგომარეობაში არ დარჩეს, აუცილებლად საჭიროა ამ ენების სწავლების მეთოდი და თვით მიზანიც შეიცვალოს იმ რიგით, რომ საშუალო სასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი იყოს.

ჩვენის აზრით უცხო ენების სწავლება მხოლოდ ქაშინ შოიტანს საგრძნობელ

ნაყოფს, თუ რომ საშუალო სასწავლებლების კურს დამთავრებულ მოსთხოვენ მხოლოდ წაკითხულის თავისუფლად გაგებას და სათანადო განმარტებას. ამ მიზნის, მიხედვით სწავლების მეთოდიც უნდა შეიცვალოს, ნაკვალად ბუნებრივ მეთოდისა შემოდებულ ჟენდაიქმნას ბუნებრივ თარგმნით მეთოდი, რაიცა ერთი ორად ხელს შეუწყობს უცხო ენების ნაყოფიერად სწავლების საქმეს.

ა. ყუმისთაველი.

ციხეში

ფანჯარავ, ჩემო ფანჯარავ,
ფანჯარავ ტუსაღისაო,
ხელის დადებავ, პაწიფი,
ნაქერო ლურჯის ცისაო!
ფანჯარავ, რკინა დაკრულო,
ჩაჩხო გაქვს დუღაბისაო,
მაინც არ ვფიქრობ გაქცევას,
თუ გინდ, რომ იყო ხისაო!
შენს იქით რგოლი მარტყია,
ძალიო, გალაენისაო,
გარშემო ყარაულები,
ხიშტები სალდათისაო!

ფანჯარავ, ჩემო ფანჯარავ
სატრფო ხარ ტუსაღისაო,
შენთანა ვზივარ, გულს გაყრდობ,
ში მკერდო საყვარლისაო!

შენც პაწა ხელის დადებავ,
ნაქერო ლურჯის ცისაო,
ოხვრა და კენესის ხატებავ,
გულ-მოკლულ ტუსაღისაო,
ქაღალდ-კალიმო საბეჭდოა,

იმისი ფიქრებისაო;
თქვენა ხართ ჩემი ერთგულნი,
დამთვლელნი ცრემლებისაო,
ოხერი, მაინც იწურის,
თუმცა გული მაქვს ქვისაო,
თქვენ გესმით მხოლოდ ქვითინი
ნაწრთობი ფოლიდისაო,
ვაი, რა ძნელი ყოფილა
ტყვეობა არწივისაო!

ფანჯარავ, რკინის ფანჯარავ,
ლურჯო ნაქერო ცისაო,
ჩამოვდნი, როგორც სანთელი,
ფთილა ვარ კელაპტრისაო!

ჯერ კოცხალს ზედი მეწია
თვითებ დიხუქულ მკვდრისაო,
ზღარ ვარ სატრფოს მნახველი,
გამგონი მისი ხმისაო;
გადამივიწყდა სიგიჟე,
იმ ჩემი ნავარდისაო,
ვიცოდი ელეთ-მელეთი
მოსეულ დუშმანისაო.

ფანჯარავ, სევდის ფანჯარავ
 იავ, ნაქერო ცისაო,
 ჩამოვდნი, როგორც სანთელი,
 ფთილა ვარ კელაპტრისაო!

ეხ, ერთხელ ვნახე სიმები
 გადმოსულ სხივებისაო,
 მომლხენი ვიყავ, მსმენელი
 მერცხლების ყრივ-ყრივისაო!
 ხმა ისევ ყურში ჩამძახის,
 იმ ტკბილი ბუღბუღლისაო!
 უცებ მზეს დაჰკრა ღრუბელმა:
 ჩრდილია ყორნებისაო,
 მთილამ ღვართქათმა იფეთქა:
 გმონება კაეშნისაო,

ნეტავ თუ კიდევ გაემბის
 ჩანგს სიმი სხივებისაო!

ფანჯარავ, რკინის ფანჯარავ,
 ლურჯო ნაქერო ცისაო,
 ჩამოვდნი, როგორც სანთელი,
 ფთილა ვარ კელაპტრისაო!
 ფანჯარავ, სევდის ფანჯარავ,
 იავ, ნაქერო ცისაო,
 ვაი, რა ძნელი ყოფილა
 ტყვეობა არწივისაო!

ი. ევდოშვილი.

ქ. ჩორნი-იარი
 22 სექტ. 1911 წ.

შეტდომის გასწორება: ი. ევდოშვილის ლექსში „ისმინე, ერო ისრაელისა!“
 „განათ. № 8, შებდეგი კორექტურული შეტდომების:

ბგ.	სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
474	7	დაწვეულია	და ვწვეულია
—	18	რომ	როს
—	34	ყოველა წვეთი ჩემი სისხლისა	ყოველ წვეთო ჩემის სისხლისა
475	7	ეფუამ	ელოვამ.

პირველი დღე

თარგმანი

(სემინარიელების ცხოვრებიდან)

პირველა ენკენისთვია. ტ —ის სსსუფიუ-
 რო სემინარიისში ამ დღეს იწეებენ ხალხე
 სწავლას. სწავლის დაწეების წინათ ზარაკლი-
 სის გადახდა იტან. ტ —ის სემინარიის ვიწ-
 რო და ჩამონებულა იავანი პირველ ენკე-
 ნისთვეს სავსეა სხვა და სხვა ხალხით. თქვენ
 აქა ნახვთ სოფლებილამ ჩამოსულ ანათორა
 გადაღესილ მღვდლებს, რომლებსაც პროვინ-
 ციებილამ შვილები ჩამოუყვანათ. აქვე ნახვთ
 ქალაქის სმღვდლებას, უფრო სუფთად გა-
 მწეობილებს და რამდენსაჲ მანდილოსანს,

შეკირდების დედებს. ყველანა შეკირდები-
 თურთ ერთმანეთში არიან არეულ-დარეულები.
 სემინარიის დახალ ჭერიან დერეთანში გა-
 ნუწევეტელი ვაყანი ისმის. თუმცა ყველა
 ცდილობს, რომ დახლა ხმით ილანარაკს,
 მაგრამ ხალხი ბევრია და საერთო ყიჟინი ერთ
 დიდ ხმად არის გადაქცეული. ეს ხმა ზღვის
 ტალღასავით ეცემა სემინარიის კედლებს.

დერეთანის აქეთ-იქით კლასებია ჩამოყოფი-
 ბული, უსუფთაო კლასები. შიგა დგას გძელი
 ზარტები, რომელსედაც დახებით ამოჭრიდა

რამე სურათი ან სიტყვა. ჰარტებს გარს შემოხვევიან სოფლიდან ჩამოსული სემენარიელები და თავიანთ აზრებს უამბობენ ერთმანეთს.

ნეკაყვეს სემენარიაში ყველანი კარგად იცნობდნენ. ის იყო ხუმარა და სიტყვა მოსწრებული უმაწოდო. ნეკაყვეა წელს დიდის გაჭირვებით გადავიდა მეოთხე კლასში (სამ საგანში ჰქონდა განმეორებითი გამოცდა); ესა იჭდა ის და უამბობდა ამხანაგებს თუ როგორ შეიფარა ამ ზაფხულს ერთი მდიდარი ვაჭრის ქალი და მერე ხელიდან ისევე როგორ გამოუსხლტა.

ნეკაყვეის ამხანაგი იატორ ბლაგოზუენოვი შეგირდების ერთი ჭკუფიდან მერე ჭკუფში გადადიოდა; იმას მეტ სახელს „ჩმაგს“ ეძახდნენ. ბლაგოზუენოს თითქმის სულმუდამ იდლიის ქვეშ ამოცებული ჰქონდა ხელმე რამე ნივთი და ყველას საქმეს უჭირებდა:

— უმაწოდებო ლატარიაა. ვისა გნებავთ. მშვენიერი ვერცხლის საათი. სამი სახურავი აქვს. ას ბილეთს ორ შურად მოგცემთ. ორ შურში რამ საათი გერგოთ, მეტი რა გინდათ? ვის გინდათ ჩაგწეროთ?

— ეი, „ჩმაგო“! რას დახეტიალობ? გამოკნისაურა ღოთი და მოუსუნარი ლევან ბოდროვი.

იატორი მაშინვე იმისაკენ გაექანა.

— ოჰ, ლეოს გაუმარჯოს! როდის ჩამოხვედა? ძმობილო, ხელი მომიწერე ლატარიაზე და მიაწოდა ხელმოსაწერი ქაღალდი.

— მაიდა, „ჩმაგო“, წინ ნუ გი შედობები, ჯერ საათი მახვენე როგორია.

— აი, შენი ჭირიმი, მიირთვი. თვრამეტი მანეთისა მიცემული.

— ბოდროვი გუჟამოდ გინეთ სინჯავს საათს და ხმა მადლა იცინის.

— რა? შეერთა „ჩმაგო“.

— აი შე ხივის ქვეყნისა! შენ ეს საათი

აგი ერთხელ უკვე ჩაატარიაში! ეგზემენიების წინად, მიმა ლავროვს რა ერგო.

ბოდროვის ხმაზედ მოვიდნენ სხვა სემენარიელებიც და, როცა გაიკებენ რაშია საქმე, იმათაც ხმა მადლა ასტეხეს სიცილი.

— ოინბაზი!

„ჩმაგო“ არ შეერთა:

— შე მიშას მაშინ საათის მაგიერ ფული მივეცი... ექვსი მანეთი.

ბოდროვი გაცხარდა:

— მომზადი თორემ ემ საათს აქედან გადავიხვრი. ერთხელ მოიგე ოთხი მანეთი და კიდევ გინდა ფული იშოვო, გაგიტეპა განა?

ბოდროვს სხუებმაც მხარი დაუჭირეს:

— მართლა ოხერი ეოფილა! სცხე მაგას, მანდედგან გაატდე.

— ეი, ხიველებო! უუვირის „ჩმაგო“ და იჭითევენ მომზადება.

სემენარიელები ერთმანეთს ბრიყუულად ექცევინ. ერთმანეთს ეძახიან: მიშეა, ვანგა, ვასკა და სხვა. სულყველას მეტი სახელები ჰქვიათ. სემენარიელები ერთმანეთს „ხიველებს“ ეძახიან, თვითონ სემენარიას— „ხივას“.

ზოგა „ხიველები“ ბაღში დასკიონობენ. მშვენიერი ბაღი აქვსთ სემენარიელებს, დიდო ჩრდილოვანი. ზოგნი მწვანეზედ სხედან, ზოგნი წამოწალიდან.

ასე გაივლის ხელმე სემენარიაში ეოველ წლივ სწავლის დაწეების პირველი დღე თორმეტ საათამდის. თორმეტ საათზედ გაისმის ზარის ხმა. სემენარიელებს ჰარაკლისზედ იწვევენ. ისინიც წამოიშადნენ და ნელ-ნელა გამოსწიეს, სცდილობენ სემენარიას გვიან მოუახლოვდნენ. სიარულის დროს ხმა მადლა იცინიან, ხმაურობენ; ლაზდანდარობენ.

ტ—ის სემენარიას მოზრდილი ეკლესია ჰქონდა. ეკლესიის სამივ კარებიდან საერთო დარბაზში შეიძლებოდა გასვლა. საკურთხეველის ახლო პირველ კლასელები იდგნენ, იმათ

შემდეგ მოხრდილები; სულ უკან, ეკლესიის ბოლოში, კედელთან შექექსელები ეუუდნენ.

ეკლესიაში ხმაურობა იდგა. აღმზრდელებს შეგირდებთან ვერა გააწყოთ რა. თვით შეგირდები კიდევ ისეთი ღვთის მოყვარულნი და ეკლესიის პატივისმცემელნი არ იყვნენ, რომ თვითონ გასუმებულნი იყვნენ.

ინსპექტორი „ნახარკა“ შეგირდების უკან იდგა, მარტო ზურგსა და კისრებს ხედავდა შეგირდებისას, სხვას ვერაუფერსა. იმისა თანაშემწე „პროშკა“ და „თხა“ ტყუილად იდგნენ. იმათი არავისაც ეშინოდათ. „პროშკა“ ცალი თვალით ელამი იყო, შორს ვერა ხედავდა. „თხა“ კიდევ ცდილობდა ერთი რიგი შეგირდებისა დაეწინარებინა, მაგრამ ვერაუფერი ვერ გააწყო და ისევ უკან დაიხია.

სემენარიელები ძალიან ამხედრებულნი იყვნენ „თხასად“ და მოსვენებას არ აძლევდნენ. ის საცოდავი მობურხებულნი იყო და აღარაუფერს არ დასდევდა. იმისი ნატურა ის იყო ხქარა მასწავლებლის ადგილი მიეღო და ამ თანამდებობისთვის თავი დაესწია.

ყოველი კლასის შეგირდებს გვერდზედ უდგათ თითო აღმზრდელი, მაგრამ აღმზრდელებს უფრო ვინ უტეებდა! „ხიველებმა“ კარგად იცოდნენ, რომ იმათ დაბალი კლასის შეგირდებთან ჭქონდათ საქმე. შეხუთე და შექექსე კლასელები ზირდავირ ატონებდნენ.

— საღდათობას გამოჭქევიან. თექვისმეტ მანეთად და ათ შაურად სემენარიის ზოლიციაში მსახურებენ.

აღმზრდელები თვითონაც კარგადა კრძნობდნენ, რომ შეგირდებზედ გავლენას ვერ იქონიებდნენ. ისინი იგივე „ხიველები“ იყვნენ; დიდი ხანი არ იყო, რაც გურსი შეესრულებინათ, იმათ უნდოდათ მღვდლის ან მასწავლებლის ადგილი ემოვნათ, რომ ჯარის კაცობას თავი დაესწიათ, მაგრამ ვერ ემოვნათ და ახლა აქ შემოხიხსული იყვნენ.

აღმზრდელის თანამდებობა სემენარიაში სავ-

ხედრო ბეგრადან ანთავისუფლებდა, მაგრამ თვითონ ეს თანამდებობა ჯარის-კაცობაზედ ხაკლები არ იყო. „ხიველებთან“ მორიგება ადვილი არ იყო. სემენარიაში აღმზრდელები დროებით იყვნენ. თუ სადმე გამოჩნდებოდა ან შედავითინის, ან მასწავლებლის ადგილი, მაშინვე ამ ადგილებზედ გადადიოდნენ. ამიტომაც აღმზრდელებს გავლენა არა ჭქონდათ შეგირდებზედ. ვერა აღმზრდელმა იცოდა, რომ სემენარიაში მოლოდ რამდენიმე თვით უნდა ემსახურნა და ვინ მოინდომებდა ამ ცოტა ხნისთვის იმოდენა „ხიველები“ აემხედრებინა თავის წინააღმდეგ.

ეკლესიაში დაისისინეს: სსს... სს... ეს სემენარიელები ერთმანეთს ახუმებდნენ, აღსავლის კარების ფარდა გვერდზედ გასწიეს. საკურთხევილიდან გამოვიდა რეკტორი. ეს იყო ვმაწვილი კაცი, არქიმანდრიტი. მალე ეპისკოპოსობას ელოდა. იმას თავის თავი გამოაჩენილ მრატორად მიანდა და ეკლესიის გათავადრიდან სიტუვის წარმოთქმა ძალიან უფერა და დღესაც რა კი აღსავლის კარებს ვადმოაბიჯა, შედგა, სესტებით ზირჯვარი გადაიწერა და ნელის ხმით დაიწყო:

— სახელითა მამისათა... და ძისათა... და სულისა წმიდისათა.

წინ მდგომი შეგირდები შეინძრნენ, მხურვალეთ ზირჯვარი გადაიწერეს და თავები ძირს დახარეს, როცა შეგირდები გასწორდნენ, რეკტორმა განაგრძო:

— საყვარელნო ქრისტეს მიერ მანო, ამხანაგებო და თქვენ სასურველნო ურმანო!

წარმოთქმულ სიტუების მიხედვით, რეკტორი თვალს გადაავლებდა ხოლმე ხან მასწავლებლებს, რომელნიც სანთლის ყუთთან მიკუნჭული იყვნენ, ხან შეგირდებს.

— მოელმა საფხულმა განგლო მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს განგმორდით. დღეს ხელასლა შევიყარებით აქ, ამ წაღკატში, ამ მეტნიერების ტაძარში. ჩვენ თვალწინ სულ

ახლად გადაშლილან დიდი ახმარები სწავლა-მეცნიერებისა, ჩვენი დიდებული სამშობლოს და მართლმადიდებელ ეკლესიის სასახელოთ. დღეს ჩვენ, მოწულებითა ღვთისათა, ყველანი შევუდგებით ჩვენ ჩვენს საქმეს. წმინდა მოციქული ბრძანებს: „მისცემდით უკვე ყოველთა თანა ნადებსა, სახარკოსა ხარკი, საზვერესა ზვერო, საშინელსა შიში, ზატვიუსა ზატვი“. ეს სიტყვები იმას ნიშნავს, რომ ზოგმა ჩვენგანმა უნდა აწავალს, ზოგმა უნდა ისწავლოს, ზოგმა უნდა შევირდებოს თვალყურით ადევნოს; იმ შევირდებს, რომელნიც შემდეგში იქნებიან „სათელნი ქვეყნისისანი“ და „მართლი სოფლისისანი“. მამა რეკტორი ცოტა ხანს შეჩერდა. უნდოდა რომ სულყველანი კარგად ჩაჰკვირვებოდნენ იმის სიტყვებს.

— წმინდა ეკლესია გვაფალებს ჩვენ, რომ ყოველი საქმე ლოცვით დავიწყოთ. „განუწვევტლივ ილაცდეთ“ გვიწერს სახარება. მით უმეტესად ისეთი საქმე, როგორც სწავლას დაწვება სასულიერო სემინარიაში, ამ მეცნიერების ტაძარში, უნდა ლოცვით იწყებდეს.

სემინარიელები მაშინვე მიუხვდნენ, რაც ეჩნდა ეთქვა ქვემოთ ორატორს და მძიმეთ ამოიხარეს. იმათ უნდოდათ მოესმინათ ახალი რამ, გამაცოცხლებელი, ახალი აზრები საგულისხმობი და გამხალისებელი. რეკტორი კი განუწყვეტლივ იმოკრებდა და დეჰავდა ერთსა და იმავე სიტყვებს.

მსმენელთ გული მოსდიოდათ.

— გააჭირა საქმე! — ბუტბუტებდნენ ღვთისმეტყველები (მეექვსელები) ეკლესიის ბოლოში.

— ახლა უნდა მთელი წასევარ საათი გააჭირაუროს. თითქო უმჯავროთ კი არ ვიცოდეთ, რასაც ამბობს! ეგ ხომ სულყველაფერი კატისიზმში სწერია.

— რა არის ლოცვა ან რა მნიშვნელობა აქვს ეს მაკარის წიგნში კი არა სწერია! იქიდანაა ქაფავს, — ბუტბუტებდა მესხეთე კლასის შევირდი ჩამაროვი.

— მაკაროვის წიგნში ის კი არა სწერია რა მნიშვნელობა აქვს ლოცვას, იქა სწერია, რომ ყოველი საქმე ლოცვით უნდა იწყებოდეს, — გაუსწორა ჩამაროვს ზირველმა შევირმა ვიკტორ მარსკიმ.

ორატორს უურს აღარავინ ჭტვებდა. ვის რაში ეზიტნავებოდა გადაღებული სიტყვები. რასაც რეკტორი ქადაგებდა, სემინარიელებმა ყველა ეს კარგად იცოდნენ. ამიტომ უურის გდება ეზარებოდათ და გაბორბტებულები ამბობდნენ:

— დმერთო! რასა დეჰავს კევივით. დადეჰილ სიტყვებს რადა დეჰავს უნდა!

ორატორი მაინც არა დრკებოდა. მოჰყავდა სხვა და სხვა მაგალითები ლოცვის სიძლიერეზე; მოკვითხრობდა ტოვიტის და ნინევიტელების ამბავს.

— მადლობას მოგახსენებთ მაგ ამბისთვის, ამბობდა შევირდი ნეკაჟევი. ეგ ხომ ბავშვობისავე ზაზინემისგან გამოვიცინა!

ბოლოს რეკტორმა დაათავა თავისი სიტყვა „ამინით“ და წამოვიდა ეკლესიის შუაგულისკენ.

ჩემზედ ყველანედ მეტ შთაბეჭდილებას ახდენს სიტყვა „ამინ“ — ამბობს ნეკაჟევი: „ამინ“ — გათავებისა.

ზარაკლისის დროს იაზმის წყლის სხურებაც იყო. ზარაკლისს, რაც კი შეიძლებოდა, ატქებდნენ. მთავრები მშვიდობიანს ნელა, დინჯის სმით ამბობდნენ. რეკტორი ჭ მდვდღეუბი ასამაღლებლებს ძალზედ აჭინურებდნენ. ეკლესიაში მოსამისხურე შევირდები რეკტორს თავს უბრძინენ და ხეჰზედ ჰკონცინდნენ: ერთი სიტყვით სულყველა იმას სცდილობდა, რომ დღევანდელი ზარაკლისი არქიელის მიერ გარდახდილ ზარაკლისისთვის მიემტხავსებინათ.

როცა ეკლესიაში ეს ამბები ხდებოდა, სემინარიელები თავისებურ ცხორებებს ეწეოდნენ. ისინი ვერა ხედავდნენ რა ხდებოდა რეკ-

ტორის გარშემო, არ ესმოდათ რასა კითხუ-
ლობდნენ, ან რასა გალობდნენ, არც ეინტე-
რესებოდათ.

— აი ვასო ვოსკრესენსკი, რომელსაც ქა-
დალდის თამაშობა საშინლად უყვარს, — ამოუ-
ღია სერთუკის მოგანიერო ჯიბიდან ერთი
დასტა სათამაშო ქადალდი და სთვლის სულ
არის თუ აკლია რაშე.

იმის გვერდით ორ შეგირდს მხარი მხარს
მიუბჟენიათ, რომ არაფერს შეამჩნიოთ, და რა-
ღაც წერილსა კითხულობენ.

უკლასს მოსწონდათ ეკლესიაში დგომა. არ
იციან რა ქნან. ერთი საათი ჰარაკლისზედ
დგომა ეგუდას მისივე უღლად აწვეს კისერზედ.
მავრამ რას იხამ, ფაღს გადახდა უნდა. ჭიფი-
რბენ ჰარაკლისი ჩქარა გათავდეს, იმას არ
უყურებენ რეკტორი რა მდგომარეობაშია. სე-
მენარიელებმა იციან, რომ ეკლესიაში ერთი
საათი მისი უნდა იდგნენ, იქნება მეტიც, და
აქეთ იქიდან კითხულობენ:

— ნახე, ბიჭო, რამდენი საათია? კიდევ
ბევრი აკლია?

პირფარს ბევრნი იწერენ, მავრამ ლოცვით
კი არაფერს ლოცულობს. მიტო შუღოვნიკოვი
სდგას და ანგარიშობს რამდენჯერ შეიძლება
ერთ წუთში პირფარის დაწერა. გამოიანგარიშ-
მა, რომ ორმოცდაათრმეტჯერ შეიძლება.
მიტოს მატემატიკის ნიჭი აქვს. სულ სხვა
სხვა და სხვა რიცხვები ეჩხილება თავში. იმის
იდეალი საინჟინერო სასწავლებელია.

ხომ გამოიანგარიშა მიტომ ერთ წუთში
რამდენჯერ შეიძლება პირფარის დაწერა, ეს-
ღა ისიც უნდა გამოიანგარიშოს მუხლის მოუ-
რა რამდენჯერ შეიძლება ერთ წუთში. მავრამ
მუხლის მოდრეკას ვერ ჭებდავს: გვერდში
უდგია „ხეზრე“ — დუღინი; ეშინია დუღინმა
მუხლის მოდრეკის დროს კისერში წინხლი არ
დადგოს და იატაკზე არ გაანარცხოს. რა ერ-
თი ხანია მიტოს დუღინის ათი შაური მარ-

თებს, მიტო არ აძლევს და ამასვე დუღინს
ჯაფრი სჭირს მიტოსი.

ის სემენარიელები, რომლებიც სამღვდე-
ლოების ან მასწავლებლების ახლო დგანან,
მხურვალეთ პირფარს იწერენ, ლოცულობენ.
სოგოერთებს სჯერათ, რომ პირფარის წერით
მოფიხვეჭთ უკეთეს მომავალსა, სვენი საქმე
კარგად წავა და კარგს ნიშნებსაც. მივიღებ-
თა.

ეკლესიის ბოლოში აივანია გაკეთებული.
აივანის ქვეშ შექვესელები დგანან. აივანის ერთ-
ერთ ბოლოს, კუთხეში რეკტორის ადგილია
იქა სდგას რაღაც ძვირფასი ხის სკამი, სე-
მოდან ხავერდ გადაფარებული. სკამს დაბლა
ფეხებ შუა ფიცარი აქვს გაკეთებული. შარშან
ამ ფიცარზედ წირვას დროს რომელღაც შე-
გირდმა „შასკები“ დახატა. ესღა ორი შე-
გირდი თავიანთ ამხანაგების ფეხებს, როგორც
კარგ კედელს, ისე ამოჭყარებოდნენ და „შაშ-
კებსა“ თამაშობენ.

აივანის ქვეშ ცოტა ბნელა. კედელზედ მი-
უუდებულა რამდენიმე შეგირდი, იღბლიანები,
რომლებსაც ერთი მოხერხებული ალაგი დაუ-
ჭვრიათ. იმათზედ უკეთეს ალაგას დგანან მეტ-
რე რიგი შეგირდებისა; ფანჯარების მახლობ-
ლად. ფანჯარებს წინ ფიცრები აქვს გაკეთ-
ბული და როცა აქ კაცი ზის, ვერ შეამჩნივს,
კეგონებათ, ფეხზედა დგასო.

ეკლესიის აივანი დაბალია და ბნელი. მას-
ზედ დგანან მკალობლები და „მოკუნტულ“
მიშკას ღოტბარობით გალობენ. მიშკა მატარა
ტანისა, რეკტორს ძალიან უყვარს. უმცროს
მკალობლებს ხელში სანთლები უჭირავთ. უფ-
როსები კედელს მიჭეულებიან, სოგოერთები
სხედან. ამათ წინაღუე დაუმზადებიათ სკამები
და თითოზედ ოროდ-სამ-სამი ჩამოსკუპულან.
სხედან და ისე გალობენ; ღოცვა ფიქრადაც
არ მოუყვათ. ისინი მკალობლობის ხარკს იხ-
დას.

საკურთხეველში მეტი თავისუფლებაა. უფ-

რასები იქ არ არიან. სამდგდელოება რეკტორითურთ შუა ეკლესიაში დგას. ამიტომ იქ უფრო მხიარულობენ. სტიხარში გამოწობილი ზიატნიცკი რეკტორის წითელ სკამზედ ჩამომჯდარა და კითხულობს წიგნს: ЧѢМЪ ЛЮДИ ЖИВЫ“. ჰაზოვს და კოზირიოვს ერთმანეთში გახურებული ღაპარაკი აქვთ. ჰაზოვი ეუბნება კოზირიოვს, რომ სანადლეოზედ ორ სანთლის ნამწვეს ერთად გადაუღაპავს. კოზირიოვი ერთ შაურს აძლევს თუ ამ საქმეს იზამს. ჰაზოვი თანახმაა, ესღა მხოლოდ იმასეუდ რიგდების პატრუქიანათ გადაუღაპავს სანთელი თუ უპატრუქათ.

შეორე კლასისი შეგირდის სამოვს საცეტხლურის კადვიება აქვს დაგადებული. ესღა სამოვი თავისუფალია; უჭირავს ხელში-სანთლის ნამწვები და ასარსოღაებეს. სამოვმა საკურთხეველში სანთლის ჰატარა ეშმაკები გააკეთა და საკურთხეველის ჰირის საბანზედ ჩამომწვრივა. როცა ეს მოსწყინდა, ჩამოიღო ეშმაკები

და ახლა ერთი დიდი ეშმაკი გააკეთა. ამ დროს საკურთხეველში შემოვიდა რეკტორი საკმლის კმევით. სამოვმა თავის ეშმაკი სერთუკის ჯიბეში გააჭანა. ზიატნიცკიმ საკითხავი წიგნი სტიხარს ამოაფარა. რეკტორს კი ეგონა საკურთხეველში შეგირდები მოწიწებითა დგანან და ღოცულობენო.

ასე უახროთ იყო აქ შეგეაფერი. არა სწამდათ ის, რასაც ემსახურებოდნენ. ერთი შეორეს ატუქილებდა, გულუბრევილოთ დაიციებოდა.

ჰარაკლისი გათავდა სემენარიაში. მკაღობელთა გუნდმა უკანასკნელად დასძახა: „მრავალუმიერ“. შეგირდებმა მწკრივად გასწიეს ჯვარზედ სამთხეველად. ხეულებრივ ჰირჯვარს იწერენ, ჯვარს ემთხვევიან, რეკტორს ხელზედ ჰკოცნიან და მწკრივადვე გამოდიან გარეთ.

ვლ. ე — ლი.

(დასასრული იქნება).

სული წმინდა

შულამისას მოფრინდა ციოთა ყრმა ანგელოზი, მოძღვარი ცისა, სხივი მოჰფინა და ნაზი ხმითა უმღერა მოხუცს სიმღერა ცისა.
 იგი მღეროდა მის კეთილ საქმეს, გასულთა დღეთა მწუხარებასა,
 იგი მღეროდა მის ტანჯვას, შავსბედს და შეასხმიდა ქებათ-ქებასა.
 ეტყოდა: „ტანჯვას არად იმჩნევდი, არა სტიროდი ლაჩრულად ბედსა, ბრბოს დამცინავსა წინ მიაღრვევდი, ხალხს ასწავლიდი სიყვარულს, ღმერთსა.“

მწუხარედ, შავად და მოწყენითა განვლო ღრუბლიან ცხოვრების ეამმა, არ გადმოგხედა მზემან ღმერთთა და არც ღიმილი მოგფინა ძმამა.
 გზას ვლიდი ძნელსა, სისხლით ზორწყულ-არ განგიცდია წუთით ღილინი... სა, მაგრამ ცად გელის შვება ტანჯულსა, ანგელოსთ დასწნეს შენთვის გვირგვინი.
 სთქვა და მის სული წარიღო (ადა, წყნარო გალობით ჩაეკრა ზესკნელს; ხმელეთზე იწვა ღამე შავად და მთის კალთებზე ეძინა სოფელს.

ი. მჭედლიშვილი.

დასტკნა ვარდი

ღილით სატრფომ ნაზი ვარდი
მომაწოდა ახლად შლილი,
მისი სახე ვით ლაყვარდი,
იყო ტურფად მოწმენდილი.

მიტხრა: თუ მას ხვალამდისინ
შეინახავ უხრწნელადო,
მხოლოდ მაშინ დამიმტკიცებ
რომ გიყვარვარ გულ-წრფელადო.

მეც ვუვლიდი სასაობით,
ცივს ნიავს არ ვაკარუბდი,
ფაქიზ ცრემლებს ცვრად ვაფრქვევდი
მისთვის წამწამს ვზხარებდი.

მაგრამ მაინც მის ფოთოლნი
დაწყობილნი, დანათხზვენი
ვერ ვიხსენი სიკვდილისგან
განჰქრენ მათნი სინაზენი.

სატრფომ რა სცნო ეს ამბავი,
ყოფა ოხვრად გაიხადა;
ცრემლი თვალთგან გადმომსკდარი
გახოშაკლდა, გამდინარდა.

სთქვა: იმ ვარდთან ერთად მოკვდა
სიყვარული გულისაო,
სევდის ღამეს გადაექსოვა
შვება ჩემის სულისაო.

მსურდა შევხვეფე-შევედროდი
ღმობიერად მომტკობოდა,
რადგან იყო სულ სხვა ვარდი
აროდეს რომ არ სტკნებოდა.

მაგრამ ვაგლახ! ვერა ვუთხარ
გულ ანაყუჩს, ანატირსა
და მეც ურვით შეუეროდი
გულის მთუთქავ ნაღვლის ზვირთსა.

დ. თურდოსპირელი.

სოფ. ვარდისუბანი.

დედა-ენის გაკვეთილი

(ვუძღვნი პატივცემულს ი. ს. გოგებაშვილს)

— ბატონებო, დღეს საღამოს 7 საათზე
საზედაკოგია რჩევაა დანიშნული და გთხოვთ
მოიხსნადეთ სასწავლებელში. უთხრა მასწავ-
ლებლებს მზის სამოქალაქო სასწავლებლის
ინსპექტორმა მუსამ მეოთხე გაკვეთილის შემ-
დეგ და ჩაიღვა პირში შესთრსლილი ჰაპირო-
სი, რომელიც კალმის ტარივით საში თითით
ეჭირა ხელში.

დანიშნულ დროზე ეგელა მასწავლებლები
თითქმის ერთ დროს შოვიდნიენ სასწავლებელ-
ში გარდა ივანე კანკაისი. ინსპექტორმა მას-
წავლებლები თავის დარბაზში მიიწვია. დაიწ-

ეეს ლაპარაკი ამაზე, იმაზე... ზოგი ცირკუ-
ლიარს ათვალერებდა, ზოგი გაზეთს... გა-
მოვიდა მასწავლებლებთან ინსპექტორის ცო-
ლიც, რომელსაც მალე შემოჭევა ღაქია და
თან შემოიტანა „პატნოსი“ ჩაის ჭიქებით აჭ-
რელებული... ბროლის წკრიალა ჭიქებში ისე-
თი მშვენიერი ფერი ჰქონდა ჩაის, რომ ად-
მიანი უურებით ვერ გაძლებდა. ჩაის სმა
გათავდა. ამის შემდეგ ინსპექტორმა დაიჭირა
თავმჯდომარის ადგილი და კანკაიე—მოიკითხა.
აბანოში წავიდა და მგონია დღეს
არც მოვაო, უთხრა მასწავლებლებმა გაურმა,

მთელი კრების ერთად ერთმა ქართველმა, რომელიც განკაცის მახლობლათა ცხოვრობდა — რადგან ერთს გარდა უველანი ვართ, შეგვიძლიან საქმეს შევუდგეთ, სიტყვა მუსამ და თავის წინ გამოვიღო ქაღალდებს დაუწყო ქათება, მერე გადაშალა ერთი ცირკულიარი და წაიკითხა ბრძანება მოწაფეთა ახალი ფორმის შესახებ. შემდეგ გადმოაწოდა მასწავლებლებს ხელის ოდენა სქელი ქაღალდი, რომელზედაც უფითელი წამლით იყო დახატული სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთა გერბი; მაგრამ ვიდრე გადასცემდა ისეთი აღტაცებით შინაგან და ამ უფითელ რკალს, რომ კაცს ეგონებოდა — რაფაელის თუ არა სხვა რომლისმე გამოჩენილი მხატვრის ნაწარმოები მაინც იქნებოდა.

როცა ეველამ გაშინჯა და გულწრფელად თუ ფლიდობით — მოაწონა, ამის შემდეგ მუსამ მიუბრუნდა მასწავლებლებს.

— ძლივს არ გვედირსა ფორმა!.. მერე რა მშვენიერია!.. აი ესლა კი უნდა მოვხდევინოთ ის საძაგელი უბაღაბები და სამაგიეროთი ფორმის ქუდები დავახურინოთ, მით უმეტეს ადვილი იქნება, რომ ჩვენი სკოლის საზატიო მხრუნველი დამპირდა გამოიწეროს მოწაფეთა დასარიგებლათ საჭირო გერბები.

— ძალიან კარგი იქნება! საუცხოვოა! და უკრეს კვერი მასწავლებლებმა და თავიანთი გულწრფელობის დასამტკიცებლათ კიდევ დაუწყეს შინჯვა დახატულ გერბს.

— მამ ასე, ბატონებო; ამის შემდეგ კლასის დამრიგებლებს ევალებათ, რომ თავიანთ კლასებში მოსთხოვონ მოწაფეებს გერბიანი ქუდებით სიარული. მე დარწმუნებული ვარ, თუ ბეჭითათი მოვითხოვთ, ერთი თვის განმავლობაში ეველას ექნება ქუდი!..

ამის შემდეგ უველანი ჩაჩუმდნენ, მხოლოდ ერთმა დარდღვია სიჩუმე.

— რასკვარველია, უნდა მოვითხოვოთ და კიდევ შეიძენენ!..

— ესლა, ბატონებო, ქართული ენის გაკვეთილების შესახებ უნდა გითხრათ ორიდღე სიტუვა, სიტყვა მუსამ. საქმე ისაა, რომ ჩვენი სასწავლებლის ეველა კლასში კვირაში ორი გაკვეთილია ამ ენის. ეს ასეცაა ჰროგრაშით, თანაც გადმოვიღო კავკასიის საოლქო მხრუნველის მიერ გამოცემული ჰროგრაშები; მაგრამ, ბატონებო, ეს შეეხება იმისთანა სასწავლებლებს, რომლებშიაც ორი განყოფილებაა ერთ კლასში, რაც ასე ხშირი იყო ამ ბოლო დრომდის. მაგრამ ჩვენი სასწავლებელში ეველამ განყოფილება ცალკეა, ერთ კლასს შეადგენს, მაშასადამე ეს ორი გაკვეთილი უნდა გაუფოთ ორ განყოფილებას და თითო მხეხდება ერთი გაკვეთილი. ასე რომ ჩემის აზრით, თვითეულ კლასში უნდა იყოს თითო გაკვეთილი, დასავსა მუსამ, და ადელეგების თუ სიმულვილის აშლილობისაგან ტუნები აუთრთოლდა...

გაურს ტუვასავით მოხვდა ეს მოულოდნელი განმარტება: გაჯავრებულმა და ადელეგებულმა გადახედა მასწავლებლებს, მომჯტეშულათ ერთ მათგანს, რომელსაც ღიბურლათ მოჰქონდა თავი და ინსპექტორსაც ხშირათ ეჩხრებოდა უბრალო რამეებზე, მაგრამ მუსას საწინააღმდეგო სიტუვა ვერავისაგან გაიგონა; ერთმა, პირიქით, კიდევ მოუწონა ეს განმარტება.

— მართლა და ასეც უნდა იყოს.

გაური ესლა კი დარწმუნდა, რომ მისი სავარული საგანი, უამისოთაც დაბრიყვებული და უკანასკნელ გაკვეთილებზე მიგდებული, მუაზე იჭრება...

თუმცა დარწმუნებული იყო, რომ იმის წინააღმდეგობიდან არაფერი გამოვიდოდა, მაგრამ გაჩუმება შეუძლებლათ დაინახა.

— ალექსანდრ ივანის! (ასე ეძახდენ მუსას) მე მგონია, რომ თქვენ განმარტება შემიცდარია... ასე რომ იყო, მაშინ ეველა სხვა საგნებიც, როგორიც არის რუსული, გოგრა-

ფიას და სხ. იმდენი გაკვეთილი არ უნდა იყოს, რამდენიც ესხვას, არამედ ერთი ორად ნაკლები, მაგრამ ეს ასე არ არის... მამ რათ უნდა შეადგინდეს გამონაკლს ქართული ენის გაკვეთილები!..

— უკაცრათ, გაწვევებინა სიტუვა მუსამ, ეკ საგნები სხვაა და ქართული სხვა!.. ჩვენმა შეგირდებმა ქართული მშვენიერაა იციან. სახლშიც ხომ სულ ქართულად ღამზარაკობენ... ჩვენ სკოლაშიც კი ვერ დავაწვევებინეთ რუსული ღამზარაკი, ხომ იცით, რომ ვერათურმა ზომამ ვერ გასჭრა: იმთა ჭკობათ: თუ რუსული იღამზარაკეს—ქართული დააფიწვდებათ... გარდა ამისა, ზოგიერთა მასწავლებლები ისე ენერგიულათ არ მოითხოვენ მოწაფეებისაგან, რომ სკოლაში რუსულათ იღამზარაკონ, აბა გადაშინჯეთ კონდუიტი!..

და მუსამ აშკარათ აკრძობინა, რომ ეს სწორეთ გაურია, რომელიც ხელს უშლის ამ საქმეში და შეტიც არ უნდოდ.

გაური ჩანუიდა... ესხა ის საბოლოოთ დარწმუნდა, რომ იმისი ღამზარაკიდან არათური გამაგიდოდ... უამისოთაც ნერვებ აშლიდეს, სიბრახის ცრევილი მოერია, გული ეუღში მოკბინა... შესძულდა აქ მუოთი ინსპექტორ-მასწავლებლები, შესასკდა კანკაძე, ერთათ ერთი თანამკრძობელი ამ საქმეში, რომელსაც სწორეთ ესხა მოუნდა აბანოში წასვლა და სასოწარკვეთილმა მხოლოდ ესდა ჩაიღამზარაკა.

— მე უკვე ვთქვი, რის თქმაც მინდოდა, ესხა თქვენ იციო!

ინსპექტორის წინადადება მიდებულ იქმინა ერთი ხმის წინააღიდეგ.

ამის შემდეგ ითათბირეს სხვა და სხვა საგნებზე და კრება დიშადა დამის 12 საათზე.

იმ დამეს დიდხანს არ დასძინებია. მასწავლებელთა გაურს.

— რა ვქნა, რა შემიძლიან, ფიქრობდა იმედ გადაწვეტილი მასწავლებელი.. ვის მიგმართო, ვინ დამეხმარება.. დირექტორი? შერე

რა გამოვა? მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ გაკვეთილების შემცირება, სწორეთ მისი ხრიკებია. ერთხელ კიდევ ეთქვა ვილანისათვის: გაურს უნდა, რომ მისი ნაშეგირდები ეუკლა ლიტერატურები გამოვიდნენ!.. ქართულ საზოგადოებას? მაგრამ როგორ რა გზით?

ის ერთათ ერთი ქართული გასკოთი შიშით ვერც კი გაბედავს ამ ამბის გამომუშავებას.. ესხა 189... წელიწადია... მამ რა ვქნა? ნეტა ერთი შევანდეს ვინმე ახლო, რომ ჩემი ფიქრები, ჩემი მწეხარება გაეუზიარო...

ამ მოთფასა და ბორკვაში მოქანცულ მასწავლებელს კიდევ ჩაქძინა.

გაურს თუმცა გვიან დაქძინა, მაგრამ მეორედეს მანინ ჩვეულებრივზე ადრე გამოყოფიდა. დალია ერთი ჭიქა ჩაი და გასწია სასწავლებლისკენ. უამისოთაც ფერმკრთალ გაურს უფრო ვვითელი ფერი დასდებოდა და ჭმუნვის ბუჭიდი აჯდა სახეზე. ეს, რასაკვირვლია, შეუნიშნავი არ დარჩათ მოწაფეებს, რომლებიც ასე აფასებდნენ დედა-ენის მასწავლებლის მუდამ მოდემარ სახეს. ერთმა თამამმა უმწვიდმა კიდევცა ჭკობათ:

— რათა ხართ ასე გაჭაფრებული!

მაგრამ მასწავლებლისგან ვერავითარი ჰასუნი ვერ მიიღო...

დარეკეს ზარი მუხუთა გაკვეთილზე შესასვლელათ და გაურიც შევიდა მეოთხე კლასში, სუდაც მას ქართული ენის გაკვეთილი უნდა მიეცა.

გაკვეთილებითა და თამამობით დადლილი ბავშვები დამშვიდდნენ როგორც იყო. მასწავლებელმა გამოჭკობათა გაკვეთილი. სკულდახელ აუნსნა ახალი და მერე წიგნების შენახვა უთხრა. მოწაფეები მიხვდნენ, რომ გაური ჩვეულებრივ, რიდაცის წაკითხვას აპირებდა და გახარებულებმა უერები სტეტიტეს.

— უმწვიდებო, დაიწყო გაურმა, მე ესხა წაკითხვათ ილია ქვჭკაძისგან გადაითარგ

მნილ ჰატარა მოთხრობას, რომელსაც „უკანასკნელი გაკვეთილი“ ჰქვია. აქ მოთხრობილს ამბავი შეეხება იმ დროს, როდესაც გერმანელებმა ფრანგებს ჩამოართვეს ერთი ადგილი, კუთხე, რომელსაც ელზას-ლოტარინგიას ეძახიან.

მასწავლებელმა კედელზე ჩამოკიდებულ რუქასე აჩვენა როგორც გერმანია და საფრანგეთი, აგრეთვე ელზას-ლოტარინგიაც. უთხრა როდის იყო ეს ომი ამ ერთა შორის და სხ.

— მაშ, აბა, სმენა და გაცნება! ემაწვილებმა ხმა გაკინდეს, ზოგიერთებმა ებაც კი დააღეს, ვეგლას სმენათ გადაიქცა..

გაური კითხულობდა, მაგრამ ეს კითხვა კი არა, ეს მისი საკუთარი გულის სიღრმიდან ამომდინარე სიტყვები იყო, ამიტომაც ასე

მძლავრათ ჰხვდებოდა მკითხველსაც და გამგონსაც... გამელის მწუხარებით გაური გაიმსტვალა, მოწაფეების მწუხარება მსმენელთა გრძობინა... გაურსაც ხმა აუკანკალდა გამეფსავით... ემაწვილები გაქვავებულებსავით ისხდნენ... მკითხველის გრძობამ მიაგრო მსმენლების გულს....

როდესაც გაური მივიდა დაფასთან და გამელსავით, ხოლო ქართული ასობით, — დასწერა: „გაუმარჯოს საფრანგეთსო!“ ემაწვილები წამოტყნ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს — „გაუმარჯოს საქართველოს!“.

ამის შემდეგ სიამოვნების ცრემლ-მორეული გაური დაეშვა სკამზე და გაჩუმდა...

სკოლის ზარმა დაიწვრიალა.

კოწოლაური.

უკრაინელ პოეზიიდან

ტარას შევჩენკო

1.

მწვანე ველო, გახსენ გული,
რაზედა ხარ დაბურული?
დაბურულ ვარ სისხლისაგან.
ჩემ მკერდზე რომ დაიღვარა:
ზაპიროჩელ გმირებისთვის
აქ სამარე გაითხარა.
ბერესტეჩკა დაბიდანა
მანძილია ოთხი მილი,
ყორანთ ხროვა თვალთ უკენკავთ
შვალამეზე მოვლენილი.
მწვანე ვიყავ, დავიბურე,
მგვრამ შავ დღეს ბრწყინვალე სღევს, —
მე ისევე ავმწვანდები,
თქვენ კი ვერა, ვერასოდეს,
ვერ იგემებთ ტკბილ ცხოვრებას,
იმუშავებთ ჩემს გულმკერდზე

და თან წყევით იტყვიოთ სიტყვას
მარად შავს და მწარე ბედზე:
(„კობზარი“ გვ. 433).

2.

ერთია ჩემთვის, უკრაინაში
თუ სხვაგან სადმე განვაგრძობ ჩემს დღეს,
გავახსენდები ვისმე, თუ თოვლში
ის უცხოეთში გადამივიწყებს,
ერთია ჩემთვის ყველაფერი ეს!
უცხოთა შორის მონათ აღზრდილვარ, —
და, ჩემიანთგან დაუმტირალი,
მონათვე ჩავალ საფლავს და ჩემგან
არა დარჩება მკირედიც კვალი
ჩვენსა მშვენიერს უკრაინაში, —
ჩვენს — და არა ჩემს — მშობელ მიწაში.
ვერ მომიგონებს მამა შვილთანა,
ვერ ეტყვის შვილსა: „ილოცე მისთვის,

ილოცე, შეილო, ოდესღაც იმანდგან
 სიციცხლე დანთიო უკრაინისთვის!
 ილოცვენ, არა,—ერთია ყველა,
 მავრამ არს მტერი უკრაინასა
 გაჭურდავს; არსით ექნება შველა,
 შემდეგ გადასცემს გამაქრობ სონსა,
 ნაშთი დარჩება იმისგან ფერფლის,
 რკ, ეგ სულერთი არაა ჩემთვის!
 („კაბზარი“ გვ. 310).

ვუაღერსებ, ჩემსას ვუწოდებ
 და თანაგრძნობით თვალთ ჩუშრობ ცრემ-
 ლებს,
 მინდობთ, ხევებში მასთან ვსვირობ
 და მასვე ვუმღერ ჩემსა სიმღერებს.
 ხოლო იგი კი თვალცრემლიანი
 და დაღვრემილი გაჭურებს გზასა...

ალბათ ოდესმე აქ რამ დაჰკარგა,
 დაუფიქრებლათ გადასცა სხვისა...
 (ტ. I. 98).

სიტყვად მშობლისად! არწივო მარდო!
 სხვისთვის სამასხროთ გადაქცეულო!
 წმიდავ სასმენო მამა-პაპათა,
 შეიღებისგან კრ ჭავიწყებულო!
 რკ, მშობლიურო! ტყის ხმაურობან!
 მუსიკავ ტკბილო თვალწარმატაც ცათა!
 თვალუწვდენ ვავეთ ამოძახილო,
 გრგვინვად დნებრისად, პასუხო ზღვათა!
 ღონე მოიეც. მახვილო შექმენ!
 არა, მზეთ იქეც: გორას აჰყევი!
 სხივნი აწვიმე, უხვათ, ნანატრ,
 მშობელი კუთხე გამინათევი!

იასამანი.

(ტ. II. 10)

მეგობარს

შენ მეგონე სულის მეფე,
 გულში ცეცხლის ამგზნებელი,
 შენსა კვლევადიებაში
 უთვალავი გავნვლე წელი!
 მეგონა თუ მომეფლინე,
 უდაბნოში ნათელ სვეტად,

ხორცშესხული უკვდავება
 საფიქრებლად და საჭკვრეტად!
 მაგრამ ვაჰ, რომ ვით გამოჩნდი,
 ისევ მალე მიეთარე!
 გულში სევდა დამიბუდე
 და შემქმენი მგლოფიარე.

*) რ. ოლესი ფსევდონიმა უკრაინელთა
 გამოჩენილ პოეტის ლექსადრე ივანეს ძე
 კანდიბასი. მან შალდი სწავლა ხარკოვში მი-
 იღო. პირველ კრებულს მას ლექსებისას ცნო-
 ბილი უკრაინოველი პოეტისონი ნ. ფ. სუმ-
 ცოვი აღტაცებით მიეგება. ოლესს შეგჩენკოს
 დინსეულ მეპკვიდრეს უწოდებენ. იგი ჯერ
 კიდევ ახალგაზდაა, მისი სახელი დღითი დღე
 იზრდება.

ამაოდ ვჭკრეტ გარეშემო,
 ამაოდ ვკვეთ ნისლს თვალებით,
 არსად მოსჩანს შენი სახე
 მთელი მისი უკვდავებით!

და კვლავ ვეძებ, ცას შევსცქერი,
 ვაკვირდები ტყესა და ველს,
 მაგრამ ვგონებ ვერ ვიპოვი
 მე ამ ქვეყნად სასუფეველს!

ს. აბულაძე.

მზეს, შეშინებულს ზამთრისა ყინვიანს
პაწია სხივი გამოეპარა და დედამიწას
კოცნიდა ალერსით ბედნიერება უძღვნა მხარა.

გაცოცხლდა, აღსდგა ბუნება მკვდარი
თეთრი სულარით შემოხვეული,
სხივმა მთლად თვისი მადლი ზენარი
მიწას გადასცა, გაუთბო გული.

მწვანე ხავერდით მთა შემოსილი,
მინდვრათ ჯეჯილი ნორჩი, მღელვარე,
ფრინველთ გალობა, სტვენა, ჟღერები
ამწვანებულო ტყე მოშრიადე!

ცხოველი სხივი თვის გამარჯვებას
გახარებული სასწაულობდა
და გადაფურჩქნულ, შემკულ ბუნებას
თავს ევლებოდა, დასთამაშობდა.

მაგრამ ზამთარმა დაუნდობელი
სასტიკი ხელი შემოაუბრუნა,
ჩაჰქრა პაწია, მადლის მფრქვეველი,
ბუნებამ მტრის წინ თავი დალუნა.

ჩემ ბედს მოქუშულს; ბედს გაუხარელს
განდომეველინა ნაპერწკალი ცისა,
გულს ჩამეწვეთა და ბნელ სიცოცხლეს
მოჰფინა შუქი ბედნიერების.

და ამის შემდეგ აზრი, გონება,
აღფრთოვანება ზეცას იწვედა,
ფრთები შეესხა გიჟურ ოცნებას,
გული იმედით სძვებდა, მიღელდა.

მალა, ლურჯ ცაში მზეს შევხაროდი;
შევტრფოდი მზვარეს, ვარსკვლავთა ციმ-
ბუნებას ტურფას ვეკონებოდი ციმს,
და უდარდელათ ვაჟღერებდი სიმს.

მაგრამ ცხოვრების ხელი, წყეული,
ჩუმათ, ქურდულათ წამოეპარა,
მოჰკლა, მომტაცა ცის სიხარული
თავს სევდის კალთა გადმომაფარა.

და ამის შემდეგ აზრი, გონება,
დაბნა, შავ მიწას უახლოვდება,
ფრთები მოემტვრა; გაჰქრა ოცნება,
გული მიცენესის, იმედს შორდება.

— ური.

შინაური მიმოხილვა

ჩვენი დაბეჩავეების და ღაცინების ნიმუშები; ქართულ მოწყობა გაქრება თბილისის
საფსტატო ინსტიტუტთან; ქართულ ენის უცოდინხარი მასწავლებლის დანიშვნა ქარ-
თულს სახალხო სკოლაში, ხალხის ენის ცოდნის საჭიროება მოხელეთათვის; ხონის
პედაგოგის საარაგო ობიექტი; ქუთაისის და თბილისის საბავშვო ბაღები; ჩვენებურ
ქვემდროთა დახსნათება.

უკანასკნელ საუკუნის პოლიტიკურმა ვაკინა, რომ ხშირად თავისი ელომენტა-
მონობამ იმდენად დაგვიძაბუნა და დაგვირული უფროებების და ადამიანური ღირს-

სების დაცვაც ვერ მოგვიხერხებია. მოკლებული ვართ, როგორც პირადს, ისე ეროვნულ თავმოყვარეობას და მხდალი ლაჩრებივით შევსცქერით ჩვენს დაბეჩავეზას და დამცირებას. ქედ მოდრეკით ვემორჩილებით უკანასკნელ წვრილფეხა მოხელეთაც კი და მათი ყურმოჭრილ ყმებათ გადავქცეულვართ. სწორედ ამისთვის ყველასაგან დაბალ ღობეთა ვართ მიჩნეული და ყველა გამვლელი და გამოვლელი გვჯიჯგნის და გვქელავს. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ჩვენდა „საცხონებლად“ მოვლენილ უგვანს პოლიტიკანთა წრეს გადასული თავგასულობა თან და თან ხშირდება ხოლმე.

ამის დამამტკაცებელი ურიცხვი მაგალითები ეცოდინება ყოველ ცოტათ არის მაინც დაკვირვებულ მკითხველს და ჩვენ მათ ჩამოთვლას არ გამოუდგებით. ხოლო საილიუსტრაციოთ მოვიყვან ორიოდ, ამ ბოლო დროს მომხდარ, პირველ შეხედვით თითქო წვრილმანს, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, ფრიად დამაფიქრებელ ფაქტებს.

ჩვენ დედა ქალაქ თბილისში არსებობს საოსტატო ინსტიტუტი, რომელიც სამოქალაქო სასწავლებელთათვის მასწავლებელთ ამზადებს. სამოქალაქო სასწავლებლები იგივე სახალხო სკოლებია, მხოლოდ უმაღლეს საფეხურისა. ამ ტიპის სასწავლებლები ამ ბოლო დროს ჩვენში ძალიან გახშირდა და აქა-იქ სოფლებშიაც გაიხსნა. აქედან, ცხადია, გაიზარდა მოთხოვნილება ამ სასწავლებელთათვის რიგიანად მომზადებულ მასწავლებელთა. ვინ უნდა მასწავლებლობდეს ამ სკოლებში? რასაკვირველია ადგილობრივი მკვიდრი, ბავშვების ენის, ზნე-ჩვეულების და ხასიათის კარგად მცოდნე. მაშასადამე, ნათელია,

თბილისის საოსტატო ინსტიტუტში უნდა იზრდებოდნენ კავკასიის სხვა და სხვა ერების შვილები, რომელთა შორის ქართველებს საპატიო ადგილი უნდა ექიროთ. სამწუხაროდ სინამდვილე სულ წინააღმდეგს გვეუბნება. ინსტიტუტის ხელმძღვანელთ აღარ იკმარეს ის, რომ მომავალ სახალხო მასწავლებელთ ქართულს სრულიად არ ასწავლიდნენ და ამ ნაკლის შევსების ნაცვლად ქართველ მოწაფეებს სულ დაუბშეს აქ კარები, უკანასკნელ წლებში ინსტიტუტში თან და თან შეამცირეს ქართველ მოწაფეთა რიცხვი, თითო-ოროლას ღებულობდნენ ხოლმე და წრეულს კი ერთიც ვეღარ უტყვნიათ მიღების ღირსად. რას მოასწავებს ეს, თუ არა ჩვენს აბუჩად აგდებას? ჩვენი საზოგადოება და მისი აზრთა გამომხატველი ქართული გაზეთები კი სდუმან ამის შესახებ, კონტსაც აღარ სძრავენ. თითქო ეს აღნიშვნის ღირსიც არ იყოს!

როგორც ვუწყით ჩვენში უმაღლეს მთავრობის განკარგულებით პირველ დაწყებით სკოლებში საგნების სწავლება უმთავრესად ქართულ ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ამავე დროს სამოსწავლო მთავრობის წარმომადგენელი ჩვენებურ სოფლის სკოლებში მასწავლებლად ნიშნავენ ქართულის უცოდინართ. როგორც, მაგალითად, სუფსის სასწავლებელში გაუწყესებიათ რუსის ქალი. განა ეს ჩვენი დაჯაბნება და მასხრად აგდება არ არის?

მთავრობამ და სხვათა შორის სენატორმა რეინკემ აუცილებელ საჭიროდ აღიარა მომრიგებელ მოსამართლეების მიერ იმ ხალხის ენის ცოდნა, სადაც მსახურებენ. ამ მიზნით პეტერბურგში უკვე კურსებიც დაარსეს, სადაც მომავალ მოსამართლეებს ქართულ ენასაც ასწავლიან.

ამავე დროს, ქუთაისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს ერთ სხდომაზე ისეთი დადგენილება გამოაქვთ, რომლის ძალითაც ქართულ ენაზე ჩვენების ჩამორთმევა ეკრძალება თვით ქართველ მოსამართლეთაც. ვისა და რასა ჰრგებს ნეტავი ქართულის ასე შეუწყნარებლად დევნა?!

ხონში მასწავლებლობს „სახელოვანი“ ქაბუკი ვინმე ნიკოლაევი. ამ პედაგოგმა თავისი „ბრწყინვალე“ სახელი უკვდავყო მას შემდეგ, როცა გასულ გაზაფხულზე ერთი, თვისი ბიწიერი სურვილების ხელის შემშლელი, ყმაწვილი დამბაჩით სასიკვდილოდ განგმირა. ეს „მცბრედი დანაშალი“ მას ხონელმა ინტელიგენციამ სულგრძელად აპატია და საქმეც ისე გაუჩაღბა, რომ ამის გამო რა არის ურთი თმის ბეწვიც არ შერხებია. ამით წათამამებულ „რაინდს“ ახლა სხვა „მაღალი აზრები“ დაებადა და თბილისისაკენ გასწია. აქ ვისთანაც ჯერ იყო „სამართლიანად“ დაბეზლა ხონელი საზოგადოება, რომელიც თურმე ნუ იტყვით ისე გაკადნიერებულა, რომ, სხვათა შორის, იმის თანადასწრებით „ძალღურ ენაზედ“ ლაპარაკსა ბედავდა.

ამ დაბეზლებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო და ხონიდან სამი საუკეთესო მასწავლებელი სრულებით უნაკლოდ გააძევეს. ეს დიდებული გვამი კვლავ განაგრძობს მოღვაწეობას ხონში და „რივიან“ ხელმძღვანელობასაც უწყევს ადგილობრივ დედათა მარიამის სასწავლებლის ზედამხედველ სოლოგუბოვა-დამაშვესკის ქალს. მათ შორის ერთობ „კეთილი განწყობილება“ სუფევს, რომელიც მოწაფეებისათვის საიღუმლოებას არ შეადგენს. ეს რასაკვირველია, დიდი „აღმზრდელიობითი და ზნეობრივი“ ზედგავლენას იქონიებს

განსაკუთრებით მოზარდ ქალებზე. ეს მანდილოსანი ცდილობს ქართველებისადმი ნიკოლაევზე არა ნაკლები „კეთილშობილური სიყვარული“ გამოიჩინოს და ჯერჯერობით ყველაზედ უფრო ფხიზელ და გონიერ მასწავლებელ ქ-ნ ფ. ბახტაძის ასულს ისტუმრებს სასწავლებლიდან და დანარჩენებსაც ამგვარ სიკეთეს ჰპირდება. იმათ ადგილზე კი ქართველ მასწავლებლის დანიშვნის წინააღმდეგია თურმე. ეს ორი „მოღვაწე“ მარტოდენ სწავლა-აღზრდის საქმეში პოლიტიკის გამეფებით არ დაკმაყოფილდნ და თავისი სამოქმედო ასპარეზი გაათართოვეს. ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ რუსული ენის უცოდინარობა სახელმწიფოს დალატათ გამოაცხადეს. ვაქრებს სასტიკი მუქარით საყვედური გამოუცხადეს, რომ მათ და მათმა ნოქრებმა საკმარისად რუსული არ აციან. ამის შემდეგ იობის მოთმინებით აღქურვილ ხონელებმაც კი გაბედეს მზრუნველთან დებუტაცია გაეგზავნა ამ „სასიქადულო“ აღმზრდელების საქმეების გამოსაძიებლად.

ჩვენი საზოგადოება, კარგად იცნობს ქუთათური „მცოვან პედაგოგის“ „საგმირო საქმეებს“, რომელიც ჯერ ერთი პრესის საშუალებით ცილის წამებითა და ათასგვარი ინსინუაციებით გვიმასპინძლდება. თვით მოწაფეებში კი დემორალიზაცია შეაქვს: მექრთამეობასა და სხვა და სხვა გამრყენელ თვისებათ უნერგავს მათ. განა ასეთ აღმზრდელების პატრონ მოწაფეთ რამე მოეთხოვებათ; ნუ თუ შეიძლება მათ კაცმა უზნეობა და ფუქსავატობა უსაყვედუროს? ცხადია, არა. ამ პედაგოგს ანტიპედაგოგიურმა მოქმედებამ წელს ბევრი მოწაფე იმსხვერპლა. თვით კი კვლავ მასწავლებლად არის. მშობლები და საზოგადოება სდუმს, ხმას არ

იღებს, ვითომ ეს მათ არც კი შეეხებოდეს და მათი საზრუნავი საქმე არ იყოს.

რამდენი ერთი უნდა, ჩამოთვალოს კაცმა. ყველგან და ყველასაგან ჩვენს გაბიაბრუებასა და მასხარად აგდებასა ვხედავ და ჩვენ ამაში სხვაზე ნაკლები დანაშაული არ მიგვიძღვის. უღონობასა და გაუბეღაობას ვიჩინებ იქ, სადაც სიმართლისა და ქვეყნობის დაცვაა, საქირო უფლებების დაცვას ვინდა სჩივის, რომ მისი ხმამალალი აღსარება რაღაც დანაშაულად არ მიგვაჩნდეს და შიშით ვეკრძალვით, განა ჩვენვე არ ვიძლევიტ საკუთარ ინტერესების ფეხქვეშ გათელივისა და საარაკო ფუქსავატობის საუკეთესო ნიმუშებს. აი თუ გნებავთ ამის შეურყვევლი საბუთიც. ქუთაისის საბავშვო ბაღში 5-6 წლის ბავშვებს სამ-ოთხ, ქართულ-რუსულ-გერმანულ-ფრანგულ ენებზე ეტიტინებთან, რითაც, ცხადია, საშინელო ზიანს აყენებენ მათ ყოველ მხრივ განვითარებას: გონებასაც უსუსტებენ და ჯანმრთელობასაც უღახავენ, ჭკვე უტყუარ ქვეყნობით, აქსიომით არის აღსარებული, რომ უცხო ენების სწავლება იმ დრომდე, ვიდრე ბავშვი გონებრივად და ფიზიკურად გამაგრებული არ არის, ყოველად შეუწყნარებელი და ფრიად მავნებელია. ჩვენ დარწმუნებული ვართ ქუთაისის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელები საზოგადოების მოთხოვნილებას უწყვეტ ანგარიშს და იმის თანახმად მოქმედებენ. აკი თბილისში არსებობს როგორც ამბობენ, ქვეყნობა პედაგოგიურ პრინციპზე აგებულ ქართველთა საბავშვო ბაღი, მაგრამ მას ქართველი მშობლები მაინც გაუბრუნებენ და თავიანთ ბავშვებს ლევანდოვსკის პან-

სიონში აბარებენ. საბრალონი ვერა გრძნობენ რა უგუნურ მზრუნველობას უწყვენ თავიანთ შვილებს!

ახლა მოიგონეთ ჩვენი სახალხო მასწავლებელთა, ბეჩავ 81 წლის სასწავლო გეგმის ხშირი ღალატი და ამ ზანთულში თბილისში მომხთარ სამრეწლო სკოლების მეთვალყურეთა კრების დადგენილება საღმრთო სჯულის, სწავლების შესახებ და თქვენ ნათლად დარწმუნდებით, რომ ჩვენ თვით ვიძლევიტ საკუთარ უფლებების და ინტერესების დათრგუნვისა და შეღახვის საბუთებს.

აქ უნებურად მაგონდება ჩვენი მსოფვანი პედაგოგის ი. გოგებაშვილის სიტყვები, რომელსაც ის ჯერ კიდევ 1894 წელს სწერდა: „ჩვენდა სამარცხვინოთ და სავალალოდ, ჩვენში ბლომით მოიპოვებთან ქვეშ მძრომნი სულიერნი, რომელნიც ჩვენს წინაშე მხურვალე მამულიშვილის, 96 პრობის პატრიოტის როლს თამაშობენ, და სხვაგან კი ყოველს ჩვენს საუნჯეს, ყოველს ჩვენს ერთგულს უფლებას ძირს უთხრიან... და როდესაც ეს საძაგელნი არსებანი ჩვენთან მოდიან და როსკიპული კრეკით ხელს გვაწვდენენ, ჩვენ მათ სულ-მოკლე მონასავით ხელს ვართმევთ და მეგობრულად ვექცევიტ“...

„დროა, მონურ ღაჩრობას ზურგი შევაქციოთ და ადამიანური უნარი გამოვიჩინოთ. დროა, ყველამ თავის წრეში უკანონო დაბრიყვება ითაკილოს, შეებრძოლოს მას და აღადგინდეს თავისი ადამიანური ღირსება. დროა გავაჩალოთ და უღალავი, ფხიზელი დაცვა ყოველის ჩვენის დათრგუნულის უფლებებისა, საარსო მოთხოვნილებისა“... ფარი.

პასუხად

ბ-ნ სილოვან ხუნდაძეს

ბ-ნი სილოვან ხუნდაძე, კარგა ხანია, ამოდ სკდილობს გრამატიკოსის სახელი დაიშახტოს და ქართულის დიდ მკოდნედაც მოგვაჩვენოს თავი. ამასაც არ სჯერდება და ჰლამის მეტაური შეიქმნას და მოძღვრობა, ხელმძღვანელობა გაგვიწიოს ქართულში. ამ აზრით, დიდის რიხით უარ-ჰყოფს ზოგიერთს საგრამატიკო ფორმას, უკვე გაბატონებულს ქართულში და ხმარებულს ენის მართლა ღრმა მკოდნეთაგან, უარ-ჰყოფს ამა თუ იმ ფორმას, იწუნებს ამა თუ იმ სიტყვასა და ტერმინს და თან სურს შემოიღოს, საყოველთაოდ შეწყნარებულის მაგიერ, ან თვისი შეთხზული ან პროვინციალური ფორმა, სიტყვა, გამოთქმა.

მე გრამატიკოსი არა ვარ და ამიტომ ვერიდებოდი საგრამატიკო დავა-კამათს ბ-ნ სილოვანთან, რომელსაც მე დიდს პატივსა ვსცემ, როგორც დიდის ხნის ნაცნობს და შრომის მოყვარე ქართველ კაცს. აგერ ახს წელ-იწადზე მეტია, დაჰბეჭდა მთელი წიგნი „სალიტერატურო ქართული“, რომელშიაც, ჩემის აზრით, ცოტა არ არის შეცდომა რე უჯერობა, მაგრამ მე ხმა არ ამომიღია იმ იმედით, რომ დღეს არა ხვალ—მოახერხებს ჩვენი ქვეყანა და განათლებული საზოგადოება, გრამატიკოსთა და ენის მეცნიერთა და მოყვარულთა კრებულზე საერთო ძალით ამ საქმის წესიერად გაძლოლასა მეტქი. არ ვიღებდი ხმას ამავე მიზეზით არც იმ

გრამატიკის შესახებ, რომელიც ბ-ნმა სილოვანმა აგერ მეორე თუ მესამე გამოცემად დაჰბეჭდა. არც ახლა ამოვიღებდი ხმას, რომ მკოდნოდა, ვისი იყო ის პატარა წიგნაკი სახელწოდებით „ქართული მართლ-წერა“, რომელიც „განათლების“ რედაქციამ გამომიგზავნა დიდის თხოვნით, უკირე საბიბლიოგრაფიო შენიშვნა მიმეწოდებინა. მაგრამ ახლა, რაკი ბ-ნმა სილოვანმა დიდის რიხით გამოილაშქრა ჩემის შენიშვნის წინააღმდეგ და იმ მკირე ჩემს შენიშვნას მთელი ორი ფელეტონი უძღვნა „კოლხიდაში“, ჩემს თავს ნებას ვაძლევ. თუმცა როგორც მოგახსენეთ, გრამატიკის დიდს ცოდნას ვერ დავიტრახებ, შევეკამათო ბ-ნს ს. ხუნდაძეს.

ბ-ნი სილოვანი ამტკიცებს, მაგალითად, რომ ნათ. ბრუნვა: კეთილი კაცის, ქართული ენის—სრული ფორმა კი არ არის, არამედ შეკვეცილიაო და ეს ფორმა უფრო კეთილ-ხმოვანია, ვიდრე სრული: კეთილის კაცის, ქართულის ენის, ან ასე შეკვეცილი: კეთილ კაცის, ქართულ ენის-ო. ხალხშიაც ასე ისმის ეს ფორმაო. კარგი და პატიოსანი, ბ-ნო სილოვან; ვსთქვათ, ჩვენი საუკეთესო მწერლები სცდებოდნენ, როცა თქვენს დაწუნებულს ფორმას ჰხმარობდნენ, მაგრამ ერთი სხვა მაგალითი კიდევ მიჩვენეთ, როცა შეკვეცა ზედსართავისა სახელ არსებითთან ბრუნვის დროს ჩერდება ხმოვან ასოზედ ისე, როგორც თქვენს მაგალითშია. ამისთანა ფორ-

მას ვერ მიჩვენებთ, იმიტომ რომ ბუნება ქართულისა ეწინააღმდეგება ზედ-შესრულის შეკვეცას ხმოვან ასოზედ. როცა ხმოვან ასოზედ იკვეცება ზედ-სართავი, მაშინ იგი სრულიად აღარ იბრუნვის და რჩება უცვლელად ყველა ბრუნვაში. ასეთს ხასიათს იჩენენ ის ზედსართავნი სიტყვანი, რომელნიც დაბოლოებულნი არიან, თვინიერ ი-სა, ყველა დანარჩენ ხმოვანზედ: ა, ე, ო, უ-ზედ. მაგალითად: ქერა კაცი, მრუდე საქმე, ჯვალო ტომარა, ტლუ ბიჭი, ცრუ მოქართულე.

ნათ. ქერა კაცისა, მრუდე საქმისა, ჯვალო ტომარასი, ტლუ ბიჭისა. მიც. ქერა კაცს, მრუდე საქმეს, ჯვალო ტომარას, ტლუ ბიჭს. მოთხრობ. ქერა კაცმა, მრუდე საქმემ, ჯვალო ტომარამ, ტლუ ბიჭმა და სხ.

რაიცა შეეხება ი-ზედ დაბოლოებულს ზედ-სართავს სიტყვებს, იქ კი სხვა საქმეა. ამისთანა ზედ სართავნი იბრუნვიან ან სრულდეს სახით ან შეკვეციით და არა ნახევრად შეკვეციით, როგორც ჰგონია ჩვენს დიდს გრამატიკოსს. მაგალითად:

სახელ. კეთილი კაცი

ნათ. კეთილ კაცის (ან კეთილის კაცის) მიც. კეთილ კაცს (ან კეთილს კაცს)

მოთხრობ. კეთილმა კაცმა და სხ.

იქ, საცა არც შეკვეცილი და არც სრული ფორმაა, უთუოდ ზედ-სართავი შეჭრთვია სიტყვას, სახელს არსებითს და ასეთი სიტყვა მაშინ რთულია და იბრუნვის, როგორც ერთი სიტყვა და ზედსართავი რჩება უცვლელად. მაგალითად:

სახელ. კაი კაცი

ნათეს. კაი კაცის

მიც. კაი კაცსა

მოთხრ. კაი კაცმა და სხვ.

ასევე იბრუნვის სიტყვა: ბერი-კაცი და მებრვე სხვა.

ეს ერთი, ბ-ნო სილოვან.

აბა, ახლა ვნახოთ შემდეგ, მე მალა-ტოპს ლოლიკა თუ თქვენს პეტრიწობას.

მე ვამბობ: დასდოც კანონიერი ფორმაა და დასდევაც. ო-ნი ხშირად სწევს ვა-ს მაგიერობას. მაგალ. ცხვარი—ცხორი, თვალი—თოლი, თვარემ—თორემ, ხვანჩა—ხონჩა, ხვარეშან—ხორეშან და სხვ. ამ სახით, თუ ეს ორივე ფორმა კანონიერია და არ ეწინააღმდეგება ქართულის ბუნებას, მაშ, ხმარებაც შეიძლება ერთისაცა და მეორისაც. ხოლო თუ ეს ასეა, რა უფლება გაქვთ განსდევნოთ ლიტერატურიდან ერთი კანონიერი ფორმა და შემოიღოთ მარტო მეორე? თქვენა ბრძანებთ, ჩემი (?) კვლევა-ძიების, ჩემი (?) მართლ-წერის მიზანი (ეს მიზანი რაღა ჯანაბაა?), ის არის, მწერლობაში ერთგვარობა დავამყაროთ, ყოველ-გვარ ფორმას არ ვხმარობდეთო. მაშ, თქვენის ფიქრით, რაც ორგვარი ფორმა გვაქვს, უთუოდ ერთ-ერთი უნდა განვდევნოთ ჩვენის სალიტერატურო ენიდან, თუნდა ხალხიცა ხმარობდეს და საუკეთესო მწერალნიც? ჩვენა გვაქვს, მაგალითად, ძველთაგან დარჩენილი ფორმა მრავლობითის რიცხვისა: ნი და თა: ამირან და ძმანი მისნი, და-ძმანი, მამა-პაპანი, ძმანი ხუნდაძენი ძმათა ხუნდაძეთა, მამა-პაპათა ანდერძი, ორნი არიან, ტოლნი არიან, სარდაფს ჩაღიან, ჩაიმღეროიან და სხვ. გვაქვს აგრედვე ახალი ფორმა: ძმები, მამები, პაპები, ძმები ხუნდაძეები. როგორ გგონიათ, ჩვენო ახალო პეტრიწო: განვსდევნოთ ნი, თა და ვაუფლოთ ყველგან და ყოველ შემთხვევაში ბი, ები, რომელიც ასე ტკბილად ჩაესმის თქვენს კეთილ-ხმოვნებას? ჩემი კეთილხმოვანება რა სახ-

სენებელია, მაგრამ არ მეგონა-კი, რომ თქვენ ასე განვითარებული გექმნებოდათ კეთილ-ხმოვანების სმენაცა და ქართულის ბუნების შეგნება-გრძნობაცა.

ეს ორი.

მიწუნებთ მიცემითს ბრუნვაში სრულის ფორმის ხმარებას: მთელს საუკუნეს, დიდს საქმეს, ცუდს საქციელს და მიბრძანებთ შეკვეცით წერასა და ლაპარაკს. დიდის სიამოვნებით ვემორჩილები თქვენს ბძანებას, რადგან მეც მომხრე ვარ ამ შემთხვევაში შეკვეცისა, თუმცა არ უარყოფ არც სრულს ფორმას თქვენსავით ფანატიკოსურად. მით უმეტეს არ უარყოფ, რომ ჩემნი მოძღვარნი, რომელნიც, რასაკვირველია, თქვენთან ვერ მოვლენ ენის ცოდნაში, აგრეც სწერდნენ და ისეც წერას არ მიკრძალავდნენ. პირიქით, სრულიად კანონიერ ფორმად მიაჩნდათ სრული ფორმაც და ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად ეთქვათ, ეგ ფორმა ტლანქი ფორმაა და მკვდარ ფორმის აღდგენაა, როგორც თქვენ მიკვირებთ.

აი, მაგალითად, როგორ სჯობს:

თქვენს ბავშვს უგდეთ ყური, თუ ასე: **თქვენ ბავშვს** უგდეთ ყური? უშველებელი ორ-აზროვნობაა, რომელიც რუსულად გადათარგმნით უფრო ცხადი შეიქმნება:

Слѣдите за вашимъ ребенкомъ,

Вы слѣдите за ребенкомъ.

ეს სამი.

ძალიან მიწყრები, რომ ჩემს წერილში უნებლიედ მიხმარია: ყველა სასწავლებლისათვის და არა ყველა სასწავლებლისათვის. მემართლები კიდევ. აქ სწორედ ისე ვარ დაქერილი, როგორც ჩიტი დაიქიროს კაკანათმა და ამიტომ მთელს ამ ჩემს წერილში ვერსად შეჰხვდები მაგ გვარ ფორმას.

3-ს ხმარებას მიწუნებთ კიდევ, მაგრამ არც ეგ არის ჩემი ბრალი, ჩვენო ბრძენო გრამატიკოსო. ეგეც იმ ჩვენ მოძღვართა ბრალია, რომელნიც არ დაემორჩილნენ თქვენს უებრო გრამატიკას და სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, ეგ ასო ყოვლად აუცილებელია სათანადო ადგილას ქართულშიო. საწყლებმა, რა იცოდნენ, რომ ეგ ასო თქვენს სმენას აწყენდა და თქვენს კეთილ-ხმოვანების ალღოს შეჰბლალავდა? მე-კი ამ ჩემ მოძღვრებს ვერ უღალატებ-

ამ „უღალატებ“-საც მიწუნებ, მაგრამ გამოტეხილი უნდა მოგახსენო და თან ბოდიშიც მოვიხადო, რომ ვ-ის ხმარება ყველგან აუცილებლად მიმაჩნია, მხოლოდ არა იქ, საცა იგი ვ-ინი უძღვის წინ უ-სა. ვერ ვიტყვი და ვერც დავწერ: ვუთხრათ, ვუძღვნათ, ვუბნობთ, ვუწერთ, ვუშველით და სხვ. *). თუ ოდესმე ვხმარობდი სხვებთან ერთად მაგ ფორმას, ძალიან შემცდარი ვყოფილვარ.

თქვენ-კი, თუ გნებავთ, სწერეთ და ილაპარაკეთ ასე. მე-კი მოგახსენებთ, რომ ვ-ნი უ-ნის წინად არსად ძველს მწერლობაში არ შეგხვდებათ. მაგრამ მე ვერ აგიხირობებთ: კაცია და გუნებო!..

თქვენ არ მოგწონთ ჩემი და ბ-ნ გოგებაშვილის საბუთები შესახებ ზოგიერთ ზმნათა დაბოლოებისა ასოებით: დნენ და ბრძანებთ, ადვილი მისახვედრია, რა აზრით არის თქმული: წავიდენ; იმ აზრით, რომ წამსვლელნი იყვნენ, ან მოვიდენ— მომსვლელნი, თუ იმ აზრით—სისხლს წავიდენ, ოფლს მოვიდენო. ბევრია ქართულში ისეთი სიტყვა, რომელსაც სხვა და სხვა მნიშვნელობა აქვს, ომონიმი და ომოფონია და აზრის გაუგებრობას ეგ არ ჰბადავ-

*) იხ. ამ საგნის შესახებ წერილი პეტრე მიჩაინაშვილისა ამ წლის „სახალხო გაზეთში“.

სო. ეგ ჩვენც კარგად ვიცით, ჩვენო ბრძენო, რომ ბევრია მაგისტანა სიტყვა; არამც თუ ბევრია, უმაგათოდ ენას, არც ჩვენსას, არც სხვებისას, სულის მობრუნება არ შეუძლიან, მაგრამ თქვენ ეს მიბრძანეთ, თუ დაბოლოება ორ აზროვანობას იწვევს, რა საჭიროა, უთუოდ ავხიროდეთ, ის დაბოლოება ვიხმართო, როცა არსებობს მეორე დაბოლოება, რომელიც არაერთარ ორ აზროვანებას არ იწვევს დასდო და დასდვა არაერთარ ორ-აზროვანებას არ იწვევს, ორივე ფორმა კანონიერია, მრავალთაგან ნახმარი და შეწყნარებული, აგრედვე ძმები და ძმანი, ძმათა და ძმებისა. და თუ ამ ორ სახიან ფორმას არაინა სდევნის, თქვენ რა უფლებით გნებავთ განსდევნოთ დენ და შემოიღოთ უთუოდ დენ?!

რაცა შეეხება ერთისა და იმავე სიტყვის ბევრგვარ მნიშვნელობას, ვიმეორებთ, ეგ მოვლენა აუცილებელია ყოველს ენაში. ავიღოთ თვით სიტყვა ენა და მისი სხვა და სხვა მეტაფორული მნიშვნელობა.

- ენა—ადამიანის პირში მდებარე ასო,
- ენა—კლიტისა,
- ენა—ზარისა,
- ენა—მეტყველება ადამიანთა,
- ენა—ლაპარაკი, კილო ლაპარაკისა,
- ენა—წერა, კილო წერისა.

შენი ენა არ მომწონს, ვითომ შენი ლაპარაკი ან წერა კარგი ქართული არ არისო და სხვ.

ავიღოთ ზმნა სხმა.

- სხმა—ხილისა, ფოთლისა,
- სხმა—ქალამნისა,
- სხმა—წვიმისა, თავ-სხმა,
- სხმა—წყალისა, ღვინისა.

ზმნა სმა.

- სმა—წყალისა,
- სმა—ხელისა თავზედ, ტანზედ,
- სმა—ნიშნებისა, ბოძებისა,
- სმა—ყოლა შეილისა.

„სხვა ძე არ ესვა რაასტევანს, მართოდენ მართო ასული“.

ზმნა ჩაკვრა.

- ჩაკვრა—თავში,
- ჩაკვრა—თვალისა ურემში,
- ჩაკვრა—პურისა თორნეში,
- ჩაკვრა—შარვლისა ჩახსაკრავით პატიკებში,
- ჩაკვრა—თვალისა (რისამე საიღუმლო ნიშნად) და სხვ.

ამისთანა უბრალო რამ ვერ შეუღწია ჩვენს ენის კანონმდებელს და ქართულსკი გვიწუნებს. ჯერ ხომ სთქვა, ძველ, მკვდარ ფორმებს ებლაუჭებითო, მერე თითონვე დაებლაუჭა თვარა-ს. ეგ „ვეფტყაოსან“-შია, „ვისრამიანშიაო“. თურმე ახლა ძველი ფორმაც გამოსადეგი ყოფილა! მერე მაგ ფორმას ჰხმარობს თურმე ახალ ენაშიაც ნახევარზედ მეტი ქართველობა. ჩვენც არაფერი გვეთქმის მაგ თვარა-ს წინააღმდეგ, თუ ჩვენის ენის გამაშვენიერებლნი ხმარობდნენ ახალს ენაში, თუ ჩვენი საუკეთესო მწერალნი არ ერიდებოდნენ მაგ, დღეს პროვინციალიზმად გადაქცეულს, სიტყვას, არ ერიდებოდნენ ისინი, ვინც მართლა უფრთხილდებოდნენ ქართულს ენას. და დარაჯად უდგნენ მის სიწმინდეს, მის შეურყენელ გაურყვნელობას. ხოლო ის-კი ვერაფერი საბუთია, რომ ნახევარზედ მეტი ქართველობა „თვარასა“ ჰხმარობსო. ის ნახევარზედ მეტი ქართველობა ბევრს სხვა სიტყვასაცა ჰხმარობს დამახინჯებით, მაგრამ იმ სიტყვების დამახინჯებულს ფორმას ჩვენს საერთო. სალიტერატურო ენაში.

უნდა ვერიდებოდეთ. ასეთია მაგალითად ფორმა: წვეიდა, მიდღემჩი, ბზიანი (მზიანი), მასინძელი, მიდორი, ეკენითვე, სუნთლათ, ჩიგვი (ჩირგვი), შოუტია, ულაში, კაულობს (ვერ. იკერს), უნობდა (უბნობდა), რაცხა, ღვირძლი. (ღვიძლი), ძიმი (ძივი), თა (მთა), ოუმბებოდა, ქფილი (ფქვილი), ქფა (ფქვა), ამფერუმ, ყოლიფერი, ძმანები, დანები (დანი, დები), მწყესი (მწყემსი) მაქა (მანდა). და სხვ. საზოგადოდ, ორთოგრაფია ანუ მართლწერა ემორჩილება არა იმას, თუ ვინ როგორ ლაპარაკობს და ამა თუ იმ სიტყვას როგორ გამოსთქვამს; ორთოგრაფიის თავისი კანონები აქვს, მწერლობაში ერთხელვე შემოღებული და დამყარებული. ინგლისელნი სწერენ ერთს და გამოსთქვამენ კი სხვას, აგრედვე რუსები. ამბობენ: ხაროში და სწერენ-კი ხოროში, ამბობენ: ზელავეკ და სწერენ-კი ჩელოვეკ. აგრედვე ფრანგები ამბობენ: ბოკუ და სწერენ-კი: baucou, მთელს ექვს ასოს, ოთხის მაგიერ. და ასეთი მართლ-წერა ისე მტკიცედ არის დამყარებული, რომ საფრანგეთის სამეცნიერო აკადემიამ ბევრი იფიქრა, ბევრჯელ მოინდომა ამ სიტყვისა და ხხვა მაგისტანა სიტყვის მართლ-წერის შეცვლა ისე, როგორც ლაპარაკში ისმის, მაგრამ ვერ გაჰბედა, ვერ იკისრა ასეთის რეფორმის შემოღება. მაშ, სჩანს, ადვილი არა ყოფილა რეფორმატორობა, თუნდ მართლ-წერის საქმეშიც-კი! რათა? ცხადია, მათა, რომ ასე ერთგან შეცვლამ მართლ-წერისამ; შეიძლება სხვაგან სადმე ამოკყოს თავი და უხერხულობა დაჰბადოს.

ღიად, ბატონო სილოვან, ენკენისთვე და არა ეკენისთვე. უცხო სიტყვებს ყოველი ხალხი სკედს თავის სამკედლოში და თავის ქვაბში ჰხარშავს, ხოლო მწერლობას თავისი საკუთარი სამკედლო აქვს,

თავისი სახარშავი ქვაბი უდგას. ეს სიტყვა, დიდი ხანია, გამოსტყედა ხალხმა და გამოხარშა მწერლობამ და დიდი ხანია იწერება იმ სახით, როგორც მე მოვახსენებთ. აგრედვე სიტყვები: სეკდემბერი, ოკდომბერი და არა სეკტემბერი, ოკტომბერი, როგორც თქვენ გგონიათ*). ახლა ხელახლად მათ მოხარშავს, მათს გამოტყედვას მხოლოდ ის მოინდომებს, ვისაც ენის რეფორმატორობის საღერღელი აჰშლია შენსავით, კანონ-მდებლობას ჩემობს და ის-კი ავიწყდება, რომ მაგ ჩხირკედელაობით, მაგ წყლის ნაყვით ხელ-მეორედ საკეთებელი უნდა გაჰხადოს საქმე, უნდა უკან დააბრუნოს წინ-წაწეული, სალიტერატურო ენა და მისი ორთოგრაფია და ახლად გვამუშაოს მისთვის, რაც უკვე გაკეთებულა. ნუ თუ ეს შეფერხება არ იქნება ჩვენის საერთო პროგრესისა, ჩვენის კულტურისა, ბ-ნო სილოვან?! ნუ თუ შეფერხება არ არის საქმისა, როცა გამომდგარხარ მოედანზედ, იწუნებ უკვე გაკეთებულს და ჰღალადებ: „დღეს-დღეობით, ამ გარდამავალ ხანაში (?), როცა ქართული სალიტერატურო ენა საბოლოოთ (?) მუშავდება (ახლა მუშავდება?), როცა ძველსა და ახალ ფორმებს (?) შორის ბრძოლაა (თქვენს ფანტაზიაში) გაჩაღებული“ (ვნახეუ, რაც ძველი ფორმები იყო!) და სხვა ამგვარ წილადობილას? ეგ კიდევ არაფერი, რომ ჰღალადებდეთ მხოლოდ და სკოლაში, ქართულს სკოლაში, საცა ჩვენი მოხარდი თაობა იზრდება, საცა ჩვენი იმედი და ნუგეშია, იქაც არ შეგქონდეთ თქვენი, უმეტეს შემთხვევაში, დამახინჯებული ფორმები, თქვენი—უკაც-რაული სიტყვა—ვითომ და ქართული

*) იხ. საეკლესიო წიგნები, დაბეჭდილნი და ხელთნაწერნი.

გრამატიკა, სამართლიანად მონათლული „იმერლის“ მიერ (კარგია კიდევ, რომ არა ქართლელის მიერ) იმერულ გრამატიკად. გიფიქრიათ-კი, ბატონო სილოვან, რა მოჰყვება ასეთს თქვენს საქციელს, რომლის ზნეობრივი უფლებაც არა გქონდათ, ვიდრე თქვენს გრამატიკას არ დადასტურებდა კრებული მკოდნე კაცთა, ან სამეცნიერო რამ დაწესებულება, ან წარმომადგენელი საუკეთესო მწერლობისა და განმანათლებელ დაწესებულებათა?! გიფიქრიათ, რა სახიფათო გზაზედ დამდგარხართ და რა უფსკრულში გინდათ ჩასჩებოთ ჩვენი მრავალ-ტანჯული საერო საქმე და საქართველოს ერი?!

მაგრამ ამ მხრივ თქვენს ვითომდა მოღვაწეობას ცოტა ქვემოდ შეეხებებით, ხოლო ახლა განვაგრძოთ განხილვა თქვენის სიბრძნისა ქართულს ენასა და გრამატიკაში.

თქვენა ბრძანებთ, რად გაიკვირვებთ, რომ წიგნაკს „ქართული მართლ-წერა“ აწერია გაზეთ „კოლხიდის“ თანამშრომელთა საყურადღებოდაო. ახირებულია, თქვენმა მზემ! წიგნაკს ზედ არ აწერია, ვისი გამოცემაა, რა აზრით არის იგი წიგნაკი გამოცემული და მე ხომ გულთ-მისანი არ ვიყავი, მივხვდრილიყავ, რომ ეგ წიგნაკი დაუბეჭდია „კოლხიდის“ რედაქციას მხოლოდ თავის თანამშრომელთათვის და უთხოვინია, აი, ასე სწერეთ, თორემ სულ ერთია, რედაქცია მაინც ასე გაასწორებს და ტყუილად ნუ გვაბუშავებთო. ამირან გულში მღეროდა, ძმანო, ბანი მითხარითო! თქვე დალოცვილო, რა ძნელი იყო, ორი სიტყვა დაგერთოთ წინასიტყვაობასავით, აი, ეს წიგნაკი ამა და ამ აზრით იბეჭდება, *pro domo sua*, ჩვენი საკუთარი ლოცვანი და სახარებააო. და რაკი მართლა ასეა

და ეგ წიგნაკი თქვენი საშინაო ლოცვანია, რედაქციებს რაღად უგზავნიდით სარეცენზიოდ? ეგ ლოცვანი ხომ თქვენთვის, როგორც ბრძანებთ, გადაწყვეტილი და დასაბუთებული საქმეა, აქსიომაა და, თვით რუსთაველი რომ ადგეს საფლავიდან და გამცნოთ, სცდებითო (თქვენებურად „სტოებითო“), ხომ არ შეისმენთ, ისე როგორც ჩვენ გვიკიჟინებო, ათასი რომ ვუწიროთ, ისინი (ვითომ მე და „იმერელი“) ჩვენსას არ შეისმენენო.

შემდეგ ბრძანებთ: თუ საბუთები კინდოდათ, გადაათვალიერებდით იმ წიგნებს (ვითომ სილ. ხუნდაძის წიგნებს), სადაც აღნიშნულ(ი) მართლ-წერის საბუთები, უკვე დიდი ხანია მოყვანილიაო. ურია, ღმერთს ნუ ჰფიცავო და—არა, ღმერთმანიაო! სწორედ ასე მოსდის სილოვანსაც. მე ვეუბნები, არ ვიცოდი, წიგნი ვისი დაბეჭდილი იყო, რა აზრით იყო დაბეჭდილი მეთქი; ამ წიგნაკს აწერია „კოლხიდის თანამშრომელთა საყურადღებოდაო“ და ის, ვილაც არის, ამის დამწერი, რასა ფიქრობს: ნუ თუ სხვისთვის-კი არ არის ეს მართლ-წერა საყურადღებო მეთქი? როცა წიგნაკის შემდგენელს უსაყვედურე, ეგრე გადაქრით რაღა სწერ, ბრძანების კილოთი, დაუსაბუთებლად, ბ-ნ სილოვანი მაშინ გამოხტა მხოლოდ და რიხით შემომძახა: მე გახლავარ ეგ ბიჭი, „მართლ-წერა“ ჩემიაო, მაგის საბუთები ჩემს წიგნებშია და უნდა გცოდნოდაო. ახლა-კი გულს მეფონა და ჩემთვისა ვსთქვი: მადლობა ღმერთს, ეს წიგნაკი იმისი ყოფილა, ის ერთი ახირებულა ასე უცნაურად და სხვა სილოვანები არ გამოგვჩენია მეთქი. ვწუხვარ მხოლოდ, რომ მთელი რედაქცია აგიყოლებია „კოლხიდისა“ და გინდა ისიც შენსავით კლდეზედ გადასჩებო, მიკვირს, ან-კი როგორ კის-

რულობს ამისთანა საქმეს რედაქცია და რად ჰლაღატობს საუკეთესო სალიტერატურო ენის ანდერძს, ჩვენთა წინანდელ მოღვაწეთაგან დატოვებულს?! განა ქუთაისში არ იბეჭდებოდა გაზ. „შრომა“, რომლის ენა და ორთოგრაფია წმინდა ქართული იყო და არ განირჩეოდა მაშინდელ „ივერიის“ ენისა და მართლ წერილსაგან?! ეტყობა, ბედად დაგვყოლია, ერთი ნაბიჯი რომ წინ გადავდგათ, უთუოდ ორის ნაბიჯით უკან უნდა დავიწიოთ. თუ-კი „კოლხიდის“ რედაქცია „მართლ-წერის“ კილოს გააბატონებდა და თავის საკუთარს „ლოცვანს“ გაიჩენდა, საკუთრად ჩვენ რაღად გვიწვევდა თანამშრომლად?! ნუ თუ პატივცემულმა რედაქციამ არ იცოდა, რომ ჩვენ მართლ-წერის მხრივ სხვა ტრადიციითა ვართ აღრზდილნი და „მართლ-წერას“ (სილოვანისას) ვერ შევიშენებდით, ვერ შევიწყნარებდით?!

ამას თავი დაფანებოთ და ჩვენი განხილვა განვაგრძოთ.

ბ-ნი სილოვანი ქართლს უწუნებს ზოგიერთს ფორმასა და სიტყვას. მართალიც არის ამ შემთხვევაში. არც მე ვყოფ უარს, რომ, როგორც ქართლში, ისე სხვაგან, ბევრია დამახინჯებული სიტყვა და გრამატიკული ფორმა. არც მითქვამს სადმე, რომ ეგ დამახინჯებული ფორმები და სიტყვები იხმარეთ სამწერლო ენაშიო. მე მხოლოდ ისა ვსთქვი, თუ გვინდა კარგის სალიტერატურო ენითა ვსწეროთ, ქართლს უნდა დუგდოთ ყური მგთქი. ახლაც ამასვე ვიტყვი. თქვენც ხომ მემოწმებით ღ სხვანიც ამტკიცებენ, თუნდ იგივე „იმერელი“, პ. სურგულაძე *) (გურული) და ბევრნი სხვანი, რომ ქართლის კილო დაედო სა-

ფუძვლად ქართულს სალიტერატურო ენას. ხოლო, რაკი ეს გარემოება უტყუარი და შეურყეველი ფაქტია, მაშ, უნდა ისიც შევიწყნაროთ, რომ ბუნება და სული ამ კილოსი სავსებით გამოჰყვა მაგ კილოზგდ დამყარებულს ჩვენს სალიტერატურო ენას. და თუ ამას შევიწყნარებთ, აუცილებელია, ის აზრიც უნდა შევიწყნაროთ, რომ, თუ გვინდა არ დავამახინჯოთ სული და ბუნება ჩვენის სალიტერატურო ქართლისა, ყური უნდა დაუგდოთ უმეტესად ქართლის კილოს, ქართლის ლაპარაკს, რომელიც საძირკველია მაგ სალიტერატურო ქართლისა. ეს იმას როდი ჰნიშნავს, ბ-ნო სილოვან, რომ ქართლის კილოში დამახინჯებული ფორმები არ შეპარულიყოს, დამახინჯებული სიტყვები არ მოიძებნებოდეს. ეს იმასა ჰნიშნავს მხოლოდ, რომ ქართლის კილოს აგებულება, სული და ბუნება უნდა გაითვალისწინოთ, თუ გვინდა კარგისა და ლაზათიანის სალიტერატურო ენის შეთვისება. ამის თქმა სრულიად არა ჰნიშნავს აგრედვე, რომ ჩვენთა კლასიკოსთა ნაწერები უყურადღებოდ დავტოვოთ, ჩვენი ძველი მწერლობა აბუჩად ავიგდოთ და ყურადღება არ მივაქციოთ. ჩვენ კარგად ვიცით და არა ერთხელ გვითქვამს „ივერიაშიაცა“ და „მოამბე“-შიაც, რომ სალიტერატურო ენის გამაშვენიერებისათვის რამდენიმე წყაროა: სოფელი, საცა ქართული თავისუფლად იბრუნებს სულს და სჩქევს ანკარა წყაროსაგით შეურევნელ-გაურყვნელი, ძველი მწერლობა, მაშინდელი, როცა საქართველო დამოუკიდებელი იყო, თავი სუფალი, აღყვავებული და როცა ყოველს დარგსა და სფერაში ქართული ჰბატონობდა, უფლობდა, თავისუფლად ჰნა-

*) იხ. მისი „ეროვნული ენა“ ამხან. „ცისკარის“ გამოცემა 1903 წ. № 1.

ვარდობდა და მწერლობა ახალი, საუკეთესო მწერალთაგან შემუშავებული.

აი, სხვათა შორის, რას ვამბობდით ერთ-ერთ იმ წერილში*).

„ენაც, მკოდნეთა აზრით, ორგანიზანს არსებასა ჰგავს: იმასაც ვარჯიში ავითარებს, ახალისებს, ხოლო უვარჯიშობა აღუნებს, სიცოცხლის ძალას უსუსტებს, ენერჯიას აკლებს.

„საცა ენა ერისა ისმის ყველგან— მართვა-გამგეობის საქმეშიაც, მხედრობასა, სასამართლოსა, სკოლასა და ყველა სხვა საზოგადოებრივსა და კერძო დაწესებულებაშიაც, როგორც ძველად საქართველოში იყო, იქ ენა მხნევედება, ცხოველდება, მდიდრდება, ძლიერდება და გულხალვათად ჰშლის ფრთებს, მრავლად ყვავილ-დასხმული.

„ამისთანა ერის ენა გათამამებულია და მგოსანთა ხელში ლაღად ჰცელქობს და ჰნაფარდობს, კოწიაწობს, იწმაწნება. კამარას კამარაზედ ჰკრავს; მოხელეთა ხელში— ჰდინჯობს და ჰდარბაისლობს, მხედრობის ხელში— მხნეობს, ჰვაჟაკობს, ჰგულ-კაჟობს; ჟურნალისტის ხელში— ცეცხლს იკიდებს, სახმილებრ მგზნებარებს, ამოწვდილ მახვილივით ელვარებს; ორატორთა ხელში— სკექს, ჰქუხს; ჰგინგინავს და მეცნიერთა ხელში— ჰგულ-მარალობს, სიმტკიცეს იჩენს, ზედ-მიწევნილ სიმტკიცეს.

„ჩვენში-კი, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. სამწუხაროდ, დღეს ჩვენში ქართულს ძალიან პატარა წრე აქვს გარემოწერილი, პატარა ბაზარი აქვს, მცირე ასპარეზი აქვს სავარჯიშოდ, ფრთის გასაშლელად. როგორც ვიცით,

ჩვენი ენა თითქმის არსად არა ვარჯიშობს: არც მართვა-გამგეობის საქმეში, არც ჯარსა და მხედრობაში, არც სასამართლოში და არც საზოგადო დაწესებულებაში, თითო-ორი კერძო დაწესებულებას გარდა.

„ქართულს დარჩენია მხოლოდ სოფელი, მწერლობა, პირველ-დასაწყისი სკოლა და ოჯახი, მაგრამ აქაც თავისუფლად ვერა ჰგრძნობს თავს, რადგან რამდენიმე მოცილოე და მეტოქე ჰყავს, მეტადრე სკოლასა, ოჯახსა და მწერლობაში.

„ისევ სოფელი და სოფლური ოჯახია (მდაბიოსი) დღეს ერთად-ერთი ციხე-დარბაზი; საცა ჩვენი ენა თავს აფარებს, საცა თავისუფალია, ცოტად თუ ბევრად, თითქმის წყაროსავით ანკარა და წმინდა, შეუურევნელ-გაურყვნელი. იქ, სოფლად, ქართული მაინც ჰმეფობს, რამდენადაც კი შეიძლება ჩვენს ყოფაში რისამე ჩვენებურის მეფობა, მაინც ჰბატონობს და სულს ითქვამს ისე, როგორც მისი ნამდვილი ხასიათი და ბუნება მოითხოვს.

„სოფელს შემდეგ, ქართული აფარებს თავს მწერლობაში. მწერლობა მეორე ძიძა და ლალაა დედა-ენისა; ის დიადი კერაა, საცა ძნელია, თითქმის ყოველად შეუძლებელია მისი გაქრობა, ისე როგორც შეუძლებელია გაქრობა მისი სოფლად.

„მწერლობის დიდს კერაში ჰღვივის განუქრობელად ცეცხლი იმ ცით მონიჭებულის მადლისა, რომელსაც დედა-ენა ეწოდება. მწერლობაა მისი მცველი, მისი ხმალ-ამოდებული დარაჯი“...

ცხადია, ახლა დაფა მხოლოდ იმაზედ-ღა უნდა იყოს ჩვენში, ბატონო სილოვან, რა ვიგულისხმობთ სოფლად, რომელი სოფელი ვიგულისხმობთ. საზოგადოდ სოფლები მთლად საქართველოსი, თუ

* „ორიოდე მოსაზრება ქართულის ენისა და გრამატიკის შესახებ“ („მოამბე“ 1895 წ. № IV).

სოფლები ქართლისა. ჩემის აზრით, უნდა ვიგულისხმოთ ქართლის სოფელი, ქართლის სოფელში მოუბარი ხალხი და ისიც ყველა ვიგინდარა-კი არა, არამედ რჩეულნი, ენა-მეტყველნი, ენის აღლოთი და ნიჭით ზე-დაჯილდოებულნი, სულ ერთია, რა წოდებისა და სქესისაც უნდა იყოს ასეთი ბუნებით მცოდნე ენისა. მათი კილო და შნო ქართულის წმინდად და ლამაზად ლაპარაკისა დაცულია სხვათა შორის საერო პოეზიაში: აგრედვე პოეტურს პროზაში: ზღაპარ-არაკში; გამოცანა-ანდაზაში და სხვ. ქართლი და ქართლის სოფელი მაინცა და მაინც არ უნდა შევზღუდოთ მეტისმეტად მის არც წმინდა გეოგრაფიულის და მით უმეტეს არც დღევანდელ მის ადმინისტრატულ სამზღვრებით. ქართლი, ზემო და ქვემო ქართლი, იყო და არის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია და მისი სივრცე ფენებოდა დაახლოვებით: ტფილისისა, დუშეთისა, გორისა, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრას, საბარათიანოს ანუ ბორჩალოს მაზრის ნაწილს, სწვდებოდა. შორაპნის მაზრის ნაწილსაც, მთელს ძველს მესხეთს, რომელიც იყო, ვახუშტის გეოგრაფიით, ზემო-ქართლი, ქართლის ცხოვრებით—ქვეყანაი ზემოისაი ქართლისაი.

ჩვენ ვსთქვით და კვლავ ვიმეორებთ, ყური დაუგდოთ ქართლსა, ნუ მივბაძავთ სავსებით ძველების ენასაო. ეს იმას როდი ჰნიშნავს, სხვა პროვინცია აბუჩად ავიგდოთ, ავითვალისწინოთ, სრულიად ყურს ნუ ვათხოვებთო. ან ძველ მწერლობას ნუ შევისწავლით, მის ბუნებას ნუ დავაკვირდებით, იქ საყურადღებო არა არის-რა, გამოსაყენებელი ჩვენის ახლანდელის სალიტერატურო ენისათვისაო. არც ის გვითქვამს, ქართლელი ასე ამბობს და, მაშასადამე, ასე უნდა ვიხმა-

როთ და ვწეროთ ესა თუ ის ფორმა: ესა თუ ის სიტყვაო. აი, თქვენ ეკიდებით ათვალწუნებით ქართლის ენას, მოგყავთ მაგალითები ქართლის ენაში ხმარებულის სიტყვა-ფორმებისა და იმას კი არ იხსენიებთ, რომელი კარგი მცოდნე ქართულისა, რომელი ქართლელი ან კახელი სტილისტი, ან ნამდვილი მწერალი იმერთაგანი ჰბაძავს ქართლს, ჰხმარობს იმ დამახინჯებულს ქართლურ ფორმასა და სიტყვას. მე ვამტკიცებ, რომ არც ერთი თუ რომელსამე ჯაგლაგს მწერალს უხმა-რია მაგისტანა სიტყვები, ეგ რა საუკეთესო მწერლების გადასახადია?! ან კი ვინ ამბობს ქართლში ამ ფორმით სიტყვებს: ამთენი, იმთენი, ამოტელა, რამოტელა, დაგიწყობ, მოვესწრობი, წავიკითხამ, ვსვავთ, გასხნილი, სხნილი და სხვ. და თუ ამბობს ამას ქართლში უბირი, ჩლუნგის გონების კაცი, ვიმეორებთ, რომელმა ამერთა ან იმერთა კარგმა მწერალმა მიჰბაძა ამ ფორმას? არც ერთმა. ან როდის და სად გაგიგონიათ ქართლში: კილონ, ღმთის წყალობა? მე ქართლში ვარ დაბადებულ-აღზრდილი და ასეთი თქმა არ გამიგონია.

პუშკინი ტყუილად არ ამბობდა, უსწავლელ ხალხის ენა ღირსია ღრმა კვლევა-ძიებისაო. აღფიერი სწავლობდა იტალიურს ფლორენციის ბაზარშიო. ჩვენც ურიგოს არ ვიზამდით ყური დაგვეგდო მოსკოველ მესეფისკვრე დედაკაცებისათვის: ისინი მეტად წმინდა და კანონიერის ენით ლაპარაკობენო. საზოგადოდ მოსკოური კილო დაედო საძირკვლად რუსულს სალიტერატურო ენას და ნუ თუ შესაწყნარებელი იქნება, რომ გამოვიდეს ახლა იქ რაიზანისა, კურსკისა, ორიოლისა ან კალუგის გუბერნია და, სილოვანივით, ბასტა-ბასტა სიტყვების სროლა დაიწყოს,

მოსკოვი რა წითელი კოქია, სწორაუფ-
ლებიანობა უნდა მოვითხოვოთ, ბატონ-
ყმობა არსად არ არის კარგო. მაგრამ
ამ საგანზედ მსჯელობა შემდეგ იყოს,
როცა ჩვენის ქვეყნის სხვა პროვინციის
კილოვებზედ გვექნება საუბარი.

მე დაგიწუნეთ ფრაზა: „მწყევსებმა თავისი ჯოგი წარეკეს“, ისე როგორც დავიწუნებდი—და ჩემთან ერთად ჩემზედ უკეთ ქართულის მკოდნენიც—სიტყვებს: საქონელი წადნეს, გადნეს, სანთელი დაავსეს და სხვ. ხოლო თქვენ სამაგიეროდ იწუნებთ ქართლის თქმას: საქონელი წაასხესო და რაღაც სხვანაირს კუდს აბამეთ. კული შეიძლება გამოვებათ და სხვანაირი, უწმაწური კილო ყველა სიტყვას მივცეთ, მაგრამ ეგ ხომ მასხარაობა იქნება. მაინც არ ავხირდები და დიდად თავს არ გავიცხელებ მაგ სიტყვის გამოსარჩლებისათვის. ვიტყვი მხოლოდ, რომ მაგ სიტყვის დაწუნება არ ჰმოწმობს „თქვენს დიდსა და ფართო განვითარებას“ ქართულის ენის ისტორიაში. მაგ სიტყვას ოთხას-ხუთასი წლის ხანგრძლივობა აქვს, დღემდე თავი შეიუნახავს ძველ მწერლობასა და ქართლის ცოცხალ ენასაუბარში და ახლა რა საბუთით იწუნებთ, სდევნით და აწბილებთ? (1446 წლის სიგელში*), რომელიც უბოძებია მეფე გიორგი მეცხრეს ერთის თავის თავდადებით ნამსახურისათვის, სწერია: „თუ ჯოგი წავისხას“... ამდენ-ამდენი სისხლი დაგიურვოსო. საკანონმდებლო აქტში მოჰყვა ეგ სიტყვა, ვაზირნი კარისა და დარბაზისა კაცნი ისხდნენ ბქობად და სიველის დასაწერად, ჩაუტოეს ეგ სიტყვა

*) საქართველოს სიძველენი ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, გვ. 18, ეტრატზედ დაწერილი სიგელი მეფე გიორგი მე-IX-სა.

შიგა და თქვენ-კი იწუნებთ, ექსორიით სდევნით. რაღა? რა დაგიშავათ ხუთასის წლის ნამსახურმა და დღემდე თავდადებით ნაამაგარმა?!

მე დაგიწუნეთ ფორმები: მშია, მწყურია, წახთა, შეცთა, მქვია; ქართლელი აგრე არ იტყვის მეთქი. მიჩვენეთ ერთი კარგი მკოდნე ქართულისა, ერთი რიგიანი მწერალი და სტილისტი მთელს ჩვენს ახალსა და ძველს მწერლობაში, რომ მაგ ფორმით ჰხმარობდეს მაგ სიტყვებს (აკაკის გარდა, რომელიც ხშირად მოუიმერლებს ხოლმე, როგორც ამას წინად „იმერელმა“ უძრახა) და მე ნაჯობნი ვიქნები, ძლეული. თქვენ-კი კადნიერად ჰქადულობთ, მე ჩამივარდეს ხელში ქართლელი, როგორც ქართულის მასწავლებელს და მე ვათქმევინებო. მე კი ღმერთმა დამიფაროს, ჩემი შვილი შენ ჩავიგდო ხელში ქართულის მასწავლებლად და თქვენ კი შეგიძლიანთ, რაც გინდა ათქმევინოთ და მასწავლოთ კიდევ თქვენს შეგირდებს: ჩინურიცა და ჩიქორთულიცა.

და განა ჩიქორთული არ არის თქვენი ასეთი ფრაზები და გამოთქმანი: „ტლინკები არ დაეშინათ“. ტლინკებს-კი არ უშენენ, აყრიან, ტლინკები დამაყარაო, მუშტი-კი დამიშინაო. „ქართული(?) ენის მკოდნემ, ვითომ მე, ენა ამოიღო“. ეს ქართული არ გახლავთ, ბატონო სილოვან. ასე უნდა: ენა ამოიღვა, ხმა-კი ამოიღო. „გაციებას აცლიდენ?!“ ვითომ დააცლიდნენ, დააცლიდნენო. აცლიდენ, აცლიდნენ—ჰნიშნავს გამორთმევას, გამოტყუებას, აწაპვნას. დამაცლიდი, დააცლიდი, დააცლიდნენ-კი, მართალია, ჰნიშნავს დაცდას. მაშასადამე, ეს ფორმა უნდა გეხმარათ: გაციებას დააცლიდნენ და არა: აცლიდენ.

აი კიდევ ნიმუში თქვენის სტილისტი-

კისა. „**ჩ**რითღე სიტყვა საკუთრათ(დ) „**იმერელსაც**“ უნდა ვ(?)უძღვნათ, **რომელიც** „განათლების“ იმავე ნუმერში „**იმერულ ენათ**“ ნათლავს იმ ენას, **რომელშიც** ზევით აღნიშნული „**მართლ-წერაა**“ დაცული და იმ გრამატიკას (იგულისხმეთ სილოვ. ხუნდაძის გრამატიკა!), **რომელიც** ამ მართლ-წერას იცავს, იმერულ გრამატიკას უწოდებს!“ აბა, დააკვირდით, ბ.ნო სილოვან ამ ფრაზას, ამ ხელის-ხელ საგომანებელ მარგალიტს, ამ სამს **რომელსაც** ერთსა და იმავე წინადადებაში და დასტკბით თქვენვე თქვენის ენა-მეტყველების მუსიკით. გამიგონია, „**რომელიც**“ კაცმა, ორჯერ და სამჯერ კი არა, ხუთჯერაც იხმაროს ერთს წინადადებაში აზრის გასაძლიერებლად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ეგ „**რომელიც**“ ერთსა ზე იმავე საგანს ეკუთვნის და არა სხვა და სხვას. დალოცვილო, მთელი „ვისრამინი“ ისე დაუწერია მის დამწერს, რომ არსად ეგ სიტყვა ნახმარი არა აქვს—და თქვენ ერთი წინადადება ვეღარ მოახერხეთ „**ურომლოდ**“ დაგეწერათ?!

„**არც** ბ. ყიფშიძე და **არც** „სახალ. ვაზ.“-ი **მხედველობაში არ გვეყოლია**. მხედველობა ჰნიშნავს თვალის-ჩინს, თვალის შუქს, ხედვას თვალისას და ამ თვალის ჩინში, შუქსა და ხედვაში როგორ უნდა ვყოლოდით ბ.ნს სილოვანს, ვერ მივხვედრილვართ. ეს ფრაზაც ქართული არ არის, იმ გვარივე. ჩიქორთულია, როგორც „სახეში მყავს, სახეში მივიღებო“ და რომლის შესახებაც აკაკიმ მარილიანად იოხუნჯა წ. კ. საზოგ. წლიურს კრებაზედ წელს. —რა ბედი ეწია ჩემს აზრსაო, —ჰკითხა პოეტმა კრების თავმჯდომარეს. —სახეში იქმნა მიღებულიო, —მიიღო პასუხად. —სახეში მიიღეთ და ტვინამდე ვეღარ უწიაო?! —სთქვა აკაკიმ მწარე ღიმილით

და განაგრძო თავისი მშვენიერი და მოხდენილი სიტყვა.

წერილმანებს აღარ გამოვეკიდებით. სწეროს და ილაპარაკოს ბ.ნმა სილოვანმა და „**კოლიბამ**“: მწყესი, ეკენთივე, წახთა. შეცთა... ვნახოთ, რა მანძილს გაივლიან და ბოლოს გამარჯვებავის დარჩება. ღმერთმა ნუ ჰქნას და, შესაძლოა, გამარჯვება დარჩეს სილოვანსა და ძმათა მისთ მაგრამ ეგ ის გამარჯვება იქმნება, რომელიც პირმა შეიმოსა: ერთი ასეთი გამარჯვებაცა და დავილუბებითო. როგორ, რა აზრით? აი როგორ: ესთქვათ, სილოვანმა და ძმათა მისთა გაიმარჯვეს, ქართულ სალიტერატურო ენაში გამეფდა: მშია, მწყურია, მქვია; წახთა, შეცთა და მრავალი სხვა ასეთი ფორმა; ესთქვათ — და დარწმუნებულთა ვართ, ასე იქნება, ქართლმა და თითქმის მთლად ამერეთმა ვერ მიიღო, ვერ შეიწყნარა ასეთი კილო და წესი წერისა და ლაპარაკისა, რა მოჰყვება ამას შედეგად? სიკეთე ბევრი არაფერი და მავნებლობა-კი დიდი, წინ და წინგე ძნელად წარმოსადგენი და ძნელად დასაწახი თავის საშინელ შედეგითა. ქართლი თავისას არ დაიშლის, თავის კილოს, ახალ სალიტერატურო ენის დამამყარებელთა და მოამაგეთა ანდერძს ვერ უღალატებს, დაიწყება ენის მხრივ განაწილება, გაყრა და განწვალება. ამერნი ცალკე დადგებიან და იმერნი ცალკე, გამწვავდება ბრძოლა და ძმათა შორის მტრობა და მძულვარება; შესაძლოა, ამ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვება დარჩეს იმერთა ახალ შექმნილ სალიტერატურო ენას, თუ იქ ძლიერის ნიჭისა და დიდის შემოქმედობის მაღლით დაჯილდოვებულნი დაიბადნენ უფრო მრავლად ვიდრე ამერეთში. საერთო საქმის კეთება, საერთო კულტური. სათვის. ზრუნვა მიიჩრდილება, იქნება სუ.

ლაც მოისპოს იმ დავიდარაბასა, ბრძოლასა და უთანხმოებაში, რომელიც თან მოჰყვება ამ დანაწილებას ენის მხრივ, ამ მზადებას და შექმნას ახალ სალიტერატურო ენისას. და ნუ თუ ეს არის წადილი და სულის კვეთება ბ-ნ სილოვ. ხუნდაძისა და ძმათა მისთა? გული გვტყვივ, ამას რომ ვწერთ, მაგრამ მეტი გზა არ არის. ჰირის დამალვა არ შეიძლება. მუწუკი უნდა გამოირწყოს; ჩვენი ჰირი, ჩვენი სენი, სილოვანების ახირება: არა, უთუოდ რეფორმატორობა გვინდა ენისა, კანონმდებლობა გვწადიან ქართულში, ჩვენა ვართ და ჩვენი ნაბადიო, მუხას ვაშლი ასხიო, უნდა შევქმნათ ახალი სალიტერატურო ენაო; უკვე შექმნილი და დამყარებული, თითქმის გენიოსთაგან ნაამაგვეი, რუსთველისაგან ნაკურთხი, მშვენიერი, ძლიერი, მაღლიანი ქართული ახლა უნდა შექმნას ბ-ნმა სოლომანმა, რადგან ახლა გარდამავალი ხანაა ვითომ და ერთმანერთში იბრძვის ძველი და ახალი ფორმა. ჩვენც თქვენი ძმები ვართ, ჩვენ ვიღას ტიკი-ტომარა ვართ, თუკი ხალხის შემოქმედებაში ჩვენი ნიჭი-კი არ მიიღებს მონაწილეობასაო—დავიწყით ახლად, ავარჩიოთ, რაც თითოეულ კუთხეში დახვეწილი (ეს „დახვეწილი“ რაღა დოზანაა!) და კეთილ-ხმოვანი ფორმა და აზრიანი, შინაარსიანი ტერმინია და სალიტერატურო ენა ამ სახით შევადგინოთ.

როგორ მოგწონთ, მკითხველო, ეს წყურვილი ბ-ნ სილოვანისა შეადგინოს ხელ-ახლად სალიტერატურო ენა? მერე ისიც რითი? არა დიდისა და მაღლიანის ნიჭით, არა სამაგალითო ენით დაწერილ თხზულებათა ბეჭდვით, ისეთ თხზულებათა, რომელიც მთელს ერს გულსა სწვდებოდეს, არამედ ფორმების „ხვეწით“ და

ტერმინების „არჩევით“, ასოების კირკიტით, გადასხმა-გადმოსხმით, გამოტოვებითა და დაკლებით. ერთი მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, ნუ თუ ეს ჩხირკედელაობა არ არის მოკლილის ადამიანისა? ხუ თუ ასეთი სურვილი რეფორმატორობისა, კანონმდებლობისა და ახალ სალიტერატურო ენის „შედგენისა“ იმ ზღაპრულ ქინკრაქას არ მოგაგონებთ, რომელმაც ქუხილის დროს პირი აღმა ჰქმნა და ფეხები ვითომ ცას მიაბჯინა, ცა ჩამონგრევას აპირობს და უნდა შევიმაგროვო. აბა, სასაცილო არ არის, ბ-ნო სილოვან, რომ ერს ოქროს საუკუნე გამოეველოს ლიტერატურისა შეიღის საუკუნის წინად, ჰყვანდეს შოთა რუსთაველი, შავთელ-ჩახრუხაძე, მაღალ-ნიჭიერი მქადაგებელნი და საღმრთო-წერილის მთარგმნელნი გრგვინვასავით მქუხარე მქვერ-მეტყველნი. ორატორნი, გულის-სიღრმემდე ჩამწვდენნი ბიოგრაფნი*) და წმიდათა მამათა ცხოვრების აღმწერელნი, საოცარის ენა-მეტყველების ნიჭით დაჯილდოვებულნი მემათიანენი, ისტორიკოსნი, კანონმდებელნი, მოიგავ-არაკენი, სულ გუშინ კიდევ ისეთნი მდევნი და ბუმბერაზნი პოეზიისა და პროზისა, როგორნიც არიან: ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, რაფ. ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ეს აკაკის თქმისა არ იყოს, დიდი თერძი ენისა—და ამ დროს გამოხტეს ვილაც ქონდრის კაცი და კისერ-დაგძელებით გაწიწმატებული წიოდეს, ჩვენ უნდა შევადგინოთ სალიტერატურო ენა, აი, ასე და ასეო?!..

ვაი ჩვენს დაკნინებას, ჩვენს ქონდრის კაცობას, ჩვენს არა-რაობას!

*) იხ. „ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელთ-ნაწერი“, საიუბილეო გამოცემა სკელესიო მუხუშისა.

საკიროდ მიგვაჩნია ჩვენი აზრი გამოცხადებით სხვა და სხვა პროვინციის კილოვების შესახებაც.

ჩვენ სრულიადაც ათვალწუნებით არ ვეკიდებთ ამ კილოებს; როგორც იქნებ ბ-ნ სილოვანს ეგონოს; პირიქით, დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ და დიდის სიხარულითა და აღტაცებით ვეწაფებით ამ კილოებს, მეტადრე მაშინ, როცა ბელეტრისტიკაში შევხვედრივართ მოთხრობის მომქმედთა დასახასიათებლად. იმერული და გურული კილო, საესებით და ცუხლი მომქმედთა დასახასიათებლად განსვებულ ნინოშვილის ამა თუ იმ მოთხრობაში და ბ-ნ დ. კლდიაშვილისაში და ამ უკანასკნელის სადრამონაწერებში, ჩვენს დიდს აღტაცებასა და აღფრთოვანებას იწვევდა და მუდამ იწვევს, რაიცა საჯაროდა მაქვს გამოთქმული ქართულ პრესაშიცა და რუსულშიც*). ასეც უნდა იყოს. ენა ხომ იგივე ერია, იგივე თემია. სათემო კილოში იხატება იმ ერის მცხოვრებთა სული და გული. შეუძლებელია შესწავლა ამა თუ იმ თემის მკვიდრთა, დახასიათება მათი, თუ იმ კილოს არ მიჰმართეთ, რომლითაც ის მკვიდრნი მეტყველებენ. ენა მათი სარკეა მათის სულისა. ასევე აღტაცებით ვეკიდებოდი და დღესაც ვეკიდები ფშაურ კილოს, რომელსაც ასე გულ-უხვად მიჰმართვენ ხოლმე ძმანი რაზიკაშვილნი: ვაჟაფშაველა და ბაჩანა თავიანთ პოეტურ ნაწერებში. დიდ ცოდვადაც მითვლიდნენ ოდესმე, იცი, ვინ, ბატონო სილოვან? სწორედ იმერნი. იქამდე მივიდნენ იმერნი, რომ ამ კილოს გამო, მათთვის ვითომ გაუგებარს, ნიჭიც არა სწამდათ ზემოხსენებულ ძმებისა. მხოლოდ ამ ბოლო დროს დაათვას იმერთა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა დიდი პოეტური ნიჭი ვაჟა-ფშაველას და შეურიგდნენ მის ფშაურ კილოს. იქნება, სხვათა შორის, ეს იმიტიც აიხსნება, რომ ფშაურ კილოს ენა ბევრით არაფრით განირჩევა საგრამატიკო ფორმების მხრივ ქართლის კილოსაგან და საიმიხლო ძნელი გასაგები არ არის საერთო სალიტერატურო ენის მცოდნესაგან. ცოტადნად შეგნებულსა და განვითარებულს ქართლელს ხომ მშვენივრად ესმის ეს კილო ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანას სალირიკო ლექსებხსა და პოემებისა. რაიცა შეეხება მათ პროზას, მეტადრე ვაჟა-ფშაველას პროზას, იგი პირდაპირ საქრისტომატიო მასალაა თვისის ქართულის სიწმინდითა. გაიხსენეთ, მაგ. თუნდა იმისი „შელის ნუკრის ნაამბობი“ და სხვა პატარა ეტიუდები პროზად.

სხვა ჩვენებური კილოკავი და ილიომი, როგორიცაა ლაზური, მეგრული, სვანური დიდის ყურადღებისა, შესწავლისა და კვლევა-ძიების ღირსად მიგვაჩნია. მაგ ილიომების შესწავლას დიდი მნიშვნელობაც ექმნება ჩვენის საერთო, სალიტერატურო ენის ბუნებისა და აგებულების შესწავლის საქმეში, აგრედვე მის ისტორიისათვის. ამიტომ დიდის მადლობის ღირსნი არიან ის ჩვენნი მკვლევარნი, რომელთაც უაღრესი ყურადღება მიაქციეს მაგ ილიომების შესწავლას: პროფ. ცაგარელი, პროფ. მარჩი, მღვდელი ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი), ნ. ჯანაშია და სხვ.

ლაზურ-მეგრული და სვანური შუქსაჰფენს ჩვენის საერთო და საზოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჯერ ჩვენის ერის ისტორია არც-კი დაწყებულიყო. ბევრი ძირი და ფესვი ჩვენის სიტ-

*) იხ. სხვათა-შორის ჩემი ფელეტონები „НОВ. ОБОЗ.“ 1894 წ.

ყვებისა, აწ უკვე გაუგებარი, ძნელად გამოსაცნობი და მისახვედრი, შესაძლოა მივიკვლიოთ მხოლოდ ამ იდიომების შესწავლითა. ეს თქვენც კარაგდ უნდა მოგეხსენებოდეთ, ბ-ნო სილოვან, როგორც ქართულის შესწავლის მიმდევარს, მაგრამ ორიოდ მაგალითს მაინც მოგახსენებ: ქართლურ სიტყვის—ჯიხურის—ძირი და მისი პირვანდელი აზრი ძნელად მისახვედრია, რადგან მისი შეგნება ქართლელს აღარა აქვს. ხოლო როცა გავიგებთ, რომ მეგრულად ჯიხი ჰნიშნავს ციხეს, კოშკს და არის სოფელიც ჯიხაში, ადვილად მივხვდებით, რა ფესვიდან წარმომდგარა ჩვენებური ჯიხური, რომელიც პატარა ზის კოშკსა ჰგავს, იმნაირს, რომლის მზგავსნიც ჰქონიათ ქსენოფონტეს „ანაბაზისღს“ დროს ხალიბებსა და ტიბარენებს სამას-ოთხასის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდე. ავიღოთ კიდევ ქართლური სიტყვა—ჩაქინდრა თავისა, თავი ჩაქინდრა, რას ჩაგიქინდრავს თავიო. ამ სიტყვის ძირიც აგრედვე მივიწყებულა და მისი აზრი ახლა ცოტად თუ ბევრად ბნელია. არა იმერელ მწერლისათვის. ხოლო თუ გვეცოდინება, რომ იმერულ ცოცხალ ენაში დღესაც არსებობს სიტყვა ქინდრი, რომელიც ჰნიშნავს კეფას, კისერს, ქედს, მივხვდებით მაგ ზმნის აზრს და საზოგადოდ ზემოხსენებულნი გამოთქმანი სრულიად ახლის უშუქით გაშუქდება მწერლისათვის და კერძოდ ქართლელისათვის და მათი შეგნებით ცოდნა ენისა ბევრს მოიგებს. ავიღოთ, მაგალითად, რუსული გამოთქმა—ДО ТЛА. ყველას ეგონა, რომ ТЛО არის ТЛѢНЬ, მაგრამ მერე აღმოჩნდა სათემო კილოების კვლევით, რომ ТЛО ცოცხალ ენაში ჰნიშნავს—ძირს, მიწას, ფსკერს-მაშასადამე გამოთქმა—ДОМЪ СТОРѢЛЬ ДО

ТЛА—ჰნიშნავს—ДОМЪ СТОРѢЛЬ ДО ОСНОВАНІЯ, ДО ЗЕМЛИ. სიტყვა БЕЗАЛАБЕРНЫЙ—არ იცოდნენ, რა ძირისაა. მერე აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთ გუბერნიაში სკოცხლობს დღესაც სიტყვა—АЛАБОРЪ--წესი, რიგი, მაშასადამე, БЕЗАЛАБЕРНЫЙ—უწესო, ურიგო; სიტყვა ОПОЕКЪ ჰნიშნავს თურმე ხბოს. ერთ-ერთ გუბერნიაში და წარმოსდგა სიტყვისაგან ОПОИВАТЬ МОЛОКОМЪ, ხოლო მისი ტყავი—ОПОЕКЪ, ОПОИЧИНА და სხვ.

რაიცა შეეხება გურულს, იმერულს, რაჭულსა და ფშაურ კილოს (კახეთისას არას ვიტყვით, რადგან იგი ქართლურ კილოსაგან თითქმის არაფრით განსხვავდება), უნდა ვსთქვა, რომ მათი მნიშვნელობაც ფრიად დიდია და საყურადღებო, რადგან, როგორცა სჩანს ზემორე მოტანელ მაგალითით, აშუქებს ჩვენს საერთო ლიტერატურისა და ქართლის კილოს სიტყვების ვითარებას, წარმოშობას, ევოლიუციას, ისტორიის უწინარეს დროს-კი არა, როგორც ეს ითქმის ლაზურ-მეგრულ-სვანურისათვის, არამედ ისტორიის ხანაში. არც იმის უარ-ყოფა შეიძლება, რომ მკვლევარმა არ აღმოაჩინოს ამ კილოებში რაიმე მოხდენილი და გამოსადეგი სიტყვა, ტერმინი და იქნება მთელი გამოთქმაც ჩვენს საერთო სალიტერატურო ენაში სახმარებლად გამოსადეგი, თუმცა-კი ამაში დიდი სიფრთხილე და თავდაქერაა საჭირო; ეს სიფრთხილე და თავდაქერა ერთი ათად უფრო მეტი უნდა იყოს, თუ საგრამატიკო ფორმას დაუწყებთ სესხებას გურულ-იმერულ, ფშაურ კილოდან, ხოლო ერთი ორად კიდევ მეტი, თუ ამანებს არ დავეჯერდით და საფიგურო, მეტაფორული, მხატვრული ო ვლვარე გამოთქმანი ვისესხეთ ჩვენს სალიტერატურო, საერთოდ სახმარებელ ენისა-

თვის. რად არის ერთი ასად საფრთხილოვო?—იქნებ გაიკვიროვოთ. იმიტომ, რომ ეგ გამოთქმანი, ეგ იდიოტიზმები, ეგ სხვა ენაზედ ძნელად გადასთარგმნელი ფრაზები არის მხატვრობა, სიცხოველე ყოველის ენისა, არის სული და გული მისი. ხოლო სული მეტად ნაზი არსებაა, თავის საკუთარის, ესრედ-წოდებულ ფსიხიურ პროცესების კანონებს ექვემდებარება და ადვილად ვერ შეიშენვეს დაუჩავგრელად სხვა ინდუვიდუალობის, სხვა განუკვეთელის სულის თვისება-ხასიათს, მის შემუშავებულს ნაყოფს. თქვენ, ბ-ნო სილოვან, ტრაბახობთ, დიდი და ღრმა განვითარება მაქვს ენის ცოდნის საქმეშიო და, იმედია მიმიხვდებით, რასაც მოგახსენებთ და განყენებულ, ურომელო მსჯელობად არ მიიჩნევთ ჩემს მსჯელობას. ამ ჩემის აზრის ნათელ-საყოფელად ნებას მივცემ ჩემს თავს და გავიხსენებ, რას ვამბობდი ამ საგნის შესახებ ამ თქვესმეტი წლის წინად, როცა გამწვავებული პოლემიკა იყო ჩვენს მწერლობაში სიტყვა „ადვიარების“ შესახებ*):

„ქართულის“ ენის საჭირ-ბოროტო საქმე, მისი დიდი ტკივილი. სულ სხვა არის და ვაი რომ სწორედ ამ საჭირ-ბოროტო საგანს, ამ ტკივილს აუხვიეს გვერდი ქართულის ენის სიწმინდისათვის თავგამოდებულმა მწერლებმა.

„ჩვენის ფიქრით, ქართულის სისუფთავისა და კანონიერებისათვის საქმე ასოები, მარცვლები და სიტყვები-კი არ არის, საქმე თვით ბუნებაა ენისა, მისი სული, მისი ბუნებრივი მიმოხვრა, მისი ზოგადი აგებულება. თითოეული სიტყვა, თითოე-

ული ასო და მარცვალი თითქმის არაფერია: იგი მხოლოდ მასალაა ენისა. საქმე სიტყვები-კი არ არის, საქმე სინტაქსისია, ლექსთ-თხზულება, ანუ ის კანონები, რომელსაც ემორჩილება სიცოცხლე ენისა, მისი არსებობა. შედარებით რომ ვსთქვათ, სიტყვები ენის ანატომიაა, ხოლო ლექსთ-თხზულება (კავშირი, დამოკიდებულება სიტყვათა შორის) ფიზიოლოგიაა ენისა. როგორც ფიზიოლოგიამ იცის, რა კანონების დაქვემდებარებით ჰბოგინობს სიცოცხლე ამა თუ იმ არსებისა ქვეყნად, ისე ლექსთ-თხზულებამ (იგივე სტილისტიკა) იცის, რა კანონებს ემორჩილება ესა თუ ის ენა და მისი არსება. სიტყვები-ლი ლექსიკონია ხმოლოდ. შეიძლება მთელი ლექსიკონი ზეპირად იცოდეს კაცმა, ენა-კი მაინც არ ეცოდინება, თუ მისი ბუნება ვერ შეუგნია. უფრო მეტს ვიტყვით, შეიძლება კაცმა გრამატიკაც კარგათ იცოდეს (მთლად გრამატიკა ეტიმოლოგია—სინტაქსისიურთ როგორც სილოვანმა.), მაგრამ ენა-კი არ იცოდეს ენის ცოდნისათვის კაცი უნდა მიხვედრილი იყოსენის სულსა და ბუნებას...

„... ამ სახით, საქმე სიტყვები-კი არ არის, საქმე მიმოხვრაა, ბუნებაა ენისა, საქმე სულია მისი, ის მუსიკა, რომელსაც ჰქმნის მხოლოდ ასეთი თუ ისეთი შეწყობა სიტყვათა, ასეთი თუ ისეთი დალაგება სიტყვათა და წინადადებათა, ისეთი შეწყობა და დალაგება, რომელიც შეეფერება და შეეწონება ბუნებას ამა თუ იმ ენისას.

... ჩვენს მწერლობაში ათასია იმის მაგალითი, თუ როგორ ვაფუქებთ და ვრყენით დედა-ენას ჩვენისავე დაუდევრობითა და უმეცრებით, როგორ ვლუპავთ ამის გამო მოსწავლე, მოზარდს თაობას, რომელიც ჩვენს ნაწერებს ეწაფება,

*) იხ. „ორიოდე მოსაზრება ქართულის ენისა და გრამატიკის შესახებ“ ურ. „მოამბე“ 1895 წ. № IV.

იქნება ქართული ვისწავლოვო და ითვი-
სებს-კი ამ დროს. დედა-ენის სიტყბოს
მაგიერ, შხამს, ითვისებს ისეთს უბადრუკს
ენას, რომლის ნიშნებში მრავლად შეიძლე-
ბა აინუსხოს (თუ გინდ ბ-ნ სილოვანის
ნაწერებში და; რასაკვირველია, ჩემსა-
შიც).

ასეა, ბატონო, სილოვან. საქმე:

მე, თქვენ, ივანე, პეტრე—ყოველნი
ჩვენ ჩვენის ენითა და კილოთი ვწერთ
და ვლაპარაკობთ. ჩვენ-კი რა სახსენებელ-
ნი ვართ, მაგრამ ნიჭიერნი მწერალნი-კი,
ყველანი თავ-თავისებურად სწერენ და
ლაპარაკობენ, საკუთარი კილო აქვთ და
საკუთარს ფსიხიკას ააშკარავენ. ენა
საერთო, ჯანყენებული არ არსებობს. ეგ
ფიქციაა და სხვა არა-რა. ენა არსებობს
მხოლოდ თითოეულის ტვინში, გულსა.
და სულში და ჩნდება, იბადება ფსიხიურ
პროცესის კანონით, შემოქმედობით. რო-
გორც პოეტური ქმნილება, ისე მისი ენა,
ანუ სწორედ რომ ვსთქვათ, ორივე ერ-
თად, იბადება სიმწრით, ტკივილებით.
ყოველს ასე დანაზადს თავისი ინ-
დუვიდუალური თვისება-ხასიათი ამჩნე-
ვია. თქვენ დიდი მომხრე ბრძანდებით
ერთგვარობისა—და იქნება სამართლიან-
დაც, მეტადრე საგრამატიკო ფორმების
შესახებ, მაგრამ ენის შექმნის პროცესი-
კი ისეთის ხასიათისაა, რომ ძრიველ უყ-
ვარს სხვა და სხვა ფერობა:

„ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა,—გვაქვს
უფალავი ფერთა“—ხომ გაგიგონათ! პო-
ღ ამიტომ ამბობენ. ენა ილიასი, ენა აკაკი-
სა, ენა ბარათაშვილისა, შექსპირისა, ჰუ-
მროპისა და სხ. სიტყვებიც-კი აქვთ და-
თელილი, ვის რამდენი უხმარია თავის
ნაწერებში: მოლიერს—8000, ჰუმროსს
—10000, შექსპირს—14000 და სხვ.

ახლა, თუ დაუჯერებთ ენის მეცნიე-

რებს და არა სილოვანებს, რა უნდა ვი-
ფიქროთ, ვინა ჰქმნის სალიტერატურო,
სავალდებულო ენას? რასაკვირველია,
არა ქონდრის კაცები და ჯავლაგი მწერ-
ლები, როგორც მე და შენ, ბ-ნო სილო-
ვან, არამედ გენიოსები, დიდის ნიჭით
დაჯილდოვებულნი: შექსპირები, რუსთა-
ველები, ორბელიანებო, ბარათაშვილები,
ჰავჭავაძეებიდა სხვ. ჩვენ მხოლოდ იმათი
მაჩანჩალები ვართ და მეტი არაფერი. თუ
გვინდა: ჩვენც რასმე გავხდეთ, უნდა შევის-
წავლოთ გულ-დადებით მათი ენა, ჩავიხე-
ლოთ მათ სულსა და გულში, მათის ნა-
წერების შესწავლის წყალობით, და ყო-
ველ ამასთან ყური დაუგდოთ, თუ-კი
შესაძლოა, იმ ცოცხალ საერო კილოსაც,
რომელმაც აწოვა თავისი ძუძუ ან ერთსა
და ან მეორეს, ვინაიდან იმ კილოს ბუ-
ნება და აგებულება შეითვისა მათმა სულ-
მა ყმაწვილობიდანვე.

ჩვენს აზრს საერთო ენისა და მის კი-
ლოების შესახებ ამტკიცებენ წინანდელი-
ცა და უფრო-კი ახლანდელნი ენის მეც-
ნიერნი. ერთი მათგანი ამბობს:

ენა **არსებობს** მხოლოდ თითოეულის
ტვინში, მხოლოდ თითოეულის სულში,
თითოეულ იმ ინდივიდთა ფსიხიკაში, რო-
მელთა კრებულიც შეადგენს ამა თუ იმ
ერს, თემს, ანუ ერთს საზოგადოებას ენის
მხრივით. და მერე კიდევ: თითოეულს
კაცს თავისი კილო აქვს მეტყველებისა—
გარეგანი და შინაგანი, თავისი კილო
აქვს წერისა, ლაპარაკისა. ხმაზედ ვიც-
ნობთ ზოგჯერ, რომ არცა ვხედავდეთ.
ნაწერსაც ვიცნობთ, ვისია.

ასეც არის. ნაწერშია ჩაქსოვილი ადამი-
ანიის ხასიათი, მისი სული და გული.
იგივე ენის მეცნიერი ამბობს: ყოველ
იმ კილოთა შორის, რომელიც არსებობს
ამა თუ იმ ქვეყანაში, ცალკე, საპატიო

ადგილი ეძლევა უპირველეს ყოვლისა იმავე ნიადაგზედ აღზრდილს სამწერლო ანუ სალიტერატურო ენას. ცოცხალ წყაროდ ასეთის ენისათვის ჩვეულებრივ არის ზოლმე კილო ერის ერთი რომელი-სამე ნაწილისა, ან კლასისა, რომელსაც კი რითიმე პირველობა და უპირატესობა აქვს სხვების წინაშე ან. ეკლესიისა, ან მართვა-გამგეობისა და ან ვაჭრობის საქმეში.

დავანებოთ თავი ამ მეცნიერებასაც და ისა ვსთქვათ დასასრულ, რომ არც მცხეთა და არც ტფილისი, საცა ჩაისახა ჩვენი მოქალაქეობა პირველად, საცა დაიდგა პირველი აკადემია ჩვენის კულტურისა, აგრედვე ქართლი, რომელიც გარს აკრავს თითქმის ამ ჩვენის განათლების ძველს ცენტრებს, ძალით არაფრის მიმოვისებელი, არაფრის მიმტაცველი არ არის და არც ყოფილა, არც ვისიმე ბატონობა მოუწოდომებია და არც ვისმე ყმად დასახლება. თუ გაბატონდა მცხეთა-ტფილისისა და ქართლის კილო ლიტერატურაში, ეგ მოჰხდა

ბუნებრივ, ბუნებრივის აუცილებლობით, ისტორიულ ევოლიუციის კანონებს თანხმად. ეს გარემოება, როგორც ყოველად ბუნებრივი, არც არავის აწბილებს, არც არავის თავ-მოყვარეობასა ჰბღალავს. პირიქით, ყველას უნდა გვახარებდეს და გვაძნეებდეს ის გარემოება, რომ საერთო ცენტრი ვვაქვს, ერთი საერთო სალიტერატურო ენა მოუცია ჩვენთვის ისტორიას და იმას უნდა უფრთხილდებოდეთ ისე, როგორც თვალის-ჩინს, როგორც დიდსა და „დაუღვენელს“ სულიერს საუნჯეს. ასეა ყველგან და ასე უნდა იყოს ჩვენშიც.

ამიტომ დაუტოვა რუსებს ტურგენევმა ანდერძად: „გაუფრთხილდით ჩვენს ენას, ჩვენს მშვენიერს რუსულ ენას, ამ საღაროს, ამ ძვირფას საუნჯეს, რომელიც ჩავვაბარა ჩვენმა მამა-პაპამ... მოწიწებითა და მორიდებით მოეკიდეთ ამ ყოველად ძლიერს იარაღს; იგი იარაღი სასწაულთ-მომქმედია ნიჭიერ კაცის ხელში“
გრ, ყიფშიძე.

მცირე შენიშვნა

გაზ. „კოლხიდის“ „პედაგოგის“ წერილის გამძ

შეს წინადადებთ სანაკად ზინძა, რომელიც თავის თავს „პედაგოგს“ უწოდებს, მოიწადინა გასეო „კოლხიდის“ ფურცლებზე ჩვენი მსცავანი პედაგოგის ი. კოკუაშვილის რუსულ-ქართული სახელმძღვანელო წიგნების განქიქვა, მაგრამ ამ განქიქებაში იმ დალოცვულმა იმდენი სიყალბე და უმეცრება გამოჩინა, რომ კვიკვირს თუ რად უხატინება ისეთს სეგანს, რომლის ღირსება-საკლუდეგანებისა არა გაეკება რა. ჩვენ სრულიად ფიქ-

რად არ გვაქვს არსებითად შევეხოთ ბნს „პედაგოგის“ „პედაგოგიურს“ ძისაზრებას, რადგანაც მეტად საანბანო ჭეშმარიტებაზე მოგვიხდება ღაზარაკი და არც ღირს ამ საგანზე თავი შევაწეინოთ ჩვენს მკითხველებს, მოვიუვანთ მხოლოდ ზოგიერთს ავაღსაჩინო მკალით, რომელიც ცხადათ ამტკიცებს თუ რა პედაგოგი ბრძანებულა ეს გმირი ვაჟბატონი, რომელსაც წდაწრულ რაინდივით უნდა გაქაწულას ის, რაც ჩვენს პედაგოგიურს

მწერლობას შეუქმნია მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

საკამათო საგანია რუსული ენის სახელმძღვანელო ბ-ნის ი. გოგებაშვილისა. ბატონმა „ზედაგოგმა“ მაინც ისეთი მოწყალება მიიღო, რომ ნება მისცა მასწავლებლებს ორი წლის განმავლობაში ესწავლებინათ „Русское Слово“-ს I და II ნაწილი, შესაძვე წლიდან კი გადასულიყვნენ ჯათარძის და ზედგინძის სახელმძღვანელოზედ. ამზედ უგულა გონიერი მასწავლებელი ასეთს ვასუხს მისცემს ბ-ნს „ზედაგოგს“: ბ-ნო ზედაგოგო, იქნება თქვენს მადლ „ზედაგობას“ არ მოეხსენება, რომ სასახლო სკოლებში პირველ წელიწადს რუსულ წერა-კითხვას არ ასწავლიან და არც უნდა ასწავლიდნენ, მაშ თქვენის რჩევით ერთი წლის განმავლობაში უნდა ვასწავლოთ ორივე წიგნი Русское Слово-სი; მაგრამ რაც უნდა ძალა და გვატანოთ, თუნდ ნახევარი მასალაც გამოვტოვოთ თქვენი რჩევის მიხედვით და ჩვენის რწმუნის წინააღმდეგ, მაინც მკუძლებელია თქვენი რჩევა მივიღოთ. თქვენ, ბ-ნო ზედაგოგო „Русское Слово“-ში ვერ ხედავთ ქართულს სულს და გულს, იგი ისეთივე რუსულ სახელმძღვანელოთ მიგაჩნიათ, როგორც ბუერი სხვა და სხვებზე მდარედაც. თქვენ, ბ-ნო „ზედაგოგო“, თუ მართლად ზედაგოგი ბრძანდებით, უნდა ცხადათ არჩევდეთ საკითხს უცხო ენის სწავლებისას, რომლის შესახებ მთელი ლიტერატურა არსებობს რუსულ ენაზედაც; და არ ურევდეთ დომხალივით ერთმანეთში სახელმძღვანელოებს. ეს საკითხი მწერლობაში ასკა ახსნილი და განმარტებული: თავდაპირველად უცხო ენის სწავლება უნდა იქმნეს დამუარებული ცნობილს მასალაზე, რომ ბავშვის კროსა და იმავე დროს ორი სიძნელე არ გადაელობოს წინ. კერძოდ ქარავედ ბავშვებს გონების გასაყიარებულ მასალას დედა

ენის სახელმძღვანელო აძლევს, მაშასადამე აუცილებლად საჭიროა დედა-ენისა და უცხო ენის სახელმძღვანელოთ შორის სუფევდე რამე კავშირი. ეს აუცილებელი კავშირი არსებობს „დედა-ენისა“ და Русское Слово“-ს შორისაც, რასაც თქვენი „ზედაგობის“ აღმატებულება ვერ ამჩნევს. რომ კარგად ჩაჭვირვებოდით „დედა-ენისა“ და „Русское Слово“-ს სისტემას, იქ მსგავსებას ბევრს იპოვიდით, თვით იგივე სასუბროები „Русское Слово“-ში, რაც თქვენ მუხჯურ მეთოდზე შედგენილად მიგაჩნიათ, სულით და გულით ქართულია, აბა შეადარეთ „დედა-ენის“ სასუბროებს და დაინახავთ, რომ იქ საუბარი რუსულად ქწარმოებს იმ საგნების შესახებ, რაც ბავშვებს წინად ქართულად უსწავლიათ, მაშასადამე ის სული, რაც „დედა-ენაში“ ტრიალებს, „Русское Слово“-შიაც გადადის და ბავშვის ფსიხიკა ნორმალურადაც ვითარდება და რუსულსაც გაუჭირვებლად სწავლობს. მაგრამ რა უნდა გითხრათ ბ-ნო „ზედაგოგო“, როცა თქვენ ბ-ნი გოგებაშვილის ქართული სახელმძღვანელოები „დედა-ენა და ბუნების ქარი“ უშინსკის „Родное Слово“ და «Дѣтскій Міръ»-ის სისტემაზედ აკუბულად მიგაჩნიათ, როგორც უშინსკის წიგნები დაძველდა, ისე თქვენი წიგნებიც დაძველებულიაო, რიხიანად გაიძახით ბ-ნო ზედაგოგო და თან დასძენთ ესლავანტროვს და სხვებს მიჭბაძეთა... შეტის-შეტი უღმობულა ბრძანებულხართ, ამ გვარ შედარებაში, მაგრამ თქვე დადგვიდით, აუ უშინსკისა და გოგებაშვილის წიგნებს ვერ არჩევთ ერთმანეთისაგან, რომლებიც ისე გვანან ერთმანეთს, როგორც თქვენი უზედაგოგესობა ნამდვილ ზედაგოგს, რად აცხობთ ისეთს წერილებს, რომელშიაც ერთი სადი ზედაგოგიური მოსაზრებაც კი არ მოიპოვება; თქვენი შეხედულობა

უცხო ენის სწავლების შესახებ, როცა დედა-
 ენა მეცამეტე გოჭად მიგახნიათ, საქმეში ჩა-
 ხედულს ადამიანს სასაცილოდ არ ეუფა. თუ
 ნამდვილი ჰედაგოგი ბრძანდებით და ჰედაგო-
 გიურს მწერლობასაც თვალურს ადევნებთ,
 უეჭველია შენიშნავდით, რომ სხვების მიბაძ-
 ვით თქვენი მოსაზრებაც უცხო ენის სწავლე-
 ბის შესახებ, რაც უდროო დრომ წარმოშვა
 და არა საღმა მოსაზრებამ, ჰედაგავს თან და
 თან თავისს დირებულობას.

ბ-ის „ჰედაგოგს“ ორჯოთუყვად და არა
 გადაჭრით მხარს უჭერენ ბ. ბ. ჟაფარიძე და
 ზედგინიძე. ამათ ჰედაგინეს სახელმძღვანე-
 ლო საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელ
 კლასის მოწაფეთათვის, სადაც სხვა და სხვა
 ეროვნების ბავშვები სწავლობენ და იქ უნებ-
 ლიეთ რუსული რუსული ენისივე საშუალებით
 ისწავლება. გახეთ „კოლხიდის“ № 159-ში
 ისინი აცხადებენ: „კერძოდ ქართველი მოწა-
 ფე უნდა გადავიდეს ჩვენს წიგნზე მხოლოდ
 შემდეგ (სახი მათია) ბ. გოგებაშვილის
 „Русское Слово-ს (ორივე ნაწილის) გაყ-
 ლისა“. ორჯოთობა იმაში გამოიხატება, რომ
 ისინი არ აღნიშნავენ დროს თუ როდის უნდა
 გადავიდეს მესამე წელიწადს თუ უფრ გვიან;
 საჭირო კი იყო დვთის წინაშე ამ ჰედაგო-
 გებს გაესწავრებიათ ის ჰედაგოგიური სახტო-
 ში, რაც ბ-მა „ჰედაგოგმა“ ჩაიდინა. ჩვენ კი
 გვტონია ბ-ნი ჟაფარიძე და ზედგინიძე შემც-

დარ არიან, როცა თავიანთ სახელმძღვანელოს
 სხვა და სხვა დანიშნულებას აძლევენ. თუ მათ
 უნდოდათ ისეთი სახელმძღვანელო შეედგინათ,
 რომ «Русское Слово»-ს შემდეგ ვარგე-
 ბულიყო საქართველოს სახალხო სკოლებში,
 რაც მეტის მეტად საჭიროა, მაშინ თავიანთ
 სახელმძღვანელოში არ უნდა შეეტანათ ისეთი
 მასალა, რაც გოგებაშვილის «Русское Сло-
 во»-შია. ეს ლიტერატურული მასალა რომ
 გამოეყოფოთ, რაც «Русское Слово»-დან
 გადაუზიდავთ, მაშინ ჟაფარიძის და ზედგინი-
 ძის წიგნში სახალხო სკოლის მოწაფეებს
 დარჩებათ უფრო გრამატიკული მასალები,
 გიმნასტიკა და საბუნების მეტყველო წერილე-
 ბი. ჩვენის აზრით კი რუსულ სახელმძღვანე-
 ლო წიგნში ჩვენებურს სახალხო სკოლებში
 ეოკლეთვის ლიტერატურული მასალა უნდა
 სჭარბობდეს, რადგანაც სკანების სწავლება
 დასაწყისს სახალხო სკოლებში დედა-ენაზე
 უნდა იყოს და ბუნების მეტყველებასაც დედა
 ენაზედ უნდა სწავლობდენ; ამასთან «Рус-
 ское Слово»-ს შემდეგი რუსული სახელმძღვა-
 ნელო წიგნი არ უნდა იყოს მოკლებული ად-
 გილობრივს ელეუმენტს, ადგილობრივს ბუნე-
 ბას გამოხატულს წმინდა რუსული ლიტერა-
 ტურული ენით და არა ხალხური გამოთქმით,
 რაც სჭარბობს რუსებდათავის შედგენილს სა-
 ხელმძღვანელოებში.

მასწავლებელი.



სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი

+ გღვლელი მიქელ თამარაშვილი

მსკენისთვის ორს, იტალიაში, ზღვის ზირას მდებარე სოფელ სანტა-მარინელას, ზღვის მსხვერპლი შეიქმნა ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი და უანგარო მამულიშვილი მიქელ თამარაშვილი, ანუ თამარატი.

თურმე იმ დღეს განსვენებული დასეინობ. და ზღვის ზირად, სხვებთან ერთად, დაუნახავს, რომ ზღვაში ირჩობდა ვიდაც უცნობი მუჰა; მუჰის კივილზე მამა თამარაშვილი მიშველებია მუჰას გდასარჩენად, შესტურებუ-



მიქელ თამარაშვილი

დან ღზვაში მენაგეებიც, მუჰა გადაურჩენიათ, მამა თამარაშვილი კი დაღუპულა, მისი გვამი მენაგეებს უზოგნიათ და დაუსაფლაგებიათ სოფ. მარინელას.

განსვენებული მამა თამარაშვილი შესანიშნავი შრომის მოყვარე და მსნე კაცი იყო. მისი წიგნი „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის“, რომელშიაც მოყვანილია აუარუ-

ბელი ისტორიული ფაქტები ქართველ კათოლიკეთა შესახებ საქართველოში, ძვირფასი ნაშრომია სომეხთა იმ ჯგუფის ასალაგმავად, რომელიც ცდილობდა ჩვენში ქართველი კათოლიკები სომხის ტიპიანზედ გადაეყვანათ. რასაკვირველია სომეხთა სისრებულს ჯგუფს არაფრად ესამივნან ამ წიგნის დაბეჭდვა და ყოველ დონისძიებას ხმარობდა იერიში მიეტანათ წიგნის ავტორზე, რამაც განსვენებული აიძულა მიეტოვებინა სამშობლო ქვეყანა და ყოველს შემოსავალს მოკლებულს რომში ეცხოვრა. აქაც მოსვენება არ მისცეს და ჰაზთან დაბეჭდეს სომხების კათოლიკეთა შესახებ უსათუბლო ხმებს ავრცელებს და უნდა დაისაჯოს. ჰაზის გულისწერომა თამარაშვილს გადასცეს. ამან ჰაზისაგან აღიქმნა გაბოთილობა და ყოველივე საბუთებით აღჭურვილი წარუდგა ჰაზს, საქმის ვითარება სითითად, დაწვრილებით რეაქსიას, ჰაზი კმაყოფილი დარჩა, დალოცა აკურთხა და გამოისტუმრა.

ჩვენ ქართველებს დღემდის ეგრობიულები სრულიად არ გვიცნობდენ, და თუ გვიცნობდენ ისიც ძლიერ ცუდის მხრით, ორი ათასი წლის ისტორიულ ცხოვრების ჰატრან საღეს ეგრობაში ბარბაროსებად გენათლაკენ. არ მოგვპოვიან ეგრობდულს ენაზედ არც ერთი წიგნი, რომ განცობდნენ ჩვენს წარსულს და გაფანტულიყო ის ცრუ აზრები, რაც ეგრობიულებს ჰქონდათ ჩვენს შესახებ. ამას მიქ-

ელა უურადლება განსვენებულმა მიქელ თამარაშვილმა და მარმან დაბეჭდა ფრანგულს ენაზე შესანიშნავი დიდი ტანის წიგნი: „საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დრომდე“. წიგნი აუარებელი ისტორიული, ეტიმოლოგიური, არქეოლოგიური და სხვა ცნობების მშვენივრად დასურათებული ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ. ამ წიგნის საშუალებით ეგვლა ეგრობიულს შეუძლიან საქართველოს წარსულის გაცნობა, ეს წიგნი დაუფასებელი ნაშრომია ეგვლასათვის, ვისაც ჩვენი გაცნობა უნდა. ცნობებულ მამა მიქელს რომ დატლოდა ბეურს სხვასაც გვზირდობდა; „თუ დმერთი შემეწია, ამის შემდეგ მინდა გამოკაცეუნო უფრო მდიდარი საბუთები ჩვენის ქვეყნის წარსული დიდებისა, რომ ჩვენი მტრებიც კი ვაკვირდნენო“. მაგრამ შეხალაშა ბედმა არ დაცალა და უდროოდ ხელადან გამოგვაცალა ენერგიით, ჯანდონით და მეცნიერებით აღსავსე მოჭირნასულე მამულიაშვილი.

განსვენებულს: როგორც ამბობენ, დარჩენია ხელნაწერები და მდიდარი ბიბლიოტეკა, რომელშიაც ბევრია თურმე ისეთი წიგნები, რომელიც საქართველოს შეეხება და ისელი სსშოვარიც არის.

იმედია განსვენებულის შემკვიდრენი შეასრულებენ ცნობებულის მიქელას სურვილს და მისი ბიბლიოტეკას შესწირავენ ქ. შ. წერაკოთხვის გამაგრებულ საზოგადოებას.

† ნიჟოლოზ ზაგაიანს კი სხვადავა

(1845—1911)

შეწავლო ბედმა არ დავინდო, მეტად ცუდი ხვედრი არგუნა წელს ჩვენს ქვეყანას. დაუვიწვარის ქველმოქმედის დავით ზაქარაის ძის სარაჯიშვილის და ცნობილი ისტორიკოსის მდვდლის მიქელ თამარაშვილის უდროოდ

დაკარგვით სამშობლო ქვეყანა ჯერ კიდევ სამკლოვიარო ძაძით არის შემოსილი. ამ საერთო მწუხარებას ზედ დაერთო კიდევ ახალი უბედურება. დვინობისთვის პი-ს ნაშუადღევს ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ ტფილისში

გარდაიცვალა ჩვენი ეგუელის მიერ კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე და საუკეთესო მამულიშვილი ნ. ს. ცხვედაძე. განსვენებული ორი თვის წინაღ ვნახე ს. კავთისხევში, სადაც ზატუნულში დასასვენებლად იყო; ისე კარგად და ჯანსაღად გრძობდა თავს, რომ ვერავინ წარმოიდგენდა მისს ასე უეტრად გარდა-

ცვალეხას. ჩვენი ჟურნალის მკითხველები კარგად უნდა იცნობდენ ამ იშვიათი და მსხუ მამულიშვილის მოღვაწეობას, რაც აწერილია წარსული წლის „განათლების“ დეკემბრის ნომერში. ამიტომ აქ მოკლედ შევხებით განსვენებულის მოღვაწეობას.
 ნ. ს. ცხვედაძე დაიბადა ცხინვალის ხეთ-



† ნიკოლოზ ზებელეს ძე ცხვედაძე.

ბაში სოფ. სოჭინში 1845 წ. იანვრის 15-ს. უმაწვილობა ცხრა წლამდის გაატარა სოფ. კავთისხევში, სადაც მისი მამა ზებედე იყო გადაუვანდილი მღვდლად. სწავლა დაასრულა სასულიერო სემინარიაში და შემდეგ მოსკოვის

აკადემიაში. 1869 წელს მოსკოვის აკადემიამ საღვთო სჯულის მასწავლებლად გამოცხადეს ტუფელისის სემინარიაში, სადაც ორ წელიწადს მასწავლებლობდა. ორის წლის შემდეგ, რადგან კეთილგანწყობილება არ ჰქონდა სემინარია-

ის მთავრობასთან, იძულებული გახდა თავი დაეკრებინა მასწავლებლობისათვის სემინარიაში. ერთ ხანს კერძო გაკვეთილებით ცხოვრობდა. მალე მთავრობამ მიიწვია საქალბო ინსტიტუტში, სადაც ნიკოლოზ ზებუდეს ძეს ჩააბარეს ისტორიის, გეოგრაფიის და პედაგოგიის მასწავლებლობა. აქ მსახურობდა 27 წელიწადს. ამავე დროს იგი ასწავლიდა წმ. ნინოს სასწავლებელშიაც.

ჩვენს საზოგადო საქმეებში ნ. ცხვედაძე ახალგაზდობაშივე იღებდა მონაწილეობას. იგი დაუახლოვდა დიმ. უიფიანს, ილია ჭავჭავაძეს და ყველას, ვინც კი მაშინ საზოგადო აზრ-რეზნე იყო გამოხუელი. მაშინ მრავალი უმაწვილი კაცი იკრიბებოდა განსვენებულ იოსებ მამაცაშვილის სახლში და აქ მსჯელობდნენ საზოგადო საქმეებსზე. ნ. ცხვედაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ კრებებში და არა ერთხელ წაუკითხავს რეუერანტები ქართულ და რუსულ ენებზედ. ამავე დროს ქართულ მწერლობასაც ეწეოდა. მან დაბეჭდა 1870 წლებში რამდენიმე სტატია: ა) მისვლა-მოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის, ბ) მეთექვსმეტე საუკუნე დასავლეთ ევროპაში, გ) ჩვენი ქვეყნის განათლება, მეურნეობა და სკოლაგება, რომელიც შემდეგ ცალკე წიგნაკად გამოიცა. გარჩევა ამ წიგნაკისა დაბეჭდილია 1909 წლ. „განათლების“ № 1-ში. დ) მკვარის შენიშვნები დასავლეთ ევროპაში და სხვ. აღსანიშნავია აგრეთვე განსვენებულის გონიერი მოხსენება ტფილისის საქალბო სკოლებისა და სახელოვნო სკოლის შესახებ 1892 წ., როცა განსვენებული იყო ქალაქის სკოლების კომიტეტის წევრად. ამ მოხსენებაში უფრო საუკრადდებოა აზრი ერთკლასიან სკოლების მოხსენიების სკოლებად გადაკეთება, რაც სისრულეში მოიყვანეს მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში. კარდა ამისა განსვენებულმა აქტიური

მონაწილეობა მიიღო წინამძღვრისათ კარის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებაში. განსვენებულ დიმიტრი უიფიანთან ერთად მან შეადგინა პირველი რედაქცია ამ საზოგადოების წესდებისა. 1879 წლიდან 1907 წლამდის განსვენებული იყო წვერი წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისა და თავმჯდომარის ამხანაგი, სადაც ენერგიულად მუშაობდა.

უფრო დიდი ღვაწლი მიუძღვის განსვენებულს თავდა-აზნაურთა საზოგადოების წინამე. „თავდა-აზნაურთა დარბი მოსწავლეთა და მხარე საზოგადოებამ იგი ამოიარჩია 1879 წელს წევრად, უკანასკნელ ხანებში არჩეული იქმნა ამავე საზოგადოების საპტიო წევრად: „საზოგადოების“ უფლებგარ საქმეებში განსვენებულს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა. მისი თათნობით „საზოგადოებამ“ იყიდა ქართულ გიმნაზიისათვის ფართო ადგილი და მისივე თათნობით და თავზე დგომით ამქნდა ის უზარმაზარი შენობა, რომელიც შეადგინს დღეს ქართულ ერის სიამაყეს. უკანასკნელი თავისი ძალღონე განსვენებულმა სწორედ ამ შენობას შეაღია, დიდი გაჭირვება და უსიამოვნება გამოსცადა ცხვენებულმა ნიკოლოზ ზებუდეს ძემ ამ დიდებული შენობის გამო, მაგრამ ბოლოს წინასწარ დასახული აზრი მისც განახორციელა. ქართული გიმნაზია ცოცხალი ძეგლია განსვენებულის ნიკოლოზ ცხვედაძისა, აქ იტრიალებს მუდამ მისი ცხვენებული სული, ეს არის საუკეთესო თვალსაჩინო მაგალითი ჩვენი მოზარდ თაობისათვის—თუ რა შეუძლია ენერგიით სასუე სამშობლოს მოუფარულ მისე აღმაზნ და არც ქართველი ერი დაივიწყებს არასოდეს ჩვენს მოჭირბაზულს და საზოგადო საქმისთვის თავდადებულს მოღვაწეს ნიკოს. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი.



ბიბლიოგრაფია

ფუტკარი და მეფუტკრეობა, შედგენილი აპოლონ წულაძის მიერ ფასი 80 კაპ.

ჩვენი საზოგადოებრივი მეურნეობა რომ დანდობილი და ამის გამო ხალხიც დაბუხებული, უკუელასოვის ცხადია. ხალხი სულიერად და ფიზიკურად მძინ, როცა ქონებრივად წელში გამართულია და არ იტანება დღიური ღვაწლის მოვლებისათვის. მაშასადამე ჩვენი გადატაკებული ხალხის ერთად ერთი ხსნა უნდა ვეძიოთ. ხალხის განათლებაში და მათობის სამეურნეო ცოდნის გავრცელებაში. ჩვენი ღარიბი მწერლობა უფრო ღარიბია იმ საწერებრივით, რაც მეურნეობის სხვა და სხვა დარგებშია. მართალია ცოტადელი წიგნაკები ჩვენც მოგვებოდა მეურნეობის სხვა და სხვა დარგებში, მაგრამ ასეთი სრული, ასეთი კარგად შედგენილი და მრავალი საჭირო ცნობებით სასულიერო წიგნი, როგორც არის ბნის ან. წულაძის „მეფუტკარი და მეფუტკრეობა“ ზოგს ჩვენსე უფრო დაწინაურებულს ხალხსაც კი არ მოეპოება. და ჩვენი სომ სხელებაც კი არ იყო დღემდის ამისთანა წიგნისა. წიგნი დიდი ტანისა, შეიცავს სამასზე მეტს გვერდს, ჩართულია აქვს შიგ მრავალი სურათი, დაწერილია უკუელასოვის ადვილად გასაგების ენით, მოყვანილია შიგ და შიგ მრავალი საბუხების-მეტეუკლო ცნობა და საზოგადოებრივ, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსის მხრითაც მეტად კარგს შიგბეჭდილებას ჰქვას მკითხველს. ამიტომ ამ წიგნის გავრცელება, რასაც, უკუგულია, მეფუტკრეობის, ამ საუკეთესო სამეურნეო დარგის გავრცელებაც მოჰყვება, ფრთხილად სასურველია. წიგნი დაწვრილდებულა ოქროს მუდლით და გამოცემული კავკასიის მეფუტკრეთა საზოგადოების მიერ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სერთიფიკული საშრომის ავტორს უწყავლია შიგდოდ წინამძღვრანთ კარის სა-

მეურნეო სკოლაში, ამ სკოლას ჩაუნერგავს ავტორის კულში სიუვარული სამეურნეო საგნებისა და უფრო მეფუტკრეობისადმი და დღეს, თუ გნებავთ, ერთი საუკეთესო ნაყოფიერადი წინამძღვრანთ კარის სკოლისა ეს ჩინებული წიგნი გახლავთ, რასაც მადლიერი ავტორი მოკრძალებით უძღვნის თავისს აღმზრდელს, მთავრანსეულე მამას და უანგარო საზოგადო მოღვაწეს დრმად ჰატეცემულს ილია ივანეს ძეს წინამძღვრიშვილს, რომლის სკოლასაც უკუსურვებთ კვლავაც მრავალი ცონიერი მეურნე აღმზრდოს ჩვენი ცოდნით გადატაკებული ხალხის საბედნიერად.

შობა მოთხრობა (გურიის ცხოვრებიდან) ნინო ნაკაშიძისა. გამოცემა „ცისკრის“ ამხ. № 2 ფასი ერთი შური.

ამ ჰატარა წიგნაკში გატარებულია ის აზრი, თუ რა ცუდი გავლენა აქვს ქალაქის ცხოვრებას ახალგაზრდა სოფელე ქალსე, რომელიც მოსამსახურედ მიდის ქალაქში და როგორ ირევა ოჯახის ტრადიცია ამის გამო. თუმა, როგორც მკითხველებიც შენიშნავს, „არ ახალია, ძველია“, ცოტადნად სხვა ჩვენი მწერლებიც შეხებიან ამ საკითხს, მაგრამ არ გვცონია ისე გრძობიერად, ისე თავალსახინოდ და მხატვრულად, სხვას ვისე ჩვენს მწერალთაგანს გაურკვევოს ეს საკითხი, როგორც ეს მოუხერხებია ჩვენს მწერალ ქალს ქალბატონს ნინო ნაკაშიძისს. საუცხოოდ აქვს გადმოცემული დამირისპირება სასიამოვნო და ტრაგიკულ გრძობებისა, ვურსევთ მკითხველებს თვითონაც წაიკითხონ ეს მშვენიერი წიგნაკი და ხალხიაც გაავრცელონ.

რედაქტორ-გამომცემელი

ლ. გ. ბოცვაძე.

„ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი“

(წელიწადი მეორე)

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებისაჲ: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისჲ) 7 კაპეიკი. ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კაპ.

რედაქცია ღია 9—7 სჯათ.

Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდელაშვილი.

რედაქციისაგან

რედაქცია სთხოვს ყველა ხელის მომწერო და აგენტებს, უისაც, კურნალის ფუჭდი დღეჲდის მთლად არ გამოიუკ საფინია, დაუხელონ გამოვ საფინას.

თანამშრომლებს რედაქცია სთხოვს დასაბეჭდი მასალა მოაწოდონ ერთს გვერდზე დაწერული გარკვეულის ხელით. ვერავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ წერილების შესახებ რედაქცია ვერ იკისრებს. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება და ავტორებს შეუძლიათ თავისი ხარჯით მოიკითხოს უკანვე თუ ნებავე. სასოფლო სამკითხველოებს და სახალხო მასწავლებლებს ამ წლის და წარსული წლის ნომრები გაგზავნით დაეთმობათ სამ მანეთად.

ყოველ-დღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

„ბათუმის გაზეთი“

გაზეთის ფასი: ერთი წლით 4 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. სამი თვით 1 მან. 50 კაპ. ერთი თვით 60 კაპ. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ გადაიხადონ ნაწილ-ნაწილათ ყოველ ორ თვეში ერთხელ 1 მან. წინ-დაწინ 4 მანეთის შესრულებამდე.

განცხადების ფასი: პირველ პირველ სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე 10 კ. სამგლავიანი განცხადების (თითოჯერ დაბეჭდვა პირველ გვერდზე 3 მან.

ადრესი: Батумь „Батумись Газети“

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ე. ხომერიკი

ამ წლის 25 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი

„კოლხიდი“

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელმოსაწერ ტული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველი აბონტიდან წლის დამლევამდე 5 მან. და 10 შაური. თვიური — ოთხი აბაზი.

თითო ნომერი ერთი შაური

ადრესის გამოცვლა: ქუთაისისა ქუთაისზე — ორი შაური, დანარჩენ შემთხვევებში — ორი აბაზი.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს უ ა ს ი

პირველ გვერდზე სტრიქონი სამი შაური, უკანასკნელზე — ორი შაური.

სამგლავიანო განცხადება სამი მანეთი

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

ახალი წიგნი იაკობ გოგებაშვილისა.

რჩეული კედაზოგიური და ზუბლიცისტური

ნაწილები, იპყრობს წინ გვერდს დიდი ფორმატისას და შეიცავს ასს სტატიას, ანუ წიგნილსა. ისეილება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მატაზიასში და ღირს ერთ მანეთად. წიგნის მატაზიებს რომელნიც ბლომად დაიბარებენ ნაღდს ფულზე, თითო წიგნი მიეცემა სამ აბაზად.